დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 24 - 30 ივლისი

N33 1497

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# УКРАИНСКИЙ ПОЛИТИЧЕСКИЙ КОРАБЛЬ,

4 5



# ИДИ НА Х...Й!

სტალინისეული „უმცირესი ბოროტება" — 1783 წლის 24 ივლისს დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატი" 240 წლისაა!



17


ივ. ჯავახიშვილი

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში.

ქართული კლუბის გამოცემა.

ტფილისი.
სახელმწიფო სტამბა
1919.

ისტორია, როგორიც იგი არის!



ისტორია, როგორიც იგი არის!



# ოჯახიანად მტერია!

2-3





ეს გვამების, ანუ ნაგვების ოჯახია, რომელმაც უცხოელ ლობისტებს საქართველოს წინააღმდეგ სანქციები შეუკვეთა!

# ორი ტაქტიკა

8






oreign Agents Registration Act (FARA) was enacted in 1938. FARA is a
sure statute that requires persons acting as agents of foreign principals in a
al or quasi-political capacity to make periodic public disclosure of their
onship with the foreign principal, as w
sements in support of those activitie
ation facilitates evaluation by the go
atements and activities of such perso
. The FARA Registration Unit of the
al Section (CES) in the National Secu

GEN
NATIC

არნო ხიდირბეგიშვილი

## ნუთუ მარტო ამერიკას უნდა „ენთოს ფარები", ჩვენ კი არაფერი ვიცოდეთ იმის შესახებ, რა ფარას ატრიალებენ უცხოეთის ფაროსანა აგენტები ქვეყნის დასაქცევად?!

19



# ჩვენ, ზემორე ხელისმომწერნი...

# ოჯახიანად

***ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი „რუსული კანონის“ — FARA-ს მეშვეობით, კიდევ ერთხელ აეხადა ფარდა სააკაშვილისა და მისი ოჯახის ქმედებებს, რომლებსაც ისინი საქართველოს წინააღმდეგ სჩადიან.***





## ეს გვამების, ანუ ნაგვების ოჯახია!

საქმე ის არის, რომ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტაციის თანახმად, **სააკაშვილმა და მისმა ოჯახმა, კერძოდ, დედამ — გიული ალასანიამ და ბიძამ — თემურ ალასანიამ მილიონ დოლარად დაქირავებულ ლობისტურ კომპანია „აკერმანს“ დაუკვეთეს, წარემართა მუშაობა საქართველოსათვის სანქციების დაწესების მიზნით!**

მიაქციეთ ყურადღება: **სააკაშვილმა, დედამისმა და ბიძამისმა ამერიკულ ლობისტურ კომპანიას ფული გადაუხადეს, რათა მიეღწიათ სანქციების დაწესებისათვის არა საქართველოს ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების ან მთლიანად „ქართული ოცნების“, არამედ საქართველოს წინააღმდეგ!**

კიდევ ერთხელ დაუკვირდით და გაიაზრეთ: **მიხეილ სააკაშვილმა, გიული ალასანიამ და თემურ ალასანიამ მილიონ დოლარად დაქირავებულ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას დაავალეს, უზრუნველეყო ისეთი სანქციების დაწესება, რომელიც მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და მის ლიდერებს კი არა, საქართველოსა და ქართველ ხალხს დააზარალებდა!**

დოკუმენტებში, რომლებიც „რუსული კანონის“ მოთხოვნის შესაბამისად, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ვკითხულობთ, რომ **სააკაშვილისა და მისი ოჯახის მიერ დაქირავებულ ლობისტებს ევალებოდათ, კომუნიკაცია დაემყარებინათ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ პირებთან, რათა მათ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკ მაკქოლი საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესებაში დაერწმუნებინათ.**

იმავე დოკუმენტების თანახმად, **სააკაშვილისა და მისი ოჯახის მიერ დაქირავებულ ლობისტებს უნდა შეემუშავებინათ სტრატეგია,** რომლითაც ამერიკელ სენატორებს საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების აუცილებლობაში დაარწმუნებდნენ!

სააკაშვილი საქართველოს დაუძინებელი მტერი რომ არის, ეს ისედაც დიდი ხანია, ცნობილია და მისი 9-წლიანი მმართველობით გახლავთ დადასტურებელი!

დიდი ხანია, ნათელია ისიც, რომ **სააკაშვილისათვის საქართველო არასოდეს ყოფილა სამშობლო და ეს ქვეყანა მისთვის მხოლოდ ძალაუფლების ასპარეზს წარმოადგენდა.** ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ნაცების ბელადმა საქართველოს მოქალაქეობა ოდესის გუბერნატორის თანამდებობაზე გაცვალა, ქართულ პასპორტს უკრაინული პასპორტი ამჯობინა და ბოლოს ქართული ენაც კი განაგდო — **სასამართლო პროცესზე უკრაინულად ალაპარაკებულმა თარჯიმანი მოითხოვა, რომელიც მის საუბარს ქართულად გადათარგმნიდა!**

თუმცა, სააკაშვილი საქართველოს მტრობაში, საქართველოს სიძულვილში, საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი უპატივცემულო, აგდებულ და მომხმარებლურ დამოკიდებულებაში არასოდეს ყოფილა მარტო — **მას ყოველთვის უმაგრებდნენ ზურგს საკუთარი დედა და ბიძა!**

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაცთა ბელადი ქართულ ციხეში აღმოჩნდა და დედამისს — გიული ალასანიას ხშირად უწევს ტელეგადაცემებში გამოსვლა,

### საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დარწმუნდა, რომ სწორედ ამ ქალს უდევს ლომის წილი სააკაშვილის ქართველთმოძულე სოციოპათად და

### ძალაუფლებაზე გაგიჟებულ მანიაკად ჩამოყალიბებაში!

აღარაფერს ვამბობთ სააკაშვილის ბიძაზე, საბჭოთა „კაგებესა“ და პოსტსაბჭოთა რუსულ სპეცსამსახურებთან კუდგადახლართულ **თემურ ალასანიაზე,** რომლის უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი თუნდაც იმ ფარულ აუდიოჩანაწერში ჩანს, საკუთარ დისშვილს რომ ეუბნება **(ცენზურა ჩვენია. რედ.):**

*„არა, ეს ავადმყოფი ერია, ამათ სანამ არ დააჯ...ამ თავზე და სანამ დედას არ მოუტ...ავ, ვერ იგებენ ვერაფერს. მაგათი დედა მოვ...ან მე ქართველების, „პროსტა“! ქართველების დედა მოვ...ან, „პროსტა“! ვინ არიან ესენი, ეს ავადმყოფი ერი ვინ არის, ტო!“*

იმავე ჩანაწერში სააკაშვილი ქართველების მაგინებელ ბიძამისს კვერს უკრავს: ***„ეგრე იყო ეგ ხალხი ყოველთვის და ახლა რატომ იქნება“.***

მოკლედ, **სააკაშვილი ოჯახიანად საქართველოს მტერია!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **საქართველოს მტრობა და ქართველი ხალხის სიძულვილი სააკაშვილის ოჯახური ნიშანთვისებაა!**

ეგ ხომ ისედაც ვიცოდით, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტებითაც დასტურდება, რომ **სააკაშვილი საქართველოს ოჯახიანად მტრობს!**

### მიხეილ სააკაშვილის, გიული ალასანიასა და თემურ ალასანიას ოჯახურმა ბანდამ უცხოელ ლობისტებს საქართველოს წინააღმდეგ სანქციები შეუკვეთა!

### კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**თუ უკრაინამ რუსეთი დაამარცხა, ნატოს წევრობა რაღაში დასჭირდება?!**

„ახალი თაობა“



**ირაკლი კობახიძე**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

სანამ ლისზე მომხდარ ამბებს გამოვიძიებთ, **ჯერ 7-8 მარტის ძალადობა უნდა გამოვიძიოთ,** რა დროსაც ადამიანზე ძალადობის ძალიან მძიმე ფაქტები იყო, **რუსთაველი ლამის გადაწვეს,** ლისზე ცეცხლი არავისთვის წაუკიდებიათ.

„ინტერპრესნიუსი“



**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

ლობისტები უწერენ ევროპარლამენტარებს **საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციების ტექსტებს!** პარალელურად, **მოპარული კვლევის ნიმუშებით ცდილობენ ექსპერტიზების გაყალბებას** და განზრახ აზიანებენ საქართველოს იმიჯს!

„ინტერპრესნიუსი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

**მიხეილ სააკაშვილის** თემაზე ვიხილეთ **ევროპული პოლიტიკური ელიტის ყველაზე მახინჯი სახე,** რომელთანაც არ გვინდა, ევროპა გავაიგივოთ.

„ინტერპრესნიუსი“



**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*

ჩვენ გვყავს **კორუმპირებული, თაღლითი პრეზიდენტი,** რომელიც ქვეყანას **მესამე მსოფლიო ომში** ჩაითრევს!

„ინტერპრესნიუსი“

# მტერია!




სააკაშვილის მხარდამჭერი აქცია ევროპარლამენტის შენობაში, კუბილიუს-კრამონებისა და ჩალაქ-რულოვსკების მონაწილეობით

# ევროდეპუტატები და ევროს დეპუტატები

## ბინძური, უზნეო და სისხლიანი ბორჯიების ოჯახიც კი კეთილშობილების განსახიერებად მოჩანს მიხეილ სააკაშვილის, გიული ალასანიასა და თემურ ალასანიას ოჯახური ბანდის ფონზე!

მიხეილ სააკაშვილი, გიული ალასანია და თემურ ალასანია, რომლებმაც მილიონ დოლარად დაქირავებულ უცხოელ ლობისტებს საქართველოსათვის სანქციების დაწესების უზრუნველყოფა დაუკვეთეს, გვამების, ანუ ნაგვების ოჯახია!

არ ვიცით, რამდენად ფლობენ მეგრულ ენას გიული და თემურ ალასანიები, რომლებიც თავიანთ მეგრულ წარმომავლობას მაშინვე უსვამენ ხაზს, როგორც კი ეს პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებისათვის დასჭირდებათ, მაგრამ **„ნაგავი“** მეგრულად **„გვამს“** ნიშნავს. ჰოდა, ერთხელ, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ზუგდიდის ერთ-ერთმა გამგებელმა, რომელიც ქართულ ენასთან ცოტა მწყრალად გახლდათ, მუნიციპალიტეტში ჩატარებული დასუფთავების სამუშაოებით თავის მოწონება გადაწყვიტა და ადგილობრივ ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა — **ქალაქიდან ტონობით გვამი გავიტანეთო!**

ზუგდიდში ეს ამბავი დღემდე ანეკდოტად დადის, საქართველომ კი **გვამი, ანუ ნაგავი,** რომელსაც **სააკაშვილის ოჯახური ბანდა** ჰქვია, ქართული პოლიტიკური სივრციდან ვერაფრით გაიტანა!

**მიხეილ სააკაშვილის, გიული ალასანიასა და თემურ ალასანიას ოჯახური ბანდა** — ეს გვამებისა და ნაგვების ოჯახი — საქართველოს კიდევ ბევრ რამეს დაუშავებს!

ყოველ შემთხვევაში, **სააკაშვილის ოჯახურ ბანდას** ამის მცდელობა კიდევ ბევრჯერ ექნება და არც ქართველი ხალხისათვის მოპარული მილიონების დახარჯვას დაინანებს საქართველოს წინააღმდეგ მტრული საქმეების გასაჩარხად!

### ბოლოთქმა

*გარდა იმისა, რომ სააკაშვილის ოჯახმა უცხოელ ლობისტებს საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების უზრუნველყოფა დაუკვეთა,* ***აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამბავს ვიგებთ:*** *გვამების ოჯახის მიერ მილიონ დოლარად დაქირავებული კომპანია* ***„აკერმანის“*** *ერთ-ერთი ფუნქცია იყო, მოემზადებინა რეზოლუციების ტექსტები, რომლებსაც ევროდეპუტატები მოაწერდნენ ხელს და ევროპარლამენტის სახელით გაავრცელებდნენ! ასე და ამრიგად, ცხადი გახდა, რომ* ***კოლექტიური კუბილიუს-კრამონების მიერ გამოცხობილი რეზოლუციები, რომლებშიც სააკაშვილი და მისი სექტა ქართული დემოკრატიის უკანასკნელ მოჰიკანებად იყვნენ გამოყვანილი, ხოლო საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება დემოკრატიის მტრად და რუსულ რეჟიმად გახლდათ შეფასებული, უბრალო სიცრუე და უტიფრობა კი არა, ლობირებულ-დაფინანსებული სიცრუე და უტიფრობა ყოფილა!*** *ამერიკაში მოქმედმა „რუსულმა კანონმა“ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დღევანდელი ევროპარლამენტი პოლიტიკური კორუფციისა და მექრთამეობის ბუდეა, ხოლო* ***კოლექტიური კუბილიუს-კრამონები*** *ევროდეპუტატები კი არა,* ***ევროს დეპუტატები*** *არიან, რომლებიც ევროპულ ფასეულობებსაც და საკუთარ ღირსებასაც ფულზე ყიდიან!*

**ჯაბა ხუბუა**

## კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დღევანდელი ევროპარლამენტი პოლიტიკური კორუფციისა და მექრთამეობის ბუდეა, ხოლო კოლექტიური კუბილიუს-კრამონები ევროდეპუტატები კი არა, ევროს დეპუტატები არიან!

## კვირგვინოსნები

**გიგლა ბარამიძე**
*დიპლომატი, პროფესორი*



**იუდას გზა — სააკაშვილების ოჯახის გზა! 30 ვერცხლი — საქართველოს ღალატისთვის!** საქართველოს ხელისუფლებავ, **როდემდე ვითმინოთ ქართველი ხალხისგან წაგლეჯილი თანხებით ქვეყნის ამოგდების მუხთალი მცდელობა?**

„იმედინიუსი“

**დიტო სამხარაძე**
*პარლამენტარი*



პრინციპის საკითხია, **სააკაშვილმა სასჯელი სრულად მოიხადოს ციხეში** და არა საავადმყოფო სანატორიუმში!

„აიპრესი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სააკაშვილს** თუ ვინმე აწამებს, **მისი ოჯახის წევრები არიან,** რადგან მასთან რაღაც **„წყალ-წყალა“ სუპი შეაქვთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



**პოლონელი ექიმების** ეს დამოკიდებულება, **ნიკა გვარამიას** თემა, **სალომე ზურაბიშვილზე** გარედან ზეწოლა, რომ **სააკაშვილი** გაათავისუფლოს — ეს ერთიანი ქსელია. **გადაწყვეტილების მიმღები ამ ქვეყანაში არის ქართველი ხალხი.** ეს უნდა დაიჯეროს ყველამ შიგნითაც და გარეთაც.

„POSTTV“

**ნინო ნადირაძე**
*„ვივამედის“ გენერალური დირექტორი*



სანამ არ იქნება გარანტიები, რომ **სააკაშვილი გავა თავისუფლებაზე,** არცერთი წამით არ ველოდები, რომ ვინმე იტყვის მისი გარემოცვიდან, რომ უკეთ არის.

„ახალი თაობა“

*ყველამ იცის, რას ნიშნავს ფიგურალური გამოთქმა — „კბილებამდე შეიარაღებული“, მაგრამ, ალბათ, პირველად გესმით ფრაზა — „კულებამდე შეიარაღებული“.*

# УКРАИНСКИЙ ПОЛИТИЧЕСКИЙ КОРАБЛЬ,



# ИДИ НА Х...Й!

საქმე ის არის, რომ უკრაინის ხელისუფლების სახით საქართველოს **კულებამდე შეიარაღებული მტერი** ჰყავს, რაშიც, ბევრ რამესთან ერთად, იგულისხმება უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის **დმიტრო კულებას** აქტიური მონაწილეობა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით გაშლილ პროვოკაციულ კამპანიაში.

მაგალითად, **ზელენსკის ხელისუფლების მიერ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და აშკარად მტრული გადაწყვეტილება, რომელიც კიევიდან საქართველოს ელჩის გამოძევებას ეხებოდა, სწორედ კულებასა და მისი უწყების მიერ იქნა აღსრულებული.**

გარდა ამისა, **უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულება** ფიგურირებს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში, რომლებითაც დასტურდება, რომ **სააკაშვილმა და მისმა ოჯახმა უცხოელ ლობისტებს საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების უზრუნველყოფა დაუკვეთეს.**

კერძოდ, დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში, სადაც წერია, რომ ლობისტურმა კომპანიამ კომუნიკაცია უნდა დაამყაროს დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ პირებთან, რათა მათ აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსნები საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების აუცილებლობაში დაარწმუნონ, **საკონტაქტო პერსონად უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულებაა დასახელებული.**

იქიდან გამომდინარე, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა უკრაინის ხელისუფლების ერთ-ერთი პატრონი, ზედამხედველი და დამფინანსებელი გახლავთ, სრულიად ლოგიკურია სააკაშვილის ლობისტების გათვლა, საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების ორგანიზებაში ინსტრუმენტად სწორედ **უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულება** გამოიყენონ, რომელსაც საკუთარი სტატუსი ყველანაირად უწყობს ხელს ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებთან ხშირ კომუნიკაციაში.

ასე რომ, არამხოლოდ უკრაინის ხელისუფლება, არამედ სააკაშვილისა და მისი ოჯახის მიერ დაქირავებული უცხოელი ლობისტებიც, რომლებსაც საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესების უზრუნველყოფა აქვთ დავალებული, **კულებამდე არიან შეიარაღებული!**



გარდა ამისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** გასულ კვირას განაცხადა, რომ უკრაინის ხელისუფლება შარშან დაინტერესებული იყო, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიეღო. **პრემიერის მიერ გახმიანებული ეს სენსაციური ინფორმაცია, რომლის წყაროც, მისი თქმით, ევროპელი ლიდერები არიან, იმას ნიშნავს, რომ ზელენსკის ხელისუფლებამ აქტიურად იმუშავა, რათა ევროკომისიას საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭებინა, ამ საქმეში კი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ცხადია, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულება იქნებოდა!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ჩვეულებრივი მტერი არ არის! უკრაინის ხელისუფლება საქართველოს კულებამდე შეიარაღებული მტერია!**

ჰოდა, ამ **კულებამდე შეიარაღებულმა მტერმა** საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთი შხამიანი ისარი გამოისროლა. ეს მოხდა გასულ კვირას კიევში, სადაც **სალომე ზურაბიშვილის** მიერ შეწყალებული **ნიკა გვარამია** ჩავიდა და ზელენსკის ერთ-ერთ თუქსუსთან — **დავით არახამიასთან** ერთად **„მიხეილ სააკაშვილის თავისუფლების საერთაშორისო მოძრაობა“** დააფუძნა. არახამიამ სწორედ ამ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ, რასაც საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილს უკეთებს, სხვა არაფერია, თუ არა მისი მკვლელობის მომზადება: *„სააკაშვილს თუ რამე*

**სხვა თუ არაფერი, მარტო ადეიშვილისნაირი სადისტისა და სისხლიანი ბოროტმოქმედის გენერალური პროკურორის მთავარ მრჩევლად დანიშვნაა იმის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურება, რომ უკრაინის ხელისუფლება საქართველოს კულებამდე შეიარაღებული მტერია!**

## კვირგვინოსნები

**რიჩარდ იოზვიაკი**
*„რადიო თავისუფლების“ ევროპის ბიუროს რედაქტორი*



უკრაინას ღრმად სწამს, რომ **ომი მაშინ დასრულდება, როდესაც ნატოს წევრი გახდება**, თუმცა, დასავლეთში ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ **ომი სწორედ მაშინ დასრულდება, როცა უკრაინა ნეიტრალური გახდება** და ნატოს არ შეუერთდება.

„TV იმედი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



არაკაცი **გვარამია** ჯერ საქართველოს მაგინებელ **არახამიას** ჩაეხუტა, შემდეგ — **კოდოლიაკს.** არის ეჭვი, რომ გარკვეულ პირებს ეშინიათ — **სააკაშვილი იტყვის, თუ ვინ რა მიზნით შემოაგზავნა საქართველოში.**

„იმედინიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტფსიქოლოგი*



**ზელენსკის** რეალურად მიშა კი არა, **ჩხუბი უნდა საქართველოსთან.**

„კვირის პალიტრა“

**დავით არახამია**
*უკრაინის რადას ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე*



საქართველოს პრეზიდენტმა **შეიწყალა ნიკა გვარამია,** ახლა საჭიროა **სააკაშვილის შეწყალება!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



როდესაც ქვეყანა **რუსულ ფრენებს აღადგენს,** სანქციებიც არ უნდა გაუკვირდეს.

„ახალი თაობა“

# ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘ!

| | | |
|---|---|---|
| Dmytro Kuleba, Minister of Foreign Affairs of Ukraine | Telephone calls (through 03/07/2023) | Discuss and solicit his aid, including request for letters to U.S. Secretary of State Antony Blinken, Chairman of the House Committee on Foreign Affairs, Michael McCaul, seeking sanctions against Georgia in connection with Mr. Saakashvili's situation |


ᲓᲛᲘᲢᲠᲝ ᲙᲣᲚᲔᲑᲐ

## ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲙᲣᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲚᲝᲑᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲡ!

*მოუვა, ეს იქნება მკვლელობა. მე, როგორც სახალხო დეპუტატი, მივმართავ უკრაინის გენერალურ პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება მკვლელობის მომზადების საქმეზე“.*

აი, ასეთი პროვოკატორებითა და ავანტიურისტებით არის სავსე უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკური ხომალდი — **საქართველოს კულებამდე შეიარაღებული მტრების ბუნაგი!**

არახამია და უკრაინის მთელი ხელისუფლება **საქართველოს კულებამდე შეიარაღებული მტრები** რომ არ იყვნენ, **„სააკაშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე“** კი არ მოითხოვდნენ გამოძიების დაწყებას, არამედ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეს, რადგან უკრაინის სახელმწიფო საზღვრის მალულად და არალეგალურად გადალახვა, რაც სააკაშვილმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთამდე ჩაიდინა, უკრაინული კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დანაშაულია.

თუმცა, სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს როგორ აღძრავდა **ზელენსკის ხელისუფლება,** რომელმაც ნაცბელადის ტრაილერში ჩადებისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის მთავარი ლო-


ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ

**კულებამდე შეიარაღებული და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დარაზმული უკრაინის ხელისუფლება წელსაც შარშანდელივით მოიქცევა და ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოსათვის ე.წ. კანდიდატის სტატუსის დაბლოკვას მიაღწიოს!**

ჯისტიკოსი **ᲒᲘᲐ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ** უკრაინის საგარეო დაზვერვის უფროსის პირველ მოადგილედ დანიშნა. ეს პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ სწორედ უკრაინის ხელისუფლება იდგა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეგმილი იმ ბინძური პროვოკაციის უკან, რასაც ძებნილი სააკაშვილის საქართველოში შემოპარება ემსახურებოდა.

და კიდევ: **დიდ აბსურდთან ერთად, უკიდურესი ცინიზმის გამოხატულებაა, რომ არახამია „სააკაშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე“ გამოძიების დაწყებისაკენ მოუწოდებს უკრაინის გენერალურ პროკურატურას, რომლის მთავარი მრჩეველიც ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ გახლავთ** — კრიმინალი, რომელიც სისხლის სამართლის არაერთი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ქართული მართლმსაჯულების მიერ არის გასამართლებული!

სხვა თუ არაფერი, **მარტო ადეიშვილისნაირი სადისტისა და სისხლიანი ბოროტმოქმედის გენერალური პროკურორის მთავარ მრჩევლად დანიშვნაა იმის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურება, რომ უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ᲙᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲢᲔᲠᲘᲐ!**

**კულებამდე შეიარაღებული და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დარაზმული უკრაინის ხელისუფლება** წელსაც შარშანდელივით მოიქცევა და ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოსათვის ე.წ. კანდიდატის სტატუსის დაბლოკვას მიაღწიოს!

რა ლაპარაკი უნდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ამ მტრული გეგმის აღსრულების ერთ-ერთი მთავარი და აქტიური ფიგურანტი კვლავ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულება იქნება!

**კულებამდე შეიარაღებულ უკრაინის ხელისუფლებას,** მის ევროამერიკელ პატრონებსა და ნაცლიბერალურ „მეხუთე კოლონას“ ილუზია აქვთ, რომ ე.წ. კანდიდატის სტატუსის დაბლოკვას საქართველოში რევოლუციის მოწყობის, ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების საბაბად გამოიყენებენ!

თუმცა, ქართველი ხალხი მზად არის, **საქართველოს კულებამდე შეიარაღებული მტრები** იქით გაუშვას, საითკენაც კუნძულ ზმეინის დამცველმა უკრაინელმა ჯარისკაცებმა რუსულ სამხედრო გემს მიუთითეს!

უკვე დღესაც, როცა ყველანაირად დადასტურებული და დამტკიცებულია, რომ უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკურ ხომალდში **საქართველოს კულებამდე შეიარაღებული მტრები** სხედან, ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს მათთვის მხოლოდ ერთი რამ აქვს სათქმელი: Украинский политический корабль, иди на х...й!

**ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐ, ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘᲐ!**

***ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ**
*კულტურის მინისტრი*



ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ პრეზიდენტობის დროსაც და შემდეგაც **მუშაობს ქართველი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ,** ახლა უკვე დადასტურებულად ვიცით, რომ ამაში ფულის გადახდასაც არ ერიდება.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ უკვე დიდი ხანია, **გალმაა გასული!**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



თუკი **დიდი ფულის ფასად ყველაფრის ლობიზმში** ევროპარლამენტარებმა რეზოლუციები უნდა „აცხონ“ და სანქციები არიგონ, მაშინ **საკუთარი თავი არამხოლოდ რუსეთისგან გვქონია დასაცავი, არამედ — პარტნიორებისგანაც.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲐᲚᲘ ᲑᲐᲑᲐᲔᲕᲘ**
*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე*



მე, **როგორც ძველი გვარდიელი, მოვუწოდებ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას:** ფრთხილად იყვნენ, აღარ დაუშვან ისეთი შეცდომები, რაც დაუშვეს და **2012 წლის დიდ ბრძოლაში მონაწილე ადამიანებს პატივი სცენ.**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲙᲝᲥᲐ ᲛᲝᲠᲒᲝᲨᲘᲐ**
*„ალტ-ინფოს“ ლიდერი*



საქართველოში ნომერ პირველი სამიზნე ამ **ულტრალიბერალური ფლანგის** ვართ ჩვენ. არცერთი ჩინოვნიკი არ დაუსანქცირებიათ „ოცნების“ და დაიწყეს ჩემით. ჩემი ერთი დიდი ბაბუა **ᲢᲐᲠᲐᲡ ᲛᲝᲠᲒᲝᲨᲘᲐ,** მეორე **ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ ვიზის გარეშე ჩავიდნენ ბერლინში** თავის დროზე. ასე რომ, მეც რაღაცას მოვიფიქრებ!

ცნობილი ჟურნალისტი **გელა ზედელაშვილი** თავის ახალ რუბრიკაში ჩვეული ოსტატობით ა**ნაც**დგურებს მათ, ვინც **ნაც**რად ქცეული **ნაც**ების **ნაც**ადი და კარგად **ნაც**ნობი ხერხებით ცდილობს, დამალოს **ნაც**ხროვის **ნაც**ოდვილარი და **ნაც**მაცუნების უკურნებელი **ნაც**ირლობა.

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# 2023 წელი მიხეილ სააკაშვილის წლად უნდა გამოვაცხადოთო!





აბა, უყურეთ! ამისი ტოლები ბაზარში ჭიჭყინას ყიდიან, ეს კიდე ჩამომჯდარა ჭუტაანთ უბორნიაში და ლაქლაქებს, თან შეკითხვებსაც უსვამენ!

წადი, რა, გაიარე-გამოიარე, განიავდი, თავი გააქიცინ-გამოაქიცინე, სარკეში ჩაიხედე, საკუთარ თავს ჰკითხე — **მე დღეს ან, საერთოდ, ამ ქვეყანას რამე ვარგე?**

☺

რო გეტყვი ხოლმე, ალაოდ გამაიყურები-მეთქი, ეგრევე გადაიხეჩები ლეღვის ტოტივით — ეგრე არ მითქვამს, კონტექსტიდან არი ამოგლეჯილიო.

**შენ საერთოდ ხარ კონტექსტიდან და... ამ ცხოვრებიდან ამოგლეჯილი! იმის ნაცვლად, რამე სასარგებლო გააკეთო, იმის ნაცვლად, პატიოსნად დახლში დადგე, ჭიჭყინა გაყიდო, ზიხარ და რაღაცებს ბოდიალობ — ეს წელი მიხას წლად გამოვაცხადოთ, დედამიწამ უკვე გამოაცხადაო...** მერე იტყვი, წმინდანად შევრაცხოთ, დედამიწამ გუშინ შერაცხა უკვეო... მერე დაამატებ — **პუტინმა მოკლა და არ იხრწნებაო...** იმ ტელევიზიას და... ა...სას **(ცენზურა ჩვენია. რედ.) დეპუტატმა მაჭუტაძემ,** სადაც შენ დროს გითმობენ და ჭკუას გეკითხებიან!

☺

გახსოვს, **მურმან,** ერთხელ თქვი — ყველა დავამარცხე, აწი ბიძინა ივანიშვილსაც დავამარცხებო... არ დაიწყო ახლა — ეგეც კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილიო... არაფერიც არ იყო ამოგლეჯილი, სწორედ მაგ სურვილმა მოგიღო ბოლო და გაგამზადა ხონში გადასაყვანად ზოლიანი ხალათით... მაგ სურვილმა შენზე „მაგარი“ ბიჭები გააგიჟა და უკრაინიდან არაჟნის კონტეინერითაც კი ჩამოიყვანა... **შენც რამე ცუდში არ ჩაჯდე, თუ უკვე არა ზიხარ!**



# როცა ცარიელი თავი ფეხებს მოსვენებას არ აძლევს!

რომელიც სწრაფად ვითარდებოდაო! სახელმწიფოებრიობა არა, ჩემი ფეხები, მაგან აქ სასაკლაო მოაწყო! გარედან მაყურებელ ე.წ. დიპლომატებს, ე.წ. პოლიტიკოსებსა თუ სხვა ფეხზე მატრიალებლებს ჩვენი ბიუჯეტიდან წელიწადში 20 მილიონი დოლარი გაჰქონდათ და ამიტომაც მონათლეს ჯალათი დემოკრატიის შუქურად... რაც აქ ხდებოდა, იმაზე კრინტსაც არ ძრავდნენ. მაგრამ 2012 წლიდან „დარმავოი“ შემოსავლები შეუწყდათ და გიჟებს დაემსგავსნენ, ვერ ეგუებიან მსუყე ლუკმისა და მონების დაკარგვას. არადა, აქ რომ მეორე ფრონტი გახსნილიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ დიდ მაყუთს მოღუნავდნენ? ამიტომაც არ აწყობთ ეს ხელისუფლება, ამიტომაც ცდილობენ, როგორმე ჩამოიშორონ, მაგრამ... არაფერი გამოუვათ, რადგან ჩვენ, მათდა სამწუხაროდ, გავიზარდეთ, უბრალოდ, ველარ გვატყუებენ!

☺

**კურკუმალი ერთგვარი ინდიკატორია... როცა მთელი ქვეყანა მაგაზე იცინის, ესე იგი, ჩვენ მართლა გავიზარდეთ. ადრე ეგეთი დუპლეტები გენიოსები გვეგონა, თუ ამერიკელები იტყოდნენ, მავანი დემოკრატიის შუქურააო, გვჯეროდა: არა, ყველას არ გვჯეროდა, მაგრამ უმეტესობა მაინც მონუსხული იყო — ამერიკელები განა ტყუილს იტყვიანო?**

ჰმ... ესენი ველარ მიხვდნენ, რომ ის დრო წავიდა, **ახლა დუპლეტები გენიოსები აღარ გვგონია,** მოვლენებს, ნივთებსა და სხვადასხვა სახის წარმონაქმნებს ნამდვილ სახელებს ვარქმევთ!

☺

მოკლედ, ფოტოზე თქვენ ხედავთ მომენტს, როცა **დუპლეტის ცარიელი თავი დუპლეტის ფეხებს მოსვენებას არ აძლევს!**

იცით, როგორ დააკომენტარა თავისივე ვიდეო **კურკუმალმა?** სწორედ ასეთი სისწრაფეა საჭირო ქვეყნის განვითარებისთვისო! აი, სააკაშვილი რომ ანვითარებდა ქვეყანას სწრაფად, ზუსტად ისეთი, კორპუსების ფასადებს რომ ღებავდა, რომლებიც გარედან მტერს უბრმავებდა თვალებს და შიგნიდან — მოყვარეს... მარჯანიშვილის პროსპექტი რომ გაარემონტეს გიფსოებით და ერთ კვირაში ალაგ-ალაგ იფხრიწებოდა... სოფლებში გაზის ბალონით ცისფერ ალს რომ ანთებდნენ და ტრაბახობდნენ, გაზიფიცირება მოვახდინეთო... გზებზე ასფალტს რომ აგებდნენ, ერთ კვირაში ისევ გადასათხრელი ხდებოდა. ეგ იყო სისწრაფე კი არა, „დაჟე“ ზებგერითობა!

☺

სააკაშვილმა ქართული სახელმწიფოებრიობა შექმნა,



# სიყვარული, ძალუასა შენსა!

კი გაიძახით — რეიტინგი ამათ არა აქვთ, ქართველ საზოგადოებაზე გავლენა ამათ არა აქვთ, კომიკური წარმონაქმნები არიან, რომ უყურებ, სიცილი გინდება და თავი ცირკში გგონიაო... **სამაგიეროდ, დიდი სიყვარული აქვთ, დაუღალავი გრძნობები აქვთ, ანთებული თვალები აქვთ, რაღაცნაირი ღიმილი აქვთ — მომნუსხველი, შეუვალი და „ნეფხვური“!**

შეიძლება, დახედოთ **ნიკუტა-კობაიძეს** ფოტოს და სხვანაირად იფიქროთ? განა ამათი თვალები პირდაპირ არ გეუბნებათ, რომ თუ არა გენეტიკა, ამათ ეგეთი ღრმააზროვანი გამომეტყველება ვერ ექნებოდათო.

მეტიც! — შეხტერისა და ზინგერის ემოციის ორფაქტორიანი თეორიის თანახმად, **ამათი ჩახუტება მოიცავს ფიზიოლოგიურ აღძვრას და სოციალურ ინტერპრეტაციას. ამ შემთხვევაში მთავარი აღძვრა და სოციალური ინტერპრეტაციაა.**

☺

ისე, დღევანდელი სამყარო მაგარი პარადოქსებით არის აღსავსე — სიყვარულზე **ვიოლა გერინგი** გველაპარაკება, პატიოსნებაზე — **ხაბაზი,** პატრიოტობაზე — **ნიკუტა,** ქართველი ხალხის მიზნებსა და ამოცანებზე — **კუბილიუსი,** პოლიტიკაზე — **მარკეტა,** სამართლიანობაზე — **სალომე ბაბო...** სია უსასრულოა!

ჰო, ეგრეა, **გერინგი** გვეუბნება, სიყვარულს ვერ დაამარცხებთო... ოღონდაც ხვალ ვინმე **გებელსი** არ გამოვიდოდეს და მედიის თავისუფლებაზე არ დაგვიწყებდეს ლაპარაკს... ან ვინმე **ჰიტლერი** არ მოინდომებდეს ადამიანთა უფლებებზე ლექციების ჩატარებას.

ისე კი, ვაი ამ სიყვარულს, ამდენი **ძალუას** ხელში!




# ქაქმადიდებლები





**ნინო ნადირაძეს** ვუსმინე, **პოლონელ არტურაზე** ლაპარაკობდა... აი, იმაზე, თავი ექიმად რო შემოგვასაღა და მიხას პალატიდან ნასკით **ქაქი** გამოიტანა... ბიოლოგიური ნიმუშიო — ზრდილობის გულისთვის ამბობენ — არადა, სომხების გარდა, სხვებიც მიხვდებიან, რაც იყო.

ჯერ ის ვერ გავიგე, არტურა რანაირი პოლონელია და მერე კიდე ის ვერ დავადგინე, **ქაქის** ქურდი რანაირი ექიმია?!

ჰმ... დათვი მჭლე და შენ მსუქანი, მიხოია ჩათლახო!

# უკრიანი – ახალი ქვეყანა ჭუტელების ენაზე

რავი... **ნუკრიანი** გამიგია, **ნიკარაგუა** გამიგია, **ბურკინა-ფასო** გამიგია, **კამერუნი** გამიგია, **მავრიკია** გამიგია, **ნაურუ** გამიგია, **შრი-ლანკაც** გამიგია... აი, **უკრიანი** ნამდვილად არ გამიგია!

სულ ვიძახი, **ჭუტაანებში** წერა-კითხვა არავინ იცისმეთქი, მაგრამ ყურებში უშვებს ვინმე?

მარტო **ჭუტაანებში?** არც **კეზერაანებში** იციან, ე.წ.



TV პირველი

LIVE

მივმართავ უკრიანის პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება სააკაშვილის მკველელობის მომზადების საქმეზე - არახამია

ოპოარხებს ერთი **აჭუ** ჰყავთ განათლებული.

☺

რაც შეეხება **ვინმე არახამიას,** მაგას ბავშვობაში ჭოჭინა რო დაუფრთხა, ჯერ სტავროპოლის მიდამოებში დააჭენებდა, მერე — მოსკოვებში, ბოლოს — „უკრიანის“ ტრასაზე და... დღემდე ვერ გაჩერებულა.

☺

არა, **ნუკრიანი** გამიგია, **ნიკარაგუაც** გამიგია, **შვლის ნუკრიც** გამიგია... **უკრიანი** არ გამიგია!

მოკლედ:

შეცდომაა — **მკველელობა.**

სწორია — **მკვლელობა.**

მერე, სად არის ან **მკველელობის მომზადება,** ან **მკვლელობის მომზადება...** თუნდაც მცდელობა, თქვე მართლა ჭუტელებო!

სიტყვა ვერ გიბრუნებიათ და ქვეყნის გადაბრუნებას აპირებთ?

# ევრო-ფული და ამერი-ფული ლობიზმი

იმის ნაცვლად, **მიშა სააკაშვილის მშობელი** კრებაზე გამოცხადებულიყო და ბოდიში მაინც მოეხადა, ცოდვები მოენანიებინა, ე.წ. ლობისტები დაიქირავა და მათი საშუალებით ევროპარლამენტარები მოისყიდა.

დააკვირდით, მოსყიდულთა შორის, ძირითადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლები არიან, უფრო ბალტიისპირელები და აღმოსავლეთ ევროპიელები, **კუბილიუსებთან, მარკეტა გრეგოროვებთან** თუ **ფოტიგებთან** ვერცხლის უზალთუნებზე ლაპარაკი უფრო იოლია... შეიძლება დასავლეთ ევროპელი ძნელად მოისყიდო, აღმოსავლეთელთან და ბალტიისპირელთან კი დიდი რევერანსები არ გჭირდება, უნახავებმა რა ნახესო, ხომ გაგიგიათ?!

☺

ჰოდა... **გიულ-დედულიმ,** იმის ნაცვლად, მშობელთა კრებაზე მოსულიყო, მილიონები დახარჯა, ქრთამების ჩამორიგება დაიწყო. თან იძახის — **მე იურიდიული კომპანია დავიქირავე, რა პრობლემააო?**

**იურიდიული კომპანიები** ევროპარლამენტარებს რეზოლუციებს არ უწერენ და წაუკითხავად ხელს არ აწერინებენ!

**იურიდიული კომპანიები** ტელევიზიებს გადაცემებს არ ამზადებინებენ!

**იურიდიული კომპანიები** გაზეთებს სტატიებს არ უკვეთავენ!

**იურიდიული კომპანიები** ექიმების ნაცვლად ყასბებთან არ თანამშრომლობენ!

**იურიდიული კომპანიები** გადაღრძუებულ ტრავმატოლოგს ნობელის პრემიის ლაურეატად არ ასაღებენ!

**იურიდიული კომპანიები** აშშ სენატორებს არ არწმუნებენ, საქართველოს სანქციები დაუწესეთო!

**იურიდიული კომპანიები** ევროპარლამენტსა და თეთრ სახლში არ დაბოდიალობენ, დეპუტატებსა და სენატორებს წითელ-მწვანე თუმნიანებს არ ურიგებენ!

ამ გიულ-დედულიმ და მისმა გაიძვერა ძმამ კი მთელი ევროპა წაბილწეს... **არა, ევროპა წაბილწული რომ არ ყოფილიყო, ვერაფერს იზამდნენ, მაგრამ ამათ დაამატეს.**

☺

თქვენ რომ გგონიათ, სააკაშვილის მეგობრები და გულშემატკივრები არიანო, სინამდვილეში ყველას ფული აქვს აღებული! თან აღარც რისკავენ, ქრთამი გააოფიციალურეს — **ლობიზმი** დაარქვეს.

ახლა მიხო სააკაშვილს გინდა შაქრო დაარქვი, გინდა — სურენა, რამე შეიცვლება? რაც იყო, იგივე ნაგავი არ დარჩება?!

რა, იმ პოლონელმა ვეტექიმმა, მიხას კურკლი ნასკში რომ ჩაიდო და გასკვანჩეს, გგონიათ, აუტკივარი თავი ფულის გარეშე აიტკივა?

• ევროპარლამენტისთვის რეზოლუციების დაწერა და ევროპარლამენტისთვის მიწოდება (Drafting proposed resolutions for the EU Parliament);

• კომუნიკაცია ევროპარლამენტის წამების პრევენციის კომიტეტთან დახმარების მისაღებად (Communications with the European Committee for the Prevention of Torture to enlist its help);

• მიხეილ სააკაშვილის შესახებ სტატიების მომზადება (Strategy for and preparation of op-ed concerning Mr. Saakashvili's situation);

• მაგნიტსკის სიაში სააკაშვილის საქმის შესახებ ჩანაწერის მომზადება და მის შესახებ რელევანტურ პირებთან კომუნიკაცია (Communications concerning inclusion of Mr. Saakashvili's case in the Magnitsky List and preparation of text and materials);

• კოორდინაცია გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ პირებთან სააკაშვილის შესახებ მასალების გაზიარების მიზნით შემდეგ ადრესატებთან: სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მაიკ მაკქოლი (Coordinate with UK officials for transmission of materials to U.S.Secretary of State Antony Blinken and Chairman of the House Committee on Foreign Affairs, Michael McCaul).



## ვარდს გაეფურჩქნა... ქოჩორი!

რაც გინდათ, ის თქვით... რაც გინდათ, ის დააბრალეთ... როგორც გინდათ, ისე მოიხსენიეთ... რაც გინდათ, ის უწოდეთ... **ფაქტია, რავი, ე ქალი კი გაიფურჩქნა!**

შვილი უკვდებაო... უყროლდებაო, დილამდე ვერ გაატანსო... ნეკნები ეთვლებაო, ავად არიო... ისაო, ესაო, ექსპერტები ათას რამეს ამბობენო, არასახარბიელო დასკვნებს წერენო, შეშფოთებულები არიანო, 97 სახის დაავადება აღმოაჩნდაო.

**ვისაც შვილი უკვდება, ის ეგრე არ იფურჩქნება... ვის შვილსაც 97 სახის დაავადება აწუხებს, ყელზე ფერად-ფერადი მძივი არა ჰკიდია... ვისი შვილიც იხრწნება, იმას პომადებისთვის არა სცალია და არც ვარდ-ყვავილებით შემკულ კაბას იცვამს... ვისი შვილის გამოც ექსპერტები თუ ექიმები შეშფოთებულები არიან, იმას წითელი ნიფხავი არ აცვია და არც სტუდიიდან სტუდიაში დაწანწალებს ყალბი პრეტენზიებით!**

დაბოლოს... ვის შვილსაც ნახევარი პარასკევი დარჩენია, ის არ თხოვდება ოთხმოცდამეჩვიდმეტეჯერ და არ იფურჩქნება მაისის ვარდივით.




## თამარ-ქმარი

კვლავ მიეწვივნა **მერაბ მეტრეველს** სტუდიაში და ალაპარაკებდა ემოციურად, ხელებისა და ფეხების მოშველიებით.

**თამარამ** — ამ არჩევნებისთვის ნაცმოძრაობაც უნდა ჩავრეცხოთ და „ქართული ოცნებაც“, ეგენი ერთნი არიან, ერთადერთი დამოუკიდებელი და თავისუფალი ძალა ჩვენ ვართ — **მე და გიგაო!**

დღეს ჩვენ 60 ათასი ამომრჩეველი გვიჭერს მხარს, ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, ემატება და ემატებაო... ისე ემატება, ხელისუფლებაში რო არ მოვიდეთ, არ იქნებაო, **მე და გიგაო...** აბა, **გიგას გარდა** სხვა პატიოსანი პოლიტიკოსი გეგულებათო?

ჩვენ კეზერაშვილები და მერაბიშვილები გვებრძვიან, თორემ აქამდეც მოვიდოდითო.

☺

დღეს **კეზერაშვილი** რაღაცებს თამაშობს, პიროვნულად ვერ შედგა, საკუთარი თავი სხვაგან ვერ იპოვა, სხვანაირად არ შეუძლიაო... **სააკაშვილი** კიდე მთლად წავიდა ხელიდანო, აწი მაგას რამე თუ უშველის, არ ვიცი, წამდაუწუმ აიწევს ხოლმე „მაიკას“ და თავის ნეკნებს გვათვლევინებსო... მაგის მომხრეებს რა იმედებიც ჰქონდათ, ისიც გაქრაო... ვხედავ, ამჟამად **ბიძინა ივანიშვილი** მყარად არიო.

ჰა, ჰა, ჰა! თან იძახის — **ბიძინა ივანიშვილი** მყარად არიო, თან დასძენს — ხელისუფლებაში **მე და გიგა** მოვდივართო.

**მეტრეველი თავს აქიცინებს, გიგას კნეინასთან სიტუაციას არ ამწვავებს, მისი ქმრისგან განსხვავებით, შეიძლება წყლიანი ჭიქა შუბლზე მიაფშხვნას!**

☺

კიდე ბევრი იწვალა **თამარამ...** მე რომ დეპუტატობა მინდოდეს, აქამდე გავდეპუტატდებოდი, უბრალოდ, არ მიღირს, უფრო დიად მიზნებს ვარ შეჭიდებული, პარლამენტარის 5-ათასლარიანი ხელფასი იმათ ხიბლავთ, ჯერ რომ იძახდნენ არ შევალთო და მერე კიდე უცებ რომ შეცვივდნენო.

არა, მე მართლა მიყვარს **თამარ-ქალისა** თუ **თამარ-ქმარის** ღრმააზროვანი ანალიზები ხელებისა და ფეხების მოშველიებით... ისე, ხანდახან სიმართლესაც გამოურევს ხოლმე!

## თავად მოსაქნევი თითებს გვიქნევს!



მე რომ თავმოყვარეობა მქონდეს, ეგეთი არარაობა პარლამენტში რატომ უნდა მეჯდეს და სოლიდურ ხელფასს რატომ უნდა იღებდეს?

განა ჩემი ბრალია, მაგრამ მაინც საკუთარ თავზე ვბრაზობ.

თითქმის ერთი წელიწადიღა დარჩა მომდევნო არჩევნებამდე, მაგრამ უკვე დაიწყეს ფუთფუთი, გამობობღდნენ მატლებივით, ემზადებიან, ისევ უნდათ მოჯდომა მუქთაზე... მეტსაც ითხოვენ, მეტი მიზნები ამოძრავებთ — **ბიძინა ივანიშვილიც უნდა დავამარცხოთო და „ქართული ოცნებაცო“... უკაცრავად, „რუსული ოცნებაო“...** მორჩა, გადაწყვეტილი ამბავია, აშშ-სა და ევროპაში გადაწყვიტეს.

ბიძინა ივანიშვილი უნდა დამარცხდესო, უცხოელებს აღარ უნდათ, ყელში ამოუვიდათო, ახლა ასპარეზი ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთო, — იძახიან ახალგაზრდა დაჩამიჩებულები!

☺

უფრო მეტიც: ერთობა უნდა შევკრათ ახალი ფანჩატურითო... არადა, კურკუმალასი და ამისი შეკრული ერთობა რა უნდა იყოს?

თუმცა, რა გინდა — ვერა ზის ეს გაუთლელი, დგომაც რომ არ იცის, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და თითებსაც ვერ **გვიქნევს** ყოველდღე ტელევიზორიდან.

არადა, ეგ თითების მქნეველი თავად როა მოსაქნევი პოლიტიკური სივრციდან, მაინცდამაინც მე უნდა ვუთხრა და ისიც გაზეთით?

## ჭყონიზირების ახალი მასშტაბები

ამას ჰგონია, **რაკი შევარდნაძის** ზეობის პერიოდში 5-მილიონიანი თურქული კრედიტი შეიტყაპუნა, „კოსმოსის“ ნაცვლად სიგარა იყიდა და კაი ფულიც იშოვა, ტვინი მოემატა.

ჰოდა, რომ ჰგონია, ტვინიც მომემატა, უკვე ყურებიდან გადმომდისო, **ოპოზიციონერობაც მოინდომა...** აქამდე ე.წ. ოპოზიციონერებს მხოლოდ აფინანსებდა, ახლა ეს აღარ კმარა, ახლა თვითონაც მოუნდა მათ რიგებში გარევა.

☺

ვნახოთ, რა გამოუვა, რაც **მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ** გააკეთეს პოლიტიკაში, ალბათ, იმავეს გააკეთებს... დიდი-დიდი, თავისი ასული **სოფო** გაიყვანოს პარლამენტში ნაციონალების სიით, თვითონაც შეუძლია ერთი ადგილის ყიდვა... **ასევე შეუძლია, ბატონ მამუკივით 27 მილიონი დახარჯოს,**



**3-4 ადგილი იყიდოს ვანო მერაბიშვილისგან და თავისი ჯგუფიც შექმნას საკანონმდებლო ორგანოში.**

☺

ამ დღეებში გამოცხადდა, **სოფო ჭყონია „ფრანკლინის კლუბის“ მრჩეველთა საბჭოს** შეუერთდაო. მე გამიკვირდებოდა, **მეცნიერებათა აკადემიის მრჩეველთა საბჭოს** რომ შეერთებოდა. ამ ერთ სფეროში მაინც გადავრჩით!

დაველოდოთ, როცა **დონ ჭყორლეონე** პოლიტიკაში კისერს წაიმტვრევს, დანარჩენს შემდეგ მოგახსენებთ!

გაგრძელება მე-8 გვერდზე

დასაწყისი მე-6 გვერდზე

# ორი ტრულაილა



დავხედავ სურათს და მიტყდება სიცილი... სახლში უკვე ეჭვით მიყურებენ, სიტყვას ბანზე მიგდებენ, მაჩერებენ... ისევ დავხედავ სურათს, ისევ ამიტყდება სიცილი, ისევ ამიგდებენ სიტყვას ბანზე, ისევ გამაჩერებენ და აეგრე ვწვალობ მთელი დღე!

მერე გამახსენდება, რომ მარცხნივ მდგომ **ტრულაილას** პრემიერ-მინისტრობა უნდა და... ვხარხარებ!

მგონი, მარჯვნივ მდგომ **ტრულაილასაც** პრემიერ-მინისტრობა უნდა... ან პრეზიდენტობა... ან სულაც — შინაგან საქმეთა მინისტრობა... წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ეს **მარჯვნივ მდგომი ტრულაილა** ან პრეზიდენტი გახდა, ან შინაგან საქმეთა მინისტრი და... ისევ ვხარხარებ.

ამ დღეებში **ეს ორი ტრულაილა** შეერთებულა — **ბიძინა ივანიშვილი უნდა დავამარცხოთ და „ქართული ოცნებაც“ ეგრევე დამარცხდებაო.** ესე იგი, **კურკუმალამ და ჭიჭიკომ** უნდა დაამარცხონ ბიძინა ივანიშვილი და, შესაბამისად, „ქართული ოცნებაც“.

დავუშვათ, **მარცხენა ტრულაილა** მართლაც გახდა პრემიერ-მინისტრი, ხოლო **მარჯვენა ტრულაილა** — პრეზიდენტი, რანაირი იქნება ჩვენი ყოფა და სამშობლო?

აააა... გასაგებია, მაგას ვერც წარმოიდგენთ... რომც წარმოიდგინოთ, სიცილით დაიხოცებით, ხომ?

**აი, ამათ, ამ ტრულაილებსაც ეგ უნდათ, რომ საქართველოს მოსახლეობა სიცილით დაიხოცოს და მერე თვითონ იბაირამონ.**

**მა რააა... ადამიანს სიცილით მოკლავ თუ ავტომატით, განა დიდი სხვაობაა?**

# 2024-ში გაგახვევენ ყველას ნოხში!

ტელევიზორში ლაპარაკობდნენ, 2024-ში გაერთიანებული ოპოზიცია პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად **ჭიჭიკო ვაშაძის** კანდიდატურის წარდგენას აპირებსო!

თავიდან ძველი ანეკდოტი მეგონა, წინა საპარლამენტო არჩევნებისდროინდელი, თურმე, მართლა ლაპარაკობდნენ, თანაც სერიოზულად!

თუმცაო — დასძინა ვინმე **სერგო ჩიხლაძემ,** — ჯერ ოპოზიციის გაერთიანებაზე უნდა ვიფიქროთ და იმაზე შევჯერდეთ, რა ფორმის კონსენსუსს მივაღწევთო...

☺

აშკარაა, **ჭიჭიკო** პრემიერობაზე ოცნებობს და ე.წ. ოპოზიციას სასინჯი კენჭი გადაუგდო.

რატომ მაინცდამაინც ჭიჭიკოვო? — იკითხეს ვიღაც ბაღნებმა.

იმიტომ, რო დიდი პოტენციალი, ენერგია და გავლენა აქვსო.

მე კიდე... ეგრევე ჩემი სოფლელი **ომანა** გამახსენდა, იმას რო პოტენციალი და ენერგია ჰქონდა, ჭიჭიკოს არც დაესიზმრება. თანაც ის უფრო კეთილი და გამტანი იყო, სოფელში არავინ დაიმარხებოდა, ჭირისუფალს რო არ მიხმარებოდა და თავისებურად არ დაეტირებინა. მთელი დღე აღმა-დაღმა დააბოტებდა და ყველას ეკითხებოდა — **აქეთ არაგვს ხო არ ჩამოუვლიაო?**

**არა, არა, მარტო ალაზანმა ჩამაიარაო!** — გასძახებდნენ „ბირჟავიკები“ და გააგრძელებდა გზასა.

ერთი ეგ იყო, **ომანას არასდროს გასჩენია სურვილი, თავი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წარმოედგინა. ისე, რო წარმოედგინა, ჭიჭესავით 1%-ს კი არ აიღებდა, უფრო მეტს!**

☺

ჰმ... **პოტენციალი** აქვს, **გამოცდილება** და **გავლენაო!**

არ აკონკრეტებენ, **რისი პოტენციალი** და **გამოცდილება** აქვს. ერთხელ იუსტიციის სახლში დანიშნეს „ნაჩალნიკად“ და დღემდე იბრიქება — მე ავაშენე და დავალაგე, სისტემაც ავაწყეო.

**ვითომ, 2017-ში ქარმა რო დაუბერა და ჭერი ააფრიალა, მაგისი გაკეთება 2 მილიონი არ დაჯდა!**

**ვითომ, თავის დროზე ეგ „სოკოები“ დარღვევებით არ აშენდა და ვითომ ყალბ პირადობებს პაპაჩემი ირაკლი ბეჭდავდა.**

☺

ისე, რაღა დაგიმალოთ და... ე.წ. ოპოზიცია საპირწონედ **ჭიჭიკოს** რო გვიყენებს, მართლა გაფარჩაკებულ მდგომარეობაში ყოფილა. ე.წ. ოპოზიციას თავის ხელახალ ლიდერად **ნიკა გვარამია** რო ესახება, პოლიტიკურად მართლა მიწისკენ ჰქონია პირი მიბრუნებული.

სიმართლე თქვა **ირაკლი კობახიძემ** — მაგათ აღარაფერი ეშველებათ, 2024 წლის არჩევნებამდე ვეღარც კი მიაღწევენო.

# სექსუალური არითმია



ტიპი ვერა და ვერ ჩამოყალიბდა, მისი გული ვის ეკუთვნის... არა, აქ **გულზეა** ლაპარაკი, თორემ მისი სხეულის ერთი ნაწილი რომ უკრაინას ეკუთვნის, ხოლო მეორე — საქართველოს, კარგახანია, ცნობილია.

ჯერ იყო, **ლიზასთან** ერთად ჩაწერა ვიდეო — **ორმა მტრედმა ახალი ბუდე გავიკეთეთო**



**და... სანდრა** გავარდა ჰოლანდიაში — მაგაზე დამაშვრალს ეს რანაირად მაკადრაო?!

მერე **სოფო ნიჟარაძეზე** დაწერა — **ჩემი დარჩენილი წლები და გული მას ეკუთვნის, ვერავინ შეეცილებაო...** ახლა **ლიზამ** ყარა ქოშები უკუღმა — **რას ჰქვია, შენი გული სოფოს ეკუთვნის, რასაა რომ მკადრებ, შე შეჩვენებულო, ვერ ხედავ, რომ ომში ვარო?!**

მიხამ თავისი გულმხურვალე პოსტი ეგრევე წაშალა, ხოლო **სანდრას** განუცხადებია — **მიშა ბოლოს მაინც ჩემი იქნება, ახლა, უბრალოდ, კრიზისი აქვსო.** მერე საქართველოში დაბრუნდა, შუშის ხიდზე ჩამოჯდა და კონტრაბასზე შეუბერა...

**ლიზა იასკოს** ამაზე ჩასცინებია — **მიშა ბოლოს ვისი იქნება, მაგასაც ვნახავთო,** ხოლო **სანდრას** ჩაულაპარაკნია — **თუ ციხიდან დავიხსენი, ეგრევე ჰოლანდიაში წავიყვან და დრენთეს ვაჭმევ, ამას ცივი მჭადით ვერ გავასუქებო.**



**სოფოს** უთქვამს — **ეგღა მაკლია, მიშას გული ვინმეს დავუთმო, მაგას მხოლოდ დედაჩემის მომზადებული საცივი თუ უშველისო!**



☺

თურმე ესენი, ეს ცოლები ერთმანეთს ურეკავენ და ეჩხუბებიან — **შენა, ქალო, ხო არაფერი გეშლება, ხო არ გინდა, კაწაწებით გითრიოვო?**

ვინ ვის ითრევს კაწაწებით, მაგასაც ვნახავთ, შე ასეთო და ისეთოო!

**ლიზასთვის** მიუხლიათ პირდაპირ — **შენ კიდე, არაყს რო ყლურწამ ხოლმე, არა გრცხვენიაო?**

იმას უთქვამს — **არაყსაცა ვყლურწამ და ბორშჩსაც ვაყოლებ, რაზე უნდა მრცხვენოდეს, თქვენსავით სალათის ფურცლებზე კი არა ვარ გაზრდილიო.**

ვინ არი, ქალო, სალათის ფურცლებზე გაზრდილი, შენ ალაოდ ხო არა ხარო?

ალაოდ შენა ხარ, შე ნიდერლანდელო ქაჯოვო!

☺

მოკლედ, როგორც ავი ენები ამბობენ, **თუ მიხამ სექსუალური არითმია არ დაირეგულირა,** მის საცოლეთში სისხლი დაიღვრება. არა, მაგათ სისხლს ნამდვილად ვეღარ აიტანს ქართული მიწა!

# ეგრემც უქნიათ, მაგისაგან სალამურიც გამოუთლიათ!

მარკეტამ და გასტრონომამ თავიანთებურად დაგვმოძღვრეს და შემდეგ მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით გვითხრეს — ახლა, როცა **პლურალიზმის შუქურა ნიკა გვარამია** თავისუფალია, თავი ქუდში გაქვთ, ის დაგეხმარებათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაშიო.

☺

მა რააა... **მაგან ისეთივე აქტიურ მოქალაქეებად უნდა ჩამოგვაყალიბოს, თვითონ რომ იყო კარცერ-ლუქსში გამწესებამდე.**

დიახაც!

**გვარამია** გვასწავლის, როგორ უნდა ჩავაშარდოთ ღვინისა და „ბორჯომის“ ბოთლებში, როგორ უნდა ვაგინოთ მავანს და მავანს დედა, როგორ ვეძახოთ პრეზიდენტობის კანდიდატს მზექალა, რათა არ ეწყინოს და მერე **პლურალისტულ მოტივებზე** შეგვიწყალოს.

ჰო... **ნიკა გვარამია** ასევე გვასწავლის, როგორ დავამზადოთ ფილმები მავანთა მოსაკვდინებლად... როგორ წავიღოთ სახლში მილიონები პატიოსანი გზით, როგორ დავინიშნოთ 65-ათასიანი ხელფასი პატრიოტულად.

☺

ბრიუსელში უთქვამთ ნიკასათვის — **ჟურნალისტიკაში არნახული მოღვაწეობისთვის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის, ციხეში გამძლეობისთვის და შემდეგ თავის დაღწევისთვის ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო კომიტეტი ბატის სკლინტით გაჯილდოვებსო.**



არა, ეგრე არ უთქვამთ (დაუმალეს), **ბატის სკლინტსა გკიდებთო,** მაგრამ, ფაქტობრივად, ეგრეა — ეს იგივეა, ხვალ რომ **სალომე ბაბომ** მეგისა ქარდავა შეიწყალოს და მისი გადაღებული ფილმები ოსკარზე წარადგინოს. არ გაგიკვირდეთ, მალე, ალბათ, მაგასაც იზამს, თუ ზემოდან ყუფარიუსები დარეკავენ. ავი ენები ამბობენ და **მარკეტა-გასტრონომათა** ბოდვათაგანაც იგივე გამოსჭვივის, რომ ნიკას ოპოზიციის ლიდერად ამზადებენ. გამოდის, რომ **მარკეტებს, გასტრონომებს, დუქანიუსებსა თუ კუბო-ლიუსებს** უნდათ, ეს ქათამი მეფანჩატურეთა „უმფროსად“ აქციონ. **ეგრემც უქნიათ — მაგისაგან სალამურიც გამოუთლიათ!**





# მოგელანდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**

*ბოლო პერიოდში არაერთხელ აღვნიშნე, რომ ზელენსკი ნაცებთან ერთად „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ სპეცოპერაციას ამზადებს და იგი მოიცავს სამხედრო გადატრიალებისა და „ფერადი რევოლუციის“ ელემენტებს „თბილისის ომისა“ და „ევრომაიდნის“ მსგავსად — განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უცხოური სამხედრო ჩარევა ამჯერად არ შემოიფარგლება პუტჩისტების შეიარაღებით, როგორც პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობისას, ამჯერად საქართველოს დააცხრება უკრაინული დესანტი — მამულაშვილის „ქართული ლეგიონის“, „აზოვის“ ბატალიონისა და სხვა ქვედანაყოფების შემადგენლობით.*

არნო ხიდირბეგიშვილი

# ერდოღანის განდაგანა:

## ნაცების ხროვა თურქეთს „ოცნების“ ხელისუფლების დასამხობად აქეზებს!



კიევის მხრიდან სპეცოპერაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია **დავით არახამია,** დასავლეთის მიერ არჩეული ახალი ლიდერი, რომელსაც ევალება **საქართველოს ინტეგრირება უკრაინასთან რადიკალურ ქართულ ოპოზიციაზე დაყრდნობით, უფრო ზუსტად, უკრაინის პროტექტორატის ქვეშ მოქცევა, რათა მართვის სადავეები რუსეთს არ ერგოს.** ნაცების მხრიდან სპეცოპერაციის მომზადებას კურირებს ევროპაში ქასთინგგავლილი **ნიკა გვარამია,** რომელსაც დავალებული აქვს ქართული რადიკალური ოპოზიციის გაერთიანება.

**ზელენსკი-არახამიასა და სააკაშვილი-გვარამიას მხარე** იმედს ამყარებს დასავლეთისა და შეერთებული შტატების მხარდაჭერაზე, რომლებსაც საკუთარი მიზანი ამოძრავებთ: **შეცვალონ „ოცნების“ ჯიუტი ხელისუფლება, რომელიც არ უერთდება ანტირუსულ სანქციებს და ავითარებს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სატრანსპორტო ურთიერთობებს.** არადა, ამერიკამ სრული კონტროლი უნდა დაამყაროს სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურად სტრატეგიულ ტერიტორიაზე, რომელზეც გადის სატრანზიტო სატრანსპორტო მაგისტრალები და მაგისტრალური მილსადენები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ჩინეთიდან — ევროპამდე და რუსეთიდან — ინდოეთამდე.

კიევის რეჟიმის მიზანი შეერთებული შტატების ზრახვებს ემთხვევა — შეცვალოს „ოცნების“ ხელისუფლება, რომელიც არაფრისდიდებით არ ხსნის „მეორე ფრონტს“ რუსეთის წინააღმდეგ, არ უწევს სამხედრო მხარდაჭერას უკრაინას. **ზელენსკის სურს, ფრონტზე წარუმატებელი კონტრშეტევის კომპენსირება „ოცნების“ „პრორუსი“ ხელისუფლების დასამხობად სპეცოპერაციით მოახდინოს!** იგი აპირებს, აიძულოს ნატო, გამოუყოს ზელენსკის რეჟიმს ორჯერ მეტი იარაღი, **„რადგან უკრაინა ამიერიდან კისრულობს რუსეთისგან არამხოლოდ საკუთარი, არამედ საქართველოს ტერიტორიების გათავისუფლებას!“**

ნაცების ხროვის მიზანი ბევრად პრიმიტიულია — **სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში დაბრუნება, რადგან მომავალი წლის არჩევნებში, თუნდაც გაერთიანებული ოპოზიციური ფლანგის წყალობით, ელექტორატის მხარდაჭერას ვერ მიაღწევს.**

მაგრამ, რაკიღა დასავლეთის, აგრეთვე კიევის რეჟიმისა და ნაცოპოზიციის მიზნები კანონსაწინააღმდეგოა, **საბაბად** სახელდება **უკრაინის მოქალაქის, „დიდი რეფორმატორისა და დემოკრატიის შუქურის“, ექსპრეზიდენტ სააკაშვილის გათავისუფლება,** ანუ „პუტინის პირადი პატიმრის“ სანატორიუმიდან გამოშვება, რომელსაც „საქართველოს პრორუსი ხელისუფლება კლავს!“

სინამდვილეში, სააკაშვილი არც უკრაინაში და არც საქართველოში არავის სჭირდება: **არახამიასა და გვარამიასთვის, რომლებიც საკუთარ თავს რუსეთისგან დაზარალებული აფხაზეთიდან ლტოლვილებად ასაღებენ, ცოცხალი სააკაშვილი მხოლოდ კომპრომატია, რადგან მშვენივრად იცის მათი ყველა საიდუმლო.**

აქვე წინა კვირის ჩემს პუბლიკაციასაც გავიხსენებ: **„სპეცოპერაციის ჩატარებაში ზელენსკის არამხოლოდ დასავლეთის, არამედ თურქეთის იმედი აქვს — ერდოღანს, რომელსაც აჭარისა და „ყირიმის“ ავტონომიებზე საკუთარი შეხედულებები გააჩნია, შეუძლია, ხელი შეუწყოს „ოცნების“ ხელისუფლების დამხობაში“.** საგულისხმოა, რომ **ორიოდ დღეში გვარამიამ სრულად დაადასტურა ჩემი პროგნოზი სააკაშვილის გათავისუფლების საბაბით უკრაინის მიერ სპეცოპერაციის ჩატარებაზე და მასში თურქეთის ჩარევის აუცილებლობაზე:** *„მიხეილ სააკაშვილის გადარჩენის გასაღები უკრაინაშია. მინდა, ამ ამბავს სხვა კუთხით შევხედო. მინდა, რომ ჩვენმა მეზობლებმა რეგიონში — აზერბაიჯანმა, სომხეთმა, თურქეთმა — თქვან თავიანთი სიტყვა სააკაშვილის გადარჩენის საკითხში. დარწმუნებული ვარ, ეს ქვეყნები შეშფოთებულნი არიან მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობით“.*

სომხეთსა და აზერბაიჯანზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ თურქეთის პრეზიდენტი მართლაც დაეხმარება **თურქოლოგ ალასანიას**შვილის „გადარჩენაში“, მიუხედავად იმისა, რომ **გიული** ერდოღანის მტერს **გიულენს** უყვარდა! **სულ მცირე, თურქეთი არანაკლებ აქტიური და დაინტერესებული იქნება, ვიდრე „მარცვლეულის გარიგების“ უზრუნველყოფისას.**

არა, **სააკაშვილს,** როგორც პიროვნებასა და ლიდერს, **ერდოღანისთვის** არავითარი ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ მას — აჭარელ თურქს — უეჭველად ემახსოვრება, რომ სწორედ სააკაშვილის პრეზიდენტობისას დაიწყო საქართველოში და განსაკუთრებით აჭარაში თურქეთის ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული ექსპანსია. დღეს ძნელია, განასხვავო ბათუმი, რომელიც მეჩეთიდან მუეძინის ხმაზე იღვიძებს, ლამაზი თურქული ქალაქისგან, **ერდოღანის** საჯარო აღიარებით ხომ **„თურქის გულში ბათუმი რიზესგან განუყოფელია!“** „ქართული ოცნება“ არასოდეს მისცემს აჭარას თურქეთს, ჰოდა, იქნებ დავეხმაროთ ნაცმოძრაობას, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს?“ — გამორიცხავს ვინმე, რომ ასეთი აზრი მართლაც უტრიალებდეს თავში ერდოღანს, რომელიც **სააკაშვილისა და ზელენსკისთვის** დახმარების აღმოჩენით ჯილდოდ არამარტო აჭარის, არამედ „ყირიმის ავტონომიასაც“ მიიღებს! აკი, 300 ათასი ყირიმელი თათარი კვლავინდებურად ითხოვს **„ყირიმთათრეთის ავტონომიას“,** რასაც ეთანხმება კიევი და არ ეთანხმება მოსკოვი!

ამ თხოვნით მათ აშშ-ის პრეზიდენტ **ობამასაც** კი მიმართეს, ხოლო დღეს მათი გამომსარჩლებელი თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანია! **მას შემდეგ, რაც თურქეთმა ამასწინათ არჩევანი ნატოსა და შეერთებული შტატების სასარგებლოდ გააკეთა, ყირიმელი თათრები, რომლებიც ყოველთვის ორიენტირებული იყვნენ ერდოღანზე, ანკარას პოლიტიკის ფარვატერში აქტიურად იმოქმედებენ.**

თანაც,

**არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერდოღანი ფრთაშესხმულია დიდი გამარჯვებით – სწორედ თურქეთის წყალობით, სულ რაღაც, 40 დღეში დასრულდა ყარაბაღის 30-წლიანი კონფლიქტი,**

**ხოლო დღეს თურქეთმა, პრაქტიკულად, განდევნა რუსეთი დარეგულირების პროცესიდან! „ფაშა“ ფაშინიანმა** ხომ, როგორც ამბობენ, ანკარას „რჩევით“, დააგვიანა რუსეთისთვის დახმარების თხოვნა, რითიც შეძლებდა, სულ მცირე, 5000 ადამიანის — არამარტო სომხების, არამედ აზერბაიჯანელების გადარჩენას! არადა, **ფაშინიანმა** ყველასგან მოულოდნელად აღიარა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა, რითიც იქ მდგარი რუსი მშვიდობისმყოფელები იდიოტურ, დაუპატიჟებელი სტუმრების მდგომარეობაში ჩააყენა!

აქაურ პროქტოპოლიტოლოგებში თურქეთის საგარეო პოლიტიკის 180-გრადუსიანმა შემობრუნებამ ერთგვარი შოკი გამოიწვია, თუმცა, შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, როდესაც ერდოღანმა და მისმა შინაგან საქმეთა მინისტრმა აშშ და ამერიკის ელჩი საბოტაჟში ამხილეს, დანამდვილებით ვიცოდით, **„თურქეთი ნატოს წევრია და ყოველთვის გააკეთებს იმას, რასაც ნატო ბრძანებს“.** ასეც მოხდა ვილნიუსის ნატოს სამიტზე, როდესაც თურქეთმა მხარი დაუჭირა უკრაინის ნატოში შესვლას, დათანხმდა შვედეთის ალიანსში გაწევრებას და კრემლისთვის შოკისმომგვრელი განცხადებაც გააკეთა, მოიწონა **„ნატოს გაფართოება, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტის“.**

სწორედ ამიტომ გამოვხატე პატივისცემა **პრემიერ ღარიბაშვილის** მიმართ, რომელმაც თავი შეიკავა „კავკასიურ პლატფორმაზე“ თამაშისგან თურქეთთან ერთად. და, საერთოდ, **შეიძლება თუ არა საქართველო დაეყრდნოს ერდოღანს,** რომელმაც უგანა პუტინის შეთავაზებას თურქეთის ენერგეტიკულ ჰაბად გადაქცევის თაობაზე, რომელიც ევროპას ნახშირწყალბადებით მოამარაგებდა? უფრო მეტიც, დაარღვია მოსკოვისათვის მიცემული პირობა და **ზელენსკის** გადასცა „აზოვის“ დატყვევებული მეთაურები, რომლებიც ფრონტის ხაზზე დაბრუნდნენ და ძველებურად ხოცავენ რუსებს?

**შეიძლება, ირწმუნო ერდოღანის, რომელიც პუტინმა უეჭველი სიკვდილისგან იხსნა, როცა აცნობა, რომ აჯანყებულები მის მოსაკლავად ვერტმფრენით მოფრინავდნენ, ხოლო ერდოღანმა ბრძანება გასცა, ჩამოეგდოთ რუსული ბომბდამშენი, რის შედეგადაც რუსი პილოტი დაიღუპა?**

**შეიძლება, ენდო ერდოღანს,** რომელიც მოსკოვში ჩაფრინდა პუტინისთვის ბოდიშის მოსახდელად და ძმა უწოდა, ხოლო უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყებიდან „ბაირაქტარებით“ ამარაგებდა კიეველ ნეონაცისტებს?! მეტიც, თურქეთი უკრაინაში ამ უპილოტო აპარატების ქარხანასაც კი აშენებს!

**დაე, რუსეთმა თვითონ გაარჩიოს — ვინ არის მისთვის მეგობარი — თურქი თუ ქართველი, ეს ჩემი საქმე არ გახლავთ, მე ვლაპარაკობ ადამიანებზე, ვინც ღალატი პოლიტიკური ხელოვნების დონეზე აიყვანა!**

ახლა კი ვინმემ დამისახელოს ერთი მიზეზი მაინც, რის გამოც ბირთვულ ზესახელმწიფოსთან მეომარ **ზელენსკის,** რომელსაც მთელი დასავლეთი იარაღით ამარაგებს ან **ერდოღანს,** რომელმაც ასიათასობით თანამოქალაქე **ფეთჰულა გიულენის** თანამონაწილედ გამოაცხადა და როცა მოეპრიანება, ბომბავს სირიას, მიუხედავად იქ რუსული ჯარის ყოფნისა, რომელიც ერთ თვეში ასრულებს ყარაბაღის კონფლიქტს აზერბაიჯანის გამარჯვებით, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა, **შეეშინდებათ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის, თანაც „პუტინის პირადი ტყვის“ გათავისუფლების კეთილშობილური მოტივით?**

## სააკაშვილს ერდოღანისთვის არავითარი ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ...

**P.S.**

*როგორც ისტორიის ლოგიკა გვკარნახობს, უახლოეს ხანში დაიწყება ერდოღანის ნამდვილი „განდაგანა“: ზელენსკის თხოვნით,* ***თურქეთის პრეზიდენტი*** *მიმართავს* ***საქართველოს რეზიდენტს,*** *რათა შეიწყალოს „ვივამედის“ სანატორიუმის ძალად გაჩხიკინებული ბინადარი!*






# არასტაბილური გიჟი და

**გასულ კვირას ბრიტანულ გაზეთ „The Times“-ში მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის წერილი გამოქვეყნდა, რომელიც, როგორც გამოცემა აღნიშნავს, კლინიკა „ვივამედიდან“ მალულად გამოიტანეს.**

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული უცხოელი ლობისტების ერთ-ერთ ფუნქციას საერთაშორისო პრესაში სტატიების გამოქვეყნება წარმოადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ცნობილ ბრიტანულ გაზეთში დაბეჭდილი სააკაშვილის წერილიც სწორედ ამ ლობისტური კამპანიის ნაწილია.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „ტაიმსში“ გამოქვეყნებულ წერილში სააკაშვილი საკუთარ თავს **„გამწარებულ, არასტაბილურ გიჟად“** მოიხსენიებს. წერს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დასავლეთის პოლიტიკურ ლიდერებს პუტინისაგან მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ აფრთხილებდა, მაგრამ არავინ მოუსმინა.

**„მათ უგულებელმყვეს, როგორც არასტაბილური, გამწარებული გიჟი!“** — აღნიშნავს მსჯავრდებული ნაცბელადი, რომელიც სასამართლოს მიერ მისჯილ პატიმრობას ციხის ნაცვლად პრესტიჟული სამედიცინო დაწესებულების ლუქს-პალატაში იხდის და დასავლურ პრესაში სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობასაც კი არ არის მოკლებული.

საინტერესოა, დასავლელმა ლიდერებმა სააკაშვილს პირდაპირ უთხრეს — **არასტაბილური გიჟი ხარო** თუ მან თავად გამოიტანა დასკვნა, რომ **არასტაბილურ გიჟად** თვლიდნენ?

კაცმა რომ თქვას, სულაც არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, დასავლეთის პოლიტიკური ლიდერები სააკაშვილს პირში ეუბნებოდნენ — გიჟი ხარო თუ არ ეუბნებოდნენ, მაგრამ გიჟად მიიჩნევდნენ? **ნებისმიერ შემთხვევაში, ქართველმა ხალხმა 2004-2012 წლებში საკუთარ ტყავზე გამოსცადა, რამხელა უბედურების მოტანა შეუძლია მმართველს, რომელსაც ცივილიზებული სამყაროს ლიდერები გიჟად თვლიან!**

ძალიან შორს წაგვიყვანს, თორემ ფსიქოანალიზის მამას — **ზიგმუნდ ფროიდსაც** შევაწუხებდით და ვიმსჯელებდით, რა ხდება იმ ადამიანის ქვეცნობიერში, რომელიც საკუთარი თავის თუნდაც სხვისი პრიზმიდან დასახასიათებლად იყენებს სიტყვებს — **„არასტაბილური გიჟი“...** ან კი რა საჭიროა ფსიქოანალიზის სიღრმეებში ჩასვლა, როცა ქართველმა ხალხმა ისედაც უწყის, დასავლეთის პოლიტიკურ ლიდერებსაც მშვენივრად სცოდნიათ და თავად სააკაშვილსაც გაცნობიერებული ჰქონია, რომ **არასტაბილური გიჟი** ბრძანდება.

ჰოდა, ეს **არასტაბილური გიჟი,** რომელმაც დაქირავებულ ლობისტებს საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესება შეუკვეთა, **ბრიტანულ გაზეთ „ტაიმსში“** გამოქვეყნებულ წერილში წერს, რომ **ჯერ კიდევ 2004 წელს, როცა კრემლში პუტინს შეხვდა, რუსეთის პრეზიდენტმა „უკრაინის ხელში ჩაგდების განზრახვა“ გაუმხილა. სააკაშვილი იქვე აღნიშნავს, რომ პუტინთან შეხვედრის შემდეგ ბერლინში გაემგზავრა და გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერთან შეშფოთება გამოხატა რუსეთის მმართველის აგრესიული გეგმების გამო, თუმცა, შრიოდერმა გულგრილობა გამოიჩინა. ის კი არა, როგორც სააკაშვილი წერს, გერმანიის კანცლერმა იგი „პუტინთან გაკიცხა“.**

როგორ წარმოგიდგენიათ, რომ 2004 წელს, საქართველოს პრეზიდენტად სულ რამდენიმე კვირის არჩეული სააკაშვილისათვის, რომელიც პირველივე ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვია, პუტინს საკუთარი გულის ყველაზე ბნელ კუნჭულებში დამალული ზრახვები გაენდო და ეთქვა — უკრაინის ხელში ჩაგდება მაქვს დაგეგმილიო? ან ისეთ სერიოზულ პოლიტიკოსს, როგორიც გერმანიის კანცლერი **შრიოდერი** იყო, რა რეაქცია ექნებოდა სააკაშვილის ნათქვამზე — **პუტინმა უკრაინის დაპყრობის განზრახვა გამიმხილაო?**

სააკაშვილს ასეთების წერა და ლაპარაკი რომ სჩვევია, იმიტომაც უყურებდნენ დასავლელი ლიდერები, როგორც **არასტაბილურ გიჟს!**

უყურებდნენ და არც გაემტყუნებოდათ!

## ფიქრები ბრიტანულ გაზეთში დაბეჭდილი სააკაშვილის წერილის კვალდაკვალ

I warned West about Putin, says jailed ex-leader of Georgia

Mikheil Saakashvili says the signs of a future war in Ukraine were there 20



მიხეილ სააკაშვილი 2023 წელს:

## პუტინმა 2004 წელს უკრაინის ხელში ჩაგდების განზრახვა გამიმხილა!

ИЗВЕСТИЯ iz Новости Статьи Мнения Фото Видео Инфографика Рубрики Радио

ении ВС РФ новейших танков «Армата» в зоне СВО МИР В Японии назвали возможное избрание Трампа угрозой для Зел

Михаил СААКАШВИЛИ: "Шеварднадзе всегда обманывал Путина"

Саакашвили своим словам верит, верит, что обновить отечество - это именно его долг. И поэтому разоренная своими ворами, обнищавшая до краю Грузия верит ему
и - спешит... «Я понял,
он так подозрителен! Понимаете? - говорит он. - Пу
общего языка с Шеварднадзе, потому что Шевардн
выполнял по отношению ни к кому! Я человек рома
кое-что повидал. - У него глаза честного человека -
ему - и не ошибся. Он сделал все, что обещал... Пути
что по-старому вести дела с Грузией уже нельзя. То
вообще так ставить вопрос: выбирайте - Россия или

12 апреля 2004, 18:21

მიხეილ სააკაშვილი 2004 წელს:

## პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს და აზროვნების სტილით უფრო თანამედროვეა, ვიდრე ბევრი დასავლელი პოლიტიკოსი!

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



მე რომ მდომოდა ამის შესახებ საუბარი და მდომოდა, რომ ეს ინფორმაცია ამ ეტაპზე გამხდარიყო საჯარო, მაშინ ჩვენ ვაჩვენებდით კადრებს, ამის არავითარი პრობლემა არ არის. **აქ იყო ნიმუშის აღების პროცესი და ხედავდა თუ არა მსჯავრდებული სააკაშვილი კონკრეტულად ამ ნიმუშის აღებას? რა თქმა უნდა, ხედავდა.** არ მინდა დეტალებზე საუბარი, რა სახის ნიმუში იყო, რადგან ეს იყო სამედიცინო პროცედურა და დეტალებში არ შევალ, თუმცა, **რა შეიძლებოდა განთავსებულიყო ხელსახოცში და ჩატეულიყო წინდაში,** ალბათ, უჩემოდაც მიხვდებით.

„ახალი თაობა“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



არ მქონია კონტაქტი **პოლონელ ექიმებთან,** ტელევიზორით რაც ვნახე, არანაირი შთაბეჭდილება არ შემიქმნა, **ყველას შეიძლება, სადღაც რაღაც გვედოს,** ვინ თქვა, რომ ბიოლოგიური მასალა იყო?

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი ბარამიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**პოლონელ ექიმს კანონი არ დაურღვევია** — თუ ეს ადამიანი რამეს მალავდა, ნიშნავს იმას, რომ **მას ხელისუფლების ნდობა არა აქვს** — იუსტიციის მინისტრი საზოგადოებას სისულელეს ელაპარაკება.

„ინტერპრესნიუსი“

**გრეთა ნინაავა**
*პარლამენტარი*



ვიდეომასალა რომ არ არსებობდეს და არ გამოევლინათ **პოლონელი ექიმის თაღლითობა,** გვექნებოდა რომელიმე წამყვანი კლინიკის ექსპერტიზ(ებ)ის დასკვნა, რომ **სააკაშვილი მოწამლულია.**

„ინტერპრესნიუსი“

# სტაბილური გარეწარი

როცა ბრიტანულ გაზეთ „ტაიმსში“ გამოსაქვეყნებელ წერილს წერდა, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მონებივრე ნაცბელადს, ალბათ, არ ახსოვდა 2004 წლის აპრილში რუსულ გაზეთ „იზვესტიაში“ დაბეჭდილი მისივე ინტერვიუ, რომელშიც **ვლადიმერ პუტინს** ხოტბა შეასხა და ქებით ცაში აიყვანა.

**კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტად ახალარჩეულმა სააკაშვილმა 2004 წელს კრემლში რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა:**

*„მე მივხვდი, რომ შევარდნაძე ყოველთვის ატყუებდა პუტინს და ამიტომ არის პუტინი ასეთი ეჭვიანი. ხომ გესმით?* ***პუტინს არ შეეძლო შევარდნაძესთან საერთო ენის გამონახვა, რადგან შევარდნაძე არავისთან მიმართებაში არასოდეს არაფერს ასრულებდა.*** *როდესაც მას შეფასებებში დავეთანხმე, ჩვენს შორის დიალოგი დათბა. დავინახე, რომ პუტინი სიტუაციას უფრო ღრმად ხედავს, ვიდრე მისი გარემოცვა და მე დავუჯერე მას.* ***მე რომანტიკოსი ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, რაღაც მინახავს და ვიცი, მას პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს. სწორედ ასეა, მე ვენდე მას და არ შევმცდარვარ, მან ყველაფერი შეასრულა, რასაც დამპირდა. ამიტომ, დღეს რუსეთში თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. პუტინი უფრო პრაგმატულია, აზროვნების სტილით უფრო თანამედროვეა, ვიდრე ბევრი დასავლელი პოლიტიკოსი“.***

ერთი წამით დავუშვათ, რომ სააკაშვილი ბრიტანულ გაზეთში მართალს წერს — 2004 წელს **პუტინმა** უკრაინის ხელში ჩაგდების განზრახვა გამიმხილაო! **თუ ასე იყო, მაშ, რატომ უწოდა პუტინს პატიოსანი თვალების მქონე კაცი და ბევრ დასავლელ პოლიტიკოსზე უფრო პრაგმატულად და თანამედროვედ მოაზროვნე ლიდერი?**

## გამოდის, რომ სააკაშვილი მხოლოდ არასტაბილური გიჟი კი არა, სტაბილური გარეწარიც ყოფილა, რომელიც პუტინის მიერ უკრაინის ხელში ჩაგდების განზრახვას მისი პატიოსნების, პრაგმატიზმისა და თანამედროვე დასავლური აზროვნების გამოვლინებად თვლიდა!

და მაინც, სააკაშვილის რომელ განცხადებას უნდა ვენდოთ — ახლანდელს, რომლის მიხედვითაც პუტინმა უკრაინის დაპყრობის გეგმა ჯერ კიდევ 19 წლის წინათ გაუმხილა თუ 19 წლის წინანდელს, რომლის თანახმადაც, პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს და ბევრ დასავლელ პოლიტიკოსზე უკეთესად აზროვნებს?

ცხადია, სააკაშვილს არც პირველ შემთხვევაში დაეჯერება და არც — მეორეში!

**ერთადერთი ფაქტობრივი სიმართლე, რაც ბრიტანულ გაზეთში დაბეჭდილ წერილში წერია, ის არის, რომ 2004 წელს სააკაშვილი მართლა იმყოფებოდა კრემლში და მართლა შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ პუტინს.**

სრულიად ნიშანდობლივი იყო, რომ 2004 წელს პრეზიდენტად არჩევისთანავე სააკაშვილი პირველივე ოფიციალური ვიზიტით სწორედ რუსეთში ჩავიდა და არა, მაგალითად, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად აღიარებულ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სხვა თუ არაფერი, **2003 წლის 22 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ კულმინაციურ მომენტში, თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კი არა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი ჩამოვიდა, რომელმაც ჯერ რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მომიტინგეები მოინახულა და სააკაშვილს მხარზე ხელი გადახვია, შემდეგ კი შევარდნაძეს კრწანისის რეზიდენციაში ესტუმრა და გადადგომაზე დაითანხმა.**



**სააკაშვილმა პუტინის თვალებში დაინახა უსაზღვრო კეთილშობილება, სანდომიანობა და საქართველოს უანგარო სიყვარული, რამაც შთააგონა, კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი ტყვიის გაუსროლელად ჩაებარებინა რუსეთისათვის!**



**ე.წ. ვარდების რევოლუციის დამაგვირგვინებელ ფაზაში სააკაშვილის გვერდით პუტინის მიერ გამოგზავნილი ემისარი იგორ ივანოვი იდგა, საპასუხო მადლიერების ნიშნად კი ახალგაპრეზიდენტებული სააკაშვილი კრემლს ესტუმრა და პუტინის თვალებში გასხივოსნებული პატიოსნება დაინახა!**

მოკლედ, შემთხვევითი არ იყო, რომ ე.წ. ვარდების რევოლუციის დამაგვირგვინებელ ფაზაში სააკაშვილის გვერდით პუტინის მიერ გამოგზავნილი ემისარი **იგორ ივანოვი** იდგა, საპასუხო მადლიერების ნიშნად კი ახალგაპრეზიდენტებული სააკაშვილი კრემლს ესტუმრა და პუტინის თვალებში გასხივოსნებული პატიოსნება დაინახა!

და არამხოლოდ ეს!

**სააკაშვილმა პუტინის თვალებში დაინახა უსაზღვრო კეთილშობილება, სანდომიანობა და საქართველოს უანგარო სიყვარული, რამაც შთააგონა, კოდორის ხეობისათვის „ზემო აფხაზეთი“ დაერქმია, ახალგორის რაიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეეტანა და მერე ორივე მათგანი ტყვიის გაუსროლელად ჩაებარებინა რუსეთისათვის!**

**პუტინის თვალებში დანახულმა სიკეთემ და სიქველემ უკარნახა სააკაშვილს ისიც,** რომ საქართველოს სტრატეგიული ობიექტების უდიდესი ნაწილი, ჰესებით დაწყებული და ოქროს საბადოებით დამთავრებული, რუსეთისათვის გადაეცა!

**პუტინის თვალებში დანახულმა სიალალემ და გულუბრყვილობამ მიაღებინა სააკაშვილს გადაწყვეტილება,** 2008 წლის ომის შემდეგ ცალმხრივად გაეუქმებინა სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისათვის და ლარსის საბაჟოზე პირადად დახვედროდა რუს ტურისტებს, რომლებსაც თავიანთი პრეზიდენტის მსგავსი პატიოსანი თვალები ჰ ქონდათ!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **სააკაშვილი პუტინის პატიოსან თვალებში საქართველოს** ხედავდა და სააკაშვილი საქართველოს პუტინის პატიოსანი თვალებით უმზერდა, რაც ზედმიწევნით აისახა კიდეც სააკაშვილის რეჟიმის მიერ საქართველოსათვის მოტანილ უსაზღვრო ბედნიერებაში!

**ასე რომ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სიტყვებს, რომლებსაც სააკაშვილი პუტინის შესახებ დღეს ამბობს ან 19 წლის წინათ ამბობდა!**

მთავარი საქმეა!

**მთავარია, რომ სააკაშვილმა საქმით არ უღალატა პუტინის თვალებში დანახულ პატიოსნებას!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

### მიხეილ სააკაშვილი
*პატიმარი*



დასავლეთი როდესაც **პუტინის** შესახებ გავაფრთხილე, უგულებელმყვეს, **როგორც არამდგრადი, გამწარებული გიჟი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

### ვახტანგ ძაბირაძე
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



**სააკაშვილი** დღეს ნაცმოძრაობას რეალურ მმართველად კი არა, **დროშად სჭირდება.** ნაცმოძრაობას გარეთ გამოშვებული **სააკაშვილიც** არ სჭირდება. როგორც ჩანს, **კეზერაშვილი და მერაბიშვილი** თავად ალაგებენ აქ სიტუაციას.

„კვირის პალიტრა“

### მაია ნიკოლეიშვილი
*სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი*



ნიმუში **გაყალბებისთვის სჭირდებოდათ,** კოლექციისთვის ხომ არ აიღებდნენ. თუ იმ ექიმს სურს, **სააკაშვილის წმინდა ნაწილები წაიღოს სახლში და ილოცოს,** სხვა საქმეა. ამაზრზენია, ამას ექიმი რომ იკადრებს. **პოლონეთში ეს ჩვენს ექიმს რომ გაეკეთებინა, დარწმუნებული ვარ, ახლა ციხეში იქნებოდა.**

„კვირის პალიტრა“

### ლევან ხოჯაძე
*თბილისის საკრებულოს წევრი*



როცა **სააკაშვილი** უკრაინაში თმებით ათრიეს, **მოქალაქეობა ჩამოართვეს, თვითმფრინავში ჩასვეს და ქვეყნიდან გააძევეს,** მაშინ მესამე პრეზიდენტი არ იყო?

„საქართველოს რესპუბლიკა“

*წინამდებარე წერილის სათაურად გატანილ ფუნაგორიაზე საავტორო უფლებას სრულიად უსასყიდლოდ და დაუნანებლად გადავცემთ ქართველ ხალხს, რომლის დიდი ნაწილიც გაკვირვებული ადევნებს თვალს, თუ როგორი ტემპითა და მონდომებით უმატა ქაქის ჭამას სააკაშვილის ნაცში თავშეყოფილმა მურმან დუმბაძემ.*

# გაიცანით მურმანი – ქაქის დიდი გურმანი!

## ნაცში თავშერგულმა მურმან დუმბაძემ სააკაშვილის დედა სანდრო გირგვლიანის დედას შეადარა!




**მურმან დუმბაძე:**

ალასანიასა და ენუქიძის ერთ სიმაღლეზე დაყენება ნორმალურია...

მართალია, მურმანი, როგორც პოლიტიკოსი, დიდი „ყარამან ყანთელი" არასოდეს ყოფილა, მაგრამ **იმ მეტ-ნაკლებად პოზიტიურ რენომესაც, რომელიც საზოგადოების ნაწილის თვალში სააკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირებით მოიპოვა, თავადვე მოუთავა ხელი, როცა იმავე რეჟიმის ნარჩენთა მეხოტბე და ორგანული ნაწილი გახდა.**

აწ უკვე **ქაქის გურმანად გადაქცეული მურმანი** 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის თვალთახედვის არეშიც სწორედ იმიტომ მოხვდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას უპირისპირდებოდა და 2011 წლის 26 მაისის აქციაშიც მონაწილეობდა, რის გამოც ნაცრეჟიმმა შეიპყრო და თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში სასტიკად სცემა.

თუმცა, **დუმბაძემ** ფართო მასების თვალში ე.წ. ცნობადობა მაინც იმ ერთი ვიდეოთი მოიპოვა, რომელშიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიისას ამომრჩეველს აფრთხილებდა — **თუ ნაცმოძრაობის საარჩევნო ნომერს მარჯვენა ხელით შემოხაზავთ, კიბო დაგემართებათ, მარცხენა ხელით შემოხაზვის შემთხვევაში კი განგრენა გაგიჩნდებათ და ორივე ხელი ძირში მიგახმებათო!**

ასე გახდა **მურმანი** ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კვოტით, „ქართული ოცნებიდან" გამობუნძულების შემდეგ კი ბევრი არ უფიქრია და პირდაპირ სააკაშვილის ნაცში დურთა თავი, რის შემდეგაც საზოგადოებას თავისი ჭეშმარიტი სახით წარმოუდგა — **უპრინციპო, უზნეო, ულირსი, მედროვე და ყველაფრის მკადრებელი პოლიტიკოსის სახით!**

იქიდან მოყოლებული, **ქართველ საზოგადოებას დუმბაძისაგან ქაქის ჭამა აღარ უკვირს,** მაგრამ იმან, რაც **ქაქის გურმანმა** მურმანმა რამდენიმე დღის წინათ აჭარის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გააკეთა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — **მან ჟურნალისტ ვახო ხუზმიაშვილის გადაცემაში სააკაშვილის დედა გიული ალასანია სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული სანდრო გირგვლიანის დედას ირინა ენუქიძეს შეადარა!**

კერძოდ, **ქაქის გურმანმა მურმანმა** სიტყვასიტყვით ასეთი რამ განაცხადა:

> *„დედას ვერავინ გაამტყუნებს. დედა შვილზე ზრუნავს. ალასანიასა და ენუქიძის ერთ სიმაღლეზე დაყენება ნორმალურია, კი. გიული ალასანია თავის შვილზე ისე ფიქრობს, როგორც ქალბატონი ირინა ფიქრობდა თავის შვილზე".*

გესმით? **თურმე, სააკაშვილის დედა და სააკაშვილის რეჟიმის მიერ ოქროყანის ტყეში წამებით მოკლული**




სანდრო გირგვლიანის დედა ერთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ მხოლოდ იმიტომ, რომ დედის მიერ შვილზე ზრუნვა ბუნებრივი ამბავია!

### თურმე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ სანდრო გირგვლიანი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა მოკლა, სრულიად








### უდანაშაულო იყო, სააკაშვილი კი სისხლის სამართლის დამნაშავეა!

**თურმე, არც ის ნიშნავს არაფერს,** რომ პრეზიდენტი სააკაშვილი, მისი ხელისუფლების ყველა შტოსთან ერთად, პირადად გახლდათ მონდომებული, გირგვლიანის საქმის სრულყოფილი გამოძიება არ მომხდარიყო და სამართლიანი სასამართლო არ შემდგარიყო, რაც შავით თეთრზე წერია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში!

**თურმე, არც ის არის მხედველობაში მისაღები,** რომ სააკაშვილი გირგვლიანის მკვლელობის შემსრულებელ მაღალჩინოსან ძალოვნებს წინასწარ შეჰპირდა შეწყალებას იმის სანაცვლოდ, რომ არ ალაპარაკდებოდნენ და ხელს არ დაადებდნენ ვანო მერაბიშვილის ცოლს, რომლის დავალებითაც მოხდა შარდენის ქუჩიდან სანდრო გირგვლიანისა და მისი მეგობრის ლევან ბუხაიძის გატაცება!

სააკაშვილმა გირგვლიანის მკვლელებს ეს პირობა შეუსრულა და ციხიდან შეწყალების საფუძველზე გაათავისუფლა, რისთვისაც სასამართლოს მიერ დამნაშავედ არის ცნობილი და 3-წლიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული!

ამ ყველაფრის მიუხედავად, **ქაქის გურმანი მურმანი** აცხადებს, რომ გირგვლიანის დედა და სააკაშვილის დედა ერთ სიმაღლეზე დაყენებას იმსახურებენ, რადგან **„გიული ალასანიაც ისე ფიქრობს საკუთარ შვილზე, როგორც ირინა ენუქიძე ფიქრობდა თავის ვაჟზე!"**

აქ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვიძლია: **მურმან დუმბაძისთვისვე იქნებოდა უკეთესი, 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმის ჯალათებს შეკვდომოდა და პოლიციის მთავარი სამმართველოდან მისი გვამი გამოეტანათ, რადგან ცოცხლად აყროლებასა და ქაქის გურმანის სამარცხვინო თიკუნს გადაურჩებოდა!**

აქვე, „ასავალ-დასავალის" მთელი რედაქციის სახელით, პირადად ვუხდი ბოდიშს ქალბატონი **ირინა ენუქიძის** უკვდავ სულს იმის გამო, რომ **ქაქის გურმანი მურმანი** ოდესღაც ჩემი რესპონდენტი იყო და კარგ სალამსაც ვეუბნებოდი!

### ვფიქრობთ, ირინა ენუქიძის სულისა და ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშის მოხდა „ქართულ ოცნებასაც" მართებს, თავის დროზე საკუთარ რიგებში მურმან დუმბაძის მიღებისა და აღზევებისათვის!

მერე რა, რომ **მურმანი** მაშინ ოსტატურად ახერხებდა **ქაქის გურმანობის** შენიღბვას!

**სააკაშვილის პოლიტიკურ უკანალში შემძვრალი ქაქის გურმანის გამო ბოდიშის მოხდა უკანა რიცხვითაც შეიძლება!**

*ჯაბა ხუბუა*

## მურმან დუმბაძისთვისვე იქნებოდა უკეთესი, 2011 წლის 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმის ჯალათებს შეკვდომოდა და პოლიციის მთავარი სამმართველოდან მისი გვამი გამოეტანათ, რადგან ცოცხლად აყროლებასა და ქაქის გურმანის სამარცხვინო თიკუნს გადაურჩებოდა!

№39-40 (207-208) ★ 2023 წლის 24 ივლისი ★ გამოდის 2003 წლიდან

***გორში, სტალინის მშობლიურ ქალაქში, ვერხვების დასახლებაში, მეჯვრისხევის, თბილისის და ილიკო სუხიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, საგანგებო აბრა უნდა გამოიკრას!***

**სწორედ ამიტომ მივმართავთ გორის საკრებულოსა და მერიას:**

**იმის გამო, რომ** წინამბრძოლობა ოდითგანვე ქართველთა წესი იყო, მაგრამ გარყვნილმა სააკაშვილმა საქვეყნოდ თავი მოგვჭრა და სწორედ ზემოხსენებული ქუჩების გადაკვეთაზე მშობიარე ქალივით წამოპლაკული ღორივით მიწაზე გაგორდა;

**იმის გამო, რომ** მარაბდის წაგებულ ბრძოლაში ქართველი ეპისკოპოსებიც კი ხმლით ხელში იბრძოდნენ, არ გაქცეულან და მტერს შეაკვდნენ, ხოლო სააკაშვილმა რუსის თვითმფრინავსაც კი გაასწრო და ცხვირით მიწა მოხნა;

**იმის გამო, რომ** 75 წლის მეფე ერეკლემ კრწანისის ბრძოლის ყველაზე დრამატულ მომენტში ავლაბრის ხიდზე შეაგდო ცხენი, რათა მტერს შეკვდომოდა, ხოლო სააკაშვილმა საკუთარი მძორის გადასარჩენად უკადრებელი იკადრა;

**იმის გამო, რომ** საქართველოსთვის ანთებული კელაპტარი — **მერაბ მინდიაშვილი** მტრებისა და მოღალატეების მიერ ცეცხლმოკიდებულიც კი „შავლეგოს“ მღეროდა, ხოლო ეს გარყვნილი ღორი ალმოდებული გორიდან გაქცევის შემდეგ პორნომასაჟისტ **დოქტორ დოტს** ძუძუებში ჩაეხუტა და ხალხი გაწირა, **მიგვაჩნია, რომ გორში ნაცფიურერის იმდღევანდელი „საგმირო საქმის“ ამსახველი აბრა ნამდვილად უნდა გამოიკრას!**

აბრაზე ზუსტად და კომპაქტურად უნდა აღიწეროს ის სამარცხვინო მდგომარეობა, რა დღეშიც 2008 წლის 10 აგვისტოს სააკაშვილი აღმოჩნდა, რომელიც მიწაზე ფორთხავდა და შეშლილი სახით კამერებს აკვირდებოდა, ხოლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბერნარ კუშნერმა,** რომელიც მშვიდად გაეცალა იქაურობას, სტალინის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა და როცა ჰკითხეს — **არ შეგეშინდათ?** — ჟურნალისტებს მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა — **მე აქ საფრანგეთს წარმოვადგენ!**

**ქალაქში, სადაც მსოფლიოში ყველაზე დიდი ომის მომგები მხედართმთავრის, გენერალისიმუს იოსებ სტალინის ქანდაკების დამხობა ნაცმოძრაობის ხროვას და პირადად გარყვნილ ნაპრეზიდენტალს ხაწვივით შერჩათ, სწორედ მიწაზე ნათრევი, ნაგორავები და ნაგავში ამოთხვრილი გარყვნილი სააკაშვილის აბრა უნდა გამოიკრას, როგორც ჩვენი სირცხვილიანი ისტორიისა და უნამუსო დღევანდელობის სიმბოლო.**

მიგვაჩნია, რომ გორში ზემოხსენებული სამი ქუჩის შეერთების ადგილზე ძირს დაგდებული სააკაშვილის აბრის თუ ბარელიეფის გამოფენით, სომხების მსგავსად, ქართველებსაც გაგვიჩნდება ე.წ. **„მოღალატეთა პანთეონი“,** რომელიც ნელ-ნელა ძველი და ახალი „გმირებით“ შეივსება. მათ შორის აუცილებლად იქნება სააკაშვილის პოლიტიკური მამა-შემქმნელიც.

სააკაშვილის აბრის გვერდით შთამომავლობა აუცილებლად დადგამს **დავით კეზერაშვილის, გიგი უგულავას, გივია თარგამაძის, დავით ბაქრაძისა** და **გიგი კალანდაძის** „საგმირო საქმეთა“ ამსახველ აბრებს, რომლებმაც მიატოვეს ახალთახალი ქართული ტანკები, მიაგდეს მშვიდობიანი ქართველობა, დაღუპული გმირების ცხედრები და გაიქცნენ აზერბაიჯანში, სადაც ჰეიდარ ალიევის სახელობის ოლიმპიურ კომპლექსში შეძვრნენ და შიშით გარეთ თავს ვერ ყოფდნენ!

საქვეყნოდ ცნობილია და ამის შესახებ „ასავალ-დასავალშიც“ დაიწერა, რომ ჩინეთში მსგავსი პანთეონი დიდი ხანია, არსებობს, სადაც ჩინელი ხალხის ეროვნული გმირის, ღალატითა და უსამართლობით მოკლული სარდლის — **იუე ფეის** ძეგლის შორიახლოს დგას იმ მოღალატეების ქანდაკებებიც, რომლებმაც შურითა და ანგარებით ერის მხსნელი გაწირეს და დაღუპეს!

**როგორც ჩინელები აფურთხებენ სახალხო გმირის — იუე ფეის მკვლელებს, სწორედ ისე უნდა აფურთხოს მთელმა საქართველომ სააკაშვილის სირცხვილის აბრას თუ ბარელიეფს გორში!**

**ვფიქრობთ, ქალაქ გორის საკრებულო, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ელჩების შიშით სტალინის ქანდაკება ვერა და ვერ აღადგინა და ბელადის უზარმაზარი მონუმენტი დღემდე სოფელ ბერბუკში, ძველი საწარმოს ტერიტორიაზე სამარცხვინოდ არის მიგდებული, სააკაშვილის სამარცხვინო აბრას აუცილებლად გამოაკრავს!**

ვფიქრობთ, ეს იქნება ერთგვარი ტესტი გორის ხელისუფლებისათვის, როცა ძალიან ადვილად გაირკვევა, ქალაქის ადგილობრივი ხელმძღვანელობა სინამდვილეში საქართველოს მხარეს დგას თუ გიულის ბიჭის მხარეს, რომელმაც საქართველო არნახული საფრთხეების წინაშე დააყენა.

სააკაშვილის სამარცხვინო ქმედების ამსახველი აბრა თუ ბარელიეფი გაფრთხილება იქნება ყველა პოტენციური თუ გაცხადებული მოღალატისთვის, რომ ისინი ხალხისა და ღვთის რისხვას ვერც თავიანთ ნაზრახი სიცოცხლით და ვერც წყეული სიკვდილით ვერ გადაურჩებიან!

გვწამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ:



სააკაშვილის ფორთხვა სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში. 2008 წლის 10 აგვისტო

# გორში, სააკაშვილის ფორთხვის ადგილზე, გიულის ბიჭის სამარცხვინო აბრა უნდა გამოიკრას!



**იმ ქალაქში, სადაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ომის მომგები სტალინი დაიბადა, ბელადის ძეგლის დამამხობელ, ომიდან გაქცეულ და მიწაზე მფორთხავ სააკაშვილს უნდა აფურთხებდნენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

*წელს 80 წელი სრულდება იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენიდან, როცა ოთხი დიდი ქართველის შრომით, მეცადინეობითა და შორს-მჭვრეტელობით უნიკალური სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“ გამოიცა.*

# ოთხი დიდი ქართველის – სტალინის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ დაწერილი „საქართველოს ისტორია“ 80 წლისაა!

ამ ოთხი ქართველიდან ერთი მსოფლიოს უდიდესი იმპერიის საჭეთმპყრობელი და ფაშიზმის დამსამარებელი, **გენერალისიმუსი იოსებ ჯუღაშვილი, ანუ სტალინი** გახლდათ, ხოლო დანარჩენი სამი — სახელოვანი ქართველი ისტორიკოსები — **აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი.**

წიგნი, რომელიც პირველად **1943 წელს** დაბეჭდეს, ხოლო მეორედ — **1948 წელს,** მაცესტაში, სტალინის აგარაკზე იქმნებოდა, სადაც დასასვენებლად ჩამოსული ბელადი მაშინ ახალგაზრდა პროფესორს, მომავალ **აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს** საქართველოსა და მსოფლიოს უძველესი ისტორიის საკვანძო საკითხებზე ესაუბრებოდა, რაღაცებს ათანხმებდა და რაღაცებზე მითითებებს აძლევდა.

**ეს წიგნი, რომელმაც 1947 წელს სტალინური პრემია მიიღო, საბჭოთა რუსეთსა და მოკავშირე რესპუბლიკებში ბევრს აღიზიანებდა...**

„საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო წიგნის მაკეტი, რომელიც უშუალოდ სტალინის აქტიური მონაწილეობით მომზადდა, დღემდე უნიკალურია, რადგან **ჩვენი სამშობლოს უძველესი, ძველი და შუა საუკუნეების ისტორია ისე მართლად, სიღრმისეულად და სხარტად ჯერ არავის გადმოუცია, როგორც ეს დიდმა სტალინმა და ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედმა შეძლეს!**

ამ ათი წლის წინათ **„ასავალ-დასავალი“** ქართულ პრესაში პირველი იყო, რომელმაც 1943 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს ვრცელი პუბლიკაციები მიუძღვნა და ხელისუფლებას მოუწოდა, აღედგინა დიდი და სახელოვანი ქართველების მიერ შექმნილი წიგნი, რომელიც **ნაძირალა ნიკიტა ხრუშჩოვმა** 1956 წლის ცეკას საგანგებო დოკუმენტით დააპატიმრა. დიახ, **ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა ზურაბ რატიანმა და მწერალმა პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელმა** ამ თხუთმეტი წლის წინათ პარტარქივში აღმოაჩინეს 1956 წელს **კრემლის მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი დოკუმენტი,** რომელსაც გრიფი **„სრულიად საიდუმლო“** ადევს!.. ამ დოკუმენტის თანახმად, **ქართულ სკოლებში აიკრძალა სტალინის მიერ შეკვეთილი და მოწონებული 1943 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო.**

ცნობისათვის გეტყვით, რომ ამ უნიკალური სახელმძღვანელოს შექმნას ხელი შეუწყო ერთმა შემთხვევამ... კერძოდ, **1934 წელს, როცა სტალინმა ტროცკი საბოლოოდ გაანადგურა და იდეოლოგიური ფრონტისთვის მოიცალა,**

## საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის იდეა ეკუთვნის **იოსებ სტალინს.** მან ამის შესახებ პირველად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს **მალაქია ტოროშელიძეს** ამცნო **1934 წლის** ზაფხულში. **1940 წელს** სახელმძღვანელოს მაკეტი ორ წიგნად უკვე სტალინის მაგიდაზე იდო. **1943 წელს ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილისა** და **სიმონ ჯანაშიას** მიერ შექმნილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო გამოიცა, რომელიც ითარგმნა თურქულად, ინგლისურად და რუსულად. **1946 წელს სტალინის** უშუალო მითითებით გამოვიდა სახელმძღვანელოს ახალი, შესწორებული ვარიანტი, სადაც უფრო ვრცელი ადგილი დაეთმო **დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, გიორგი სააკაძესა** და ქართველთა წარმომავლობის საკითხს. **1947 წელს** სახელმძღვანელოს მიენიჭა სტალინური პრემია. **1948 წელს** გამოიცა სახელმძღვანელოს მესამე, შესწორებული ვარიანტი. **1956 წელს ხრუშჩოვმა** სახელმძღვანელო აკრძალა.

★ საქართველოს ისტორია

### 1943 წლის გამოცემა


საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი

აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. ბერძენიშვილი, აკად. ს. ჯანაშია

საქართველოს ისტორია

უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე

აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით

სახელმძღვანელო
საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის

საქ. სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი — 1943


ფასი 20 მან.

კორექტორი გ. ლონაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/I-43 წ. უე 00408. ანაწყობის ზომა 6½ X 10½. ქაღალდის ზომა 60 X 92. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 27. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 428.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი მარჯანიშვილის ქ № 5.

Акад. И. Джавахишвили, проф. Н. Бердзенишвили, акад. С. Джанашиа

ИСТОРИЯ ГРУЗИИ
Под редакцией акад. С. Джанашиа
(На грузинском языке)

Госиздат Груз. ССР
Тбилиси 1943 г.

### 1948 წლის გამოცემა


საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობისა

ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია

საქართველოს ისტორია

ნაწილი I

უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე

ს. ჯანაშიას რედაქციით

სახელმძღვანელო
საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის

მესამე, შესწორებულ-შევსებული, გამოცემა

მოწონებულია საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ

საქართველოს სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი 1948


ფასი 15 მან. 50 კაპ.
ყდის 1 მან. 50 კაპ.
17 მან.

ტირაჟი 1 — 5.000

ტექნიკური და მხატვრული ხელმძღვანელი ბ. გორდეზიანი
ტექნიკური რედაქტორი ქ. აბუანდაძე
კორექტორები: ვ. ხოშტარია, ს. შონია

* * *

ხელმოწ. დასაბეჭდად 16/VIII — 1943. საავტორო ფორმათა რაოდენობა 26½. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 24½. შეკვეთის № 1670/1601. უე 2004.

* * *

დაბეჭდილია საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, თბილისი, ჟორესის ქ. № 5.

Н. Бердзенишвили И. Джавахишвили, С. Джанашиа
ИСТОРИЯ ГРУЗИИ
ЧАСТЬ I
Под редакцией акад. С. Джанашиа
(На грузинском языке)
Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1948

**ბრძანა — საბჭოთა კავშირის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო მომიტანეთო! ბელადს მიუტანეს რუსეთის ისტორია, რომელშიც არათუ საქართველო, არამედ უკრაინაც კი არ იყო ნახსენები. სტალინმა წიგნი მოისროლა და განკარგულება გასცა — თითოეულმა მოკავშირე რესპუბლიკამ თავისი ისტორია დაწეროსო!** ეს დავალება პირველებმა ქართველებმა შეასრულეს და **ივანე ჯავახიშვილის** გარდაცვალებამდე, 1940 წელს, სტალინს მაკეტი ორ წიგნად წარუდგინეს. ბელადმა მეორე მაკეტი დაიწუნა, ხოლო პირველი, სადაც მოთხრობილი იყო **საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე,** ძალიან მოიწონა. ასე დაიბეჭდა ეს წიგნი გაგანია ომის დროს, **1943 წელს,** როცა ივანე ჯავახიშვილი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

სახელმძღვანელოს რედაქტორი გახლდათ **აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია.** ივანე ჯავახიშვილისგან განსხვავებით, რომელიც ქართველებს კავკასიაში მოსულ ერად მიიჩნევს, **სწორედ სიმონ ჯანაშიამ დაასაბუთა, რომ ქართველები კავკასიაში არსაიდან მოსულან, ავტოქტონი ერია და სანამ ევროპაში ევროპელები მოვიდოდნენ, მანამდე აქ სახლობდა შუმერული მოდგმის ხალხი, რომლის ნაშთსაც დღევანდელი ბასკები და ქართველები წარმოადგენენ.** წიგნში ხაზგასმულია, რომ ეტრუსკები და პელაზგები, რომლებიც ინდოევროპელი რომაელებისა და ბერძნების გამოჩენამდე ხმელთაშუა ზღვის აუზში ცხოვრობდნენ, ქმნიდნენ **პროტოქართულ ცივილიზაციას! ჯანაშიამ** ასევე დაასაბუთა, რომ პორტუგალიიდან მოყოლებული, ვიდრე ინდოეთამდე, მთელი ირანი, მესოპოტამია, კავკასია, მცირე აზია და სამხრეთ ევროპა, ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებთან ერთად, დასახლებული იყო ერთი ხალხით — **წინარექართველებით, ანუ პროტოქართველებით!**

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე დღეს

**ლგბტ პრაიდელებითა და ბინძური სოდომისტებით გავსებულ საქართველოში ამ სიმართლეს, რომელიც სტალინმა და ქართველმა აკადემიკოსებმა ქართველ ბავშვებს შეუნახეს და არ დაუმალეს, დღეს ჩვენს შვილებს უმალავენ და არ ასწავლიან!**



ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი



ჩვენი სამშობლოს უძველესი, ძველი და შუა საუკუნეების ისტორია ისე მართლად, სიღრმისეულად და სხარტად ჯერ არავის გადმოუცია, როგორც ეს დიდმა სტალინმა და ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედმა შეძლეს!

წიგნი გამოვიდა თუ არა, მაშინვე ითარგმნა რუსულად, ინგლისურად, თურქულად... დიახ, თურქულადაც ითარგმნა, **რადგან ტაო-კლარჯეთი თურქებისგან უნდა გაეწმინდა სტალინს და ამ წიგნით ესწავლებინათ იქაური ქართველებისთვის საქართველოს ისტორია.** სამწუხაროდ, ბელადს არ დააცალეს და მოწამლეს! დიდი ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი **ჯონ სტეინბეკი** წერს: **„ქართველები უძველესი ხალხია, რომელთა წინაპრები ევფრატის ნაპირებზე ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბაბილონი ქალაქი არ იყო. ვიცით, რომ ისინი შუმერების შთამომავლები არიან და ამჟამად მსოფლიოში არსებულ ტომთა შორის ერთ-ერთი უძველესი ხალხია“.** ამას ამბობს დიდი ამერიკელი მოაზროვნე, ამას ამტკიცებს გენიოსი **სიმონ ჯანაშია** და ესენი ქართველ ხალხს ამ ყველაფერს უმალავენ და ბავშვებს ასწავლიან გაუკუღმართებულ ისტორიას!

**ხრუშჩოვური რეპრესიებისა და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1965 წელს აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი გარდაიცვალა, „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო მთლიანად გამოშიგნეს. მაგალითად, წიგნიდან ამოიღეს მონაკვეთი, სადაც ჯავახიშვილი წერს, რომ თამარ მეფის დროს საქართველოს სამეფოს სახელმწიფო შემოსავალი ბევრად მეტი იყო, ვიდრე მაშინდელი ირანის, ერაყის, თურქეთის, საფრანგეთისა და ინგლისის სახელმწიფო ბიუჯეტი!**

ასევე ამოიღეს ის მონაკვეთიც, სადაც ნათქვამი იყო, რომ **გიორგი ბრწყინვალეს დროს ეგვიპტის სულთანმა მხოლოდ ქართველებს მისცა უფლება, იერუსალიმში გაშლილი დროშებით და ცხენზე ამხედრებულები შესულიყვნენ!**

ქართველი გენერალისიმუსისა და ქართველი აკადემიკოსების მიერ შექმნილი **„საქართველოს ისტორია“** საამაყო წიგნი იყო და მსოფლიოს ყველა წამყვან ენაზე იმიტომაც ითარგმნა, **ხოლო ის ისტორია, რომელსაც დღეს ქართველ ბავშვებს სკოლაში ასწავლიან, სამარცხვინოა და მისი თარგმნა არ შეიძლება, რათა ჩვენი წახდენისა და გაპარტახების შესახებ ყველამ ყველაფერი არ უნდა გაიგოს!**

**კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს განათლების სამინისტროს მესვეურებს:** აღადგინეთ ხრუშჩოვის მიერ დაპატიმრებული **„საქართველოს ისტორია“** და ქართველ ბავშვებს დიდი ქართველი კორიფეების მიერ დაწერილი ჩვენი სამშობლოს ნამდვილი თავგადასავალი ასწავლეთ და არა ის სიყალბე, რომელიც სულელი თუ **ბოროტი ნიკიტა ხრუშჩოვის** ინსტრუქციებით ხელში შემოგვაჩეჩეს!

**გამოუჩინეთ ქართველ ბავშვებს ის უნიკალური წიგნი, რომელიც უკვე 80 წლისაა!**

***დიტო ჩუბინიძე***



აკად. ნ. ბერძენიშვილი. აკად. ს. ჯანაშია

საქართველოს ისტორია

უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე

აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით

საქ. სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა



ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია

საქართველოს ისტორია

ნაწილი I

უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე

ს. ჯანაშიას რედაქციით

საქ. სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა
1948

## გამოუჩინეთ ქართველ ბავშვებს ის უნიკალური წიგნი, რომელიც უკვე 80 წლისაა!



საქართველოს განათლების მინისტრი გიორგი ამილახვარი

# კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს განათლების სამინისტროს მესვეურებს:

# აღადგინეთ ხრუშჩოვის მიერ დაპატიმრებული „საქართველოს ისტორია!“



# სვიმონ მასხარაშვილი:

# სტალინისა და ბერიას მკვლელობით საბჭოთა კავშირის მოკლეს!

ისტორიკოსის თვალით

**პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ისტორიაში სტაროვერების სექტის საბედისწერო როლისა და გავლენების შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ ლავრენტი ბერია პოლიტბიუროს სათათბირო ოთახში, დიდი ალბათობით, პირადად ნიკიტა ხრუშჩოვმა მოკლა:**

— იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც დღეს ხელთ მაქვს, სტალინისა და ბერიას განადგურების მოთავეებს შორის ორი პიროვნება ე.წ. **სტაროვერების სექტანტთა** წრეს ეკუთვნოდა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის ყოფილი მინისტრი, მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის ყოფილი მარშალი და პოლიტბიუროს წევრი **ნიკოლაი ბულგანინი** და წარმოშობით მაკედონიელი აზნაური **გიორგი მალენკოვი.**

**— განუმარტეთ მკითხველს, ვინ არიან სტაროვერები!**

— მე-17 საუკუნეში რუსეთის მეფე **ალექსი მიხეილის ძე რომანოვმა** მოიწადინა, მონღოლების ბატონობის პერიოდში იავარქმნილი რუსული საეკლესიო კანონმდებლობის რეფორმირება ბიზანტიურ და კიევ-პეჩორის მონასტრის ყაიდაზე. ამას წინ აღუდგა რუსი საზოგადოების, განსაკუთრებით პოლიტიკური ელიტისა და სამღვდელოების დიდი ნაწილი, რომელთაც **რასკოლნიკები** ეწოდათ. ისინი თავს ძველი რწმენისა (სტაროვერები) და ძველი რუსულ-ქრისტიანული რიტუალების (სტაროობრიადცი) მიმდევრებად აცხადებდნენ. მე-17 საუკუნეში რუსეთის საპატრიარქო ოფიციალურად გადავიდა კიევ-პეჩორისა და ბიზანტიის საეკლესიო სწავლებასა და რიტუალებზე, ხოლო **სტაროვერები და სტაროობრიადცები** მარად განმდგარ ფარულ სექტებად ჩამოყალიბდნენ. მათი რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო ვოლგისპირეთის, ურალისა და ციმბირის რუსულენოვან მოსახლეობაში. როგორც ისტორიკოსი **პიჟიკოვი** მიიჩნევდა, **სტაროვერების** საერთო რაოდენობა შესაძლოა, რუსეთის გლეხობის 50 პროცენტსაც კი აჭარბებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხის შესწავლაზე რუსეთის იმპერიის ადმინისტრაცია თავს დიდად არ იწუხებდა. სწორედ **სტაროვერების** ფაქტორის უგულებელყოფის შედეგად მივიღეთ ასეთი სურათი — ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მოსკოვის მილიონერთა და ბანკირთა 90 პროცენტზე მეტი სწორედ **სტაროვერი** იყო. მაგალითად, **ალექსეევების კლანი,** რომელსაც ეკუთვნოდა **ნიკოლოზ მეორის** გენშტაბის უფროსი **გენერალი ალექსეევი** და ცნობილი რეჟისორი **სტანისლავსკი,** სტაროვერები იყვნენ. ამ სექტას ეკუთვნოდნენ **ტრეტიაკოვები, სავა მოროზოვი** და ა.შ.

სტაროვერების ფენომენზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ რამდენიმე საინტერესო ფაქტი: 1. **ნიკოლოზ მეორეს** გადადგომის აქტზე ხელი მოაწერინა სწორედ სტაროვერმა **გუჩკოვმა.** 2. **ნიკოლოზ მეორეს** არმია ჩამოაშორა წარმოშობით სტაროვერმა, გენერალმა **ალექსეევმა.** 3. დიდი მთავრის **მიხეილ რომანოვის** გადადგომის აქტი, რომელიც ისე იყო შედგენილი, რომ ვერც მიხეილი იმეფებდა და ველარც სხვა რომანოვი განაცხადებდა რუსეთის იმპერიის ტახტზე პრეტენზიას, შეადგინა ლენის ოქროს საბადოების მეპატრონისა და მილიონერის, სტაროვერ **რუკავიშნიკოვის** ერთადერთი ქალიშვილის ქმარმა, სტაროვერებთან განუყრელად დაკავშირებულმა იურისტმა **ვლადიმერ ნაბოკოვმა** — „ლოლიტას" ავტორის მამამ. ნათელი ხდება, რომ სტაროვერების როლი რუსეთის იმპერიის დანგრევის საქმეში ერთობ შთამბეჭდავია. სხვათაშორის, რუსეთ-უკრაინისა და რუსეთ-საქართველოს ომებში რუსეთის ხელისუფლების ნომერ პირველი წამქეზებელი **ალექსანდრე დუგინიც** სტაროვერია. ამ ფონზე, ბუნებრივია, თვალში გვხვდება **ნიკოლაი ბულგანინისა და გიორგი მალენკოვის** სტაროვერული ფესვებიც.

**— სტაროვერები მართლმადიდებელ ქრისტიანობას ებრძვიან?**

— იმას, რასაც ჩვენ, ქართველები, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, კიევ-პეჩორის ლავრა, თუნდაც კიევის მიტროპოლია და მოსკოვის საპატრიარქო, მიუხედავად მათ შორის არსებული განხეთქილებისა, მართლმადიდებელ ქრისტიანობას ვეძახით, იმას **სტაროვერები და სტაროობრიადცები** უარყოფენ და ეშმაკისეულს უწოდებენ!

**— ანუ რა გამოდის, სტალინს, რომელიც მართლმადიდებელ ქრისტიანად მოკვდა, ბოლო სექტანტებმა მოუღეს?**



ლავრენტი ბერია, იოსებ სტალინი, გიორგი მალენკოვი

## „ნიკოლაი ბულგანინიც და გიორგი მალენკოვიც, რომლებმაც სტალინის მკვლელობის ორგანიზებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს, სტაროვერების სექტას მიეკუთვნებოდნენ!"



ნიკოლაი ბულგანინი

— ფაქტი ფაქტად რჩება — **ნიკოლაი ბულგანინიც და გიორგი მალენკოვიც,** რომლებმაც, ჩემი აზრით, სტალინის მკვლელობის ორგანიზებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს, სწორედ **სტაროვერების** სექტას მიეკუთვნებოდნენ!

1949 წლიდან საბჭოთა კავშირში სტალინის ხელმძღვანელობით აშკარად გამოიკვეთა ხუთეული, რომელიც უზარმაზარი იმპერიის მმართველ ელიტას წარმოადგენდა. ამ ხუთეულში შედიოდნენ თავდაცვის ყოფილი მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნიკოლაი ბულგანინი,** პოლიტბიუროს წევრთა შორის ყველაზე უფრო თავხედი და უშიშარი **ნიკიტა ხრუშჩოვი,** ცეკას მდივანი **გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია** და თავად **სტალინი.** ბერია ამ დროს დიდების ზენიტში იყო, რადგან მისი დამსახურებით სწორედ 1949 წელს შეიქმნა საბჭოთა ატომური ბომბი. იმავე 1949 წელს სტალინმა დააწესა სრულიად ახალი და განსხვავებული ჯილდო, რომელიც საბჭოთა კავშირის მარშლობაზე მეტად ფასობდა. ეს იყო **„საბჭოთა კავშირის საპატიო მოქალაქის"** წოდება, რომელიც სტალინის სიცოცხლეში მხოლოდ ორ ადამიანს მიენიჭა — **იგორ კურჩატოვსა და ლავრენტი ბერიას.** ამდენად, ხმები იმის შესახებ, რომ სტალინი ბერიას პატივისცემით არ ეპყრობოდა და მის უდიდეს დამსახურებას ხალხისა და ქვეყნის წინაშე არ აფასებდა, ყურით მოთრეულია.



გიორგი მალენკოვი



სემიონ იგნატიევი

**— მას შემდეგ, რაც ე.წ. „მეგრელთა საქმის" აგორებით გიორგი მალენკოვმა ბერიას ბევრი ვერაფერი დააკლო, კიდევ რა ხერხს მიმართა?**

— წინა ინტერვიუში ვთქვით, რომ გარეწარი **მალენკოვი,** რომელიც პარტიულ კონტროლს ხელმძღვანელობდა, 1952 წლის ზაფხულიდან სტალინის აპარატს მიადგა და მოკვლევა დაიწყო. სტალინის პირადი დაცვის უფროსს **ნიკოლაი ვლასიკს** მალენკოვმა და ქვეყნის უშიშროების მინისტრმა **სემიონ იგნატიევმა** ის ფაქტიც გამოუჩხრიკეს, რომ გერმანიიდან ჩამოყვანილი ჰყავდა ორი ძროხა, რომელიც თავის დას ბელორუსიის ერთ-ერთ სოფელში ჩაუყვანა და აჩუქა. სტალინს ასეთი რამეები აცოფებდა და მომხდარის გამო უერთგულესი **ვლასიკი** ჩამოიშორა. მოკლედ, ორი ძროხის გამო სტალინმა ნიკოლაი ვლასიკსა და ბიუჯეტის ვირთხა **პოპკოვს** შორის, რომელიც ლენინგრადის ბლოკადის დროს სიგარეტებსა და სიდედრის ნიფხვებს ბიუჯეტის ხარჯზე ყიდულობდა, ტოლობის ნიშანი დასვა. 1952 წლის დეკემბერში ვლასიკი დააპატიმრეს კიდეც... წინა ინტერვიუში ისიც ვთქვით, რომ სტალინის პირადი მდივანი **ალექსანდრე პოსკრებიშევიც** პროვოკაციას გადააყოლეს...

**— რა მოხდა?**

— **მალენკოვმა და იგნატიევის** ხალხმა **პოსკრებიშევს** საბუთები მოჰპარეს. კერძოდ, სტალინმა აღმოაჩინა, რომ პირადი მდივნის უჯრა გახსნილი იყო და პოსკრებიშევმა ვერსად იპოვა სტალინის ხელნაწერი — **„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში".** ამან გააჩინა ეჭვი, რომ ბელადის ზემოხსენებული ხელნაწერი საზღვარგარეთ გაიტანეს, ანუ პოსკრებიშევი უკვე სანდო აღარ იყო. საქმე გახლდათ აბსოლუტურად ფალსიფიცირებული და ამ ყველაფრის უკან იდგნენ **მალენკოვი და იგნატიევი. პოსკრებიშევი და კუზმიჩევი** სწორედ ერთ დღეს დააპატიმრეს. **კუზმიჩევი** სიკვდილმისჯილთა საკანში შეაგდეს. 1953 წლის იანვრისთვის სტალინს ასევე ჩამოაშორეს და დააპატიმრეს მომვლელი ქალი **ვალენტინა ისტომინა.** დაიჭირეს სტალინის უერთგულესი ექიმებიც და, ფაქტობრივად, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, 1953 წლის თებერვალში, სტალინი დაცვის, კულინარებისა და ექიმების გარეშე დარჩა!

ეს ყველაფერი **სემიონ იგნატიევმა და გიორგი მალენკოვმა** მოაწყვეს, ანუ ბელადს ჩამოაშორეს უერთგულესი ადამიანები, რომლებსაც ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ დროს სტალინთან შესვლა დაუკითხავად შეეძლოთ. აი, ასეთ ვითარებაში მოკლეს სტალინი და კუნცევოს აგარაკზე მოვარდა **ვასილი სტალინი,** რომელიც აყვირდა — **მამა მომიკალით?!**

**— ვასილი სულ მალე დაიჭირეს! ბერიამ სტალინის შვილი რატომ დააპატიმრა?**

— ციხე, რომელიც საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის **ლავრენტი ბერიას** პირდაპირი კონტროლის სფერო იყო და მის გარეშე ციხეში არაფერი ხდებოდა, გახლდათ ყველაზე დაცული ადგილი, სადაც ვასილი სტალინის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებო-

## „სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, 1953 წლის თებერვალში, სტალინი დაცვის, კულინარებისა და ექიმების გარეშე დარჩა! ეს ყველაფერი სემიონ იგნატიევმა და გიორგი მალენკოვმა მოაწყვეს!"

და. ბერიამ სტალინის შვილი იმიტომ დაიჭირა, რომ იმ სიტუაციაში, როცა ყველგან ბელადის მკვლელები დაძრწოდნენ, ახალგაზრდა ვასილი გადაერჩინა. 1953 წლის 26 ივნისს, როცა ბერია პრეზიდიუმის სხდომაზე წავიდა, რათა უშიშროების ყოფილი მინისტრის **სემიონ იგნატიევის** დაპატიმრება მოეთხოვა, ის პირდაპირ გადიოდა სტალინის მკვლელებზე. თუ იგნატიევს დაიჭერდნენ, აუცილებლად პირს მოაღებდა და სტალინის მკვლელებს დაასახელებდა, უპირველეს ყოვლისა, ხელს დაადებდა **მალენკოვს.** ბერია თავადაც ვერ ხვდებოდა, რას შეეხო...

**— რატომ ვერ ხვდებოდა?**

— ბერიას რომ საფრთხე გაეცნობიერებინა, ის რაღაც ზომებს მიიღებდა, მაგრამ მოხდა გაუგონარი რამ — ბერიას შეთქმულება გამოეპარა, რადგან 1953 წლის 26 ივნისს საბჭოთა კავშირში გადატრიალება მოაწყო არა **კაგებემ,** არამედ საბჭოთა არმიის მთავარმა სადაზვერვო სამმართველომ — **გრუმ,** რომელსაც **მიხეილ შალინი** ხელმძღვანელობდა. ბუნებრივად დაისმის შეკითხვა — უღალატა ბერიას თუ არა თავისმა დაცვამ? არა, ბერია დაცვას არ გაუყიდია! სწორედ ამიტომ გამოვრიცხავ, რომ იგი თავის ბინაში მოკლეს. სხვათაშორის, იმ დღეებში სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის უფროსი **კუზმიჩევი** დააპატიმრეს და წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ციხეში იჯდა, ხოლო შინაგანი ჯარის სარდალმა, არმიის გენერალმა თავი მოიკლა...

**— მაშ, როგორ და რა ვითარებაში მოკლეს ბერია?**

— **ჩემი აზრით, ლავრენტი ბერია 1953 წლის 26 ივნისს სწორედ კრემლში, პრეზიდიუმის სხდომაზე, მოკლეს.** არ გამოვრიცხავ, რომ დამფრთხალმა მალენკოვმა, ბულგანინმა და ხრუშჩოვმა ის საბჭოთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე, სათათბირო ოთახში, სადაც მისი დაცვის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, ხელებით დაახრჩვეს ან რაღაც ჩაარტყეს! ჩვენ უკვე დაწვრილებით ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ წინა დღით, იმისათვის, რათა კონტრდაზვერვის შეფს **სერგო გოგლიძეს** სამხედროების შეთქმულების შესახებ ბერია არ გაეფრთხილებინა, **გოგლიძეც** და ბერიას მოადგილე **ბახჩო კობულოვიც** მარშალმა **ვასილი სოკოლოვსკიმ** და **გრუ**-ს შეფმა **მიხეილ შალინმა** გერმანიაში დააპატიმრეს. იმასაც გეტყვით, თუ ვინ იქნებოდა პრეზიდიუმის სათათბირო ოთახში, სადაც, ჩემი აზრით, ბერია მოკლეს!

**— დაასახელეთ!**

— ესენი იყვნენ **ბულგანინი, ხრუშჩოვი, მალენკოვი, საბუროვი, პერვუხინი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი, მიქოიანი და ვოროშილოვი.** აი, სწორედ ამ გარემოცვის მიერ მოხდა ლავრენტი ბერიას ლიკვიდაცია. პრეზიდიუმის ამ სათათბირო ოთახში არ კეთდებოდა არანაირი ჩანაწერები და არცერთი მათგანის პირად დაცვას ამ ტერიტორიაზე ხელი არ მიუწვდებოდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, ლავრენტი ბერია სწორედ იქ მოკლეს — ხელით დაახრჩვეს ან თავში რაღაც ჩაარტყეს. იმდენად სამარცხვინოდ არიან მოქცეული, ამის შესახებ ლაპარაკი უჭირდათ. **ფაქტია, რომ ზემოხსენებული ცხრა კაციდან რეალური მოგონებები არცერთ მათგანს არ დაუტოვებია. დიდი ალბათობით, ეს საქმე სწორედ ნიკიტა ხრუშჩოვმა ითავა, რომელსაც დანარჩენებიც წაეხმარნენ.**

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ბერიას მკვლელობაში რომ **ხრუშჩოვს** მთავარი როლი მიუძღვის, აშკარაა, რადგან 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ პოლიტბიუროში ხრუშჩოვი მთავარი ყოჩი გახდა. **ამან გამიჩინა ეჭვი, რომ შესაძლოა, ლავრენტი ბერია პირადად ნიკიტა ხრუშჩოვმა მოკლა.** დარწმუნებული ვარ,

**1953 წლის თებერვალში სტალინი გიორგი მალენკოვმა და სემიონ იგნატიევმა მოწამლეს, ხოლო 1953 წლის 26 ივნისს პრეზიდიუმის სხდომაზე ბერია მოკლეს. ბერიას მკვლელობა აღასრულა არმიამ და გრუ-მ, ხოლო მკვლელობა დაუკვეთეს გიორგი მალენკოვმა, ნიკოლაი ბულგანინმა და ნიკიტა ხრუშჩოვმა.**

სავსებით შესაძლებელია, რომ ბერია უშუალოდ **ნიკიტა ხრუშჩოვმა** მოკლა და სწორედ ამან გაუხსნა მას გზა სტალინის ტახტისკენ. ასე შეეწირა ბერია სტალინის მკვლელობის გამოძიებას. რაც მთავარია, სტალინისა და ბერიას მკვლელობით საბჭოთა კავშირიც მოკლეს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




**„საბჭოთა კავშირის საპატიო მოქალაქის“ წოდება სტალინის სიცოცხლეში მხოლოდ ორ ადამიანს მიენიჭა - იგორ კურჩატოვსა და ლავრენტი ბერიას!“**

# სტალინისეული „უმცირესი ბოროტება“ - 1783 წლის 24 ივლისს დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“ 240 წლისაა!



***დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ეს მონოგრაფია პირველად 1919 წელს გამოიცა და იმ დროისათვის წარმოადგენდა სრულიად ახლებურ შეფასებას რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წლის 24 ივლისს დადებული ხელშეკრულებისა, რომელსაც „გეორგიევსკის ტრაქტატის“ სახელწოდებით ვიცნობთ.***

## შესავალი

## აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადო მდგომარეობა მე-18 საუკუნის დამდეგს

საქართველოს და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრეს გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად მე-17 საუკუნე უნდა ჩაითვალოს. მას შემდგომ, რაც ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა 1634 წ. **როსტომი** დაამტკიცა, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის წამლეკავ გავლენის ასპარეზად იქცა. **თვით სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და სპარსულ-მაჰმადიანურ ზნე-ჩვეულებებისა და დაწესებულებათა თაყვანისმცემელი როსტომ მეფე ამ გავლენის გავრცელებას საქართველოში შეგნებულად უწყობდა ხელს. ქართული სახელმწიფო სამართლის ტერმინების მაგიერ მან სპარსულ-თურქული შემოიღო. თვით სახელმწიფო წესწყობილებაშიაც მან ზოგიერთი იმგვარი ცვლილება შეიტანა, რომელიც სპარსულს უახლოვდება. სპარსული ენა და მაჰმადიანობა მეფის წაბაძულობით ქართველთა უმაღლეს წრეებში თანდათან უფრო-და-უფრო ვრცელდებოდა.** ეს და ბევრი სხვაც ქართულ ეროვნულ თვითშემეცნებას და არსებობასაც კი დიდ საბრთხეს უმზადებდა.

1636 წ. რომ სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთს შორის მუდმივი მტრობის მოსასპობად საქართველო ორად გაჰყვეს და აღმოსავლეთი ნაწილი ოსმალთა მიერ სპარსთა უცილობელ გავლენის სფეროდ იყო ცნობილი, დასავლეთი საქართველო კი სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო, დასავლეთ საქართველოშიც ოსმალეთის გავლენამ ისე ძლიერად იჩინა თავი, რომ ქართულ ეროვნულ საქმისთვის საშიში შეიქმნა.

პირადად **როსტომ მეფე** ქვეყნის ურიგო მმართველი არა ყოფილა: ქვეყნის კეთილდღეობაზე და ქონებრივ მოღონიერებაზე ზრუნავდა, მაჰმადიანობისდა მიუხედავად განსაკუთრებით თავის სახელოვან თანამეცხედრის **მარიამ დედოფლის გავლენით ქართული ეკლესიების განახლებასაც კი მისდევდა, მაგრამ თვით ის სპარსული გავლენა, რომელსაც იგი აღმოსავლეთს საქართველოში აძლიერებდა, მთელს მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკუღმართობის დაღს ასვამდა და ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველად ხდიდა.**

ამას ერთი უფრო ახირებული გარემოება დაერთო ზედ, რაკი სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხელობაკი გამოცდილებით იცოდენ, ამის გამო ისინი თავიანთ დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ ხოლმე. ამის წყალობით ისეთს ნიჭიერ სამხედრო პიროვნებებს, როგორიც მაგ. მეფე **გიორგი XI** იყო, უნებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ბელუჯისტანში, ხან სხვაგან, სადაც-კი ამბოხება იფეთქებდა. ამიტომ ისე მოხდა, რომ **ქართველ მეფეებს თავიანთ საბრძანებელში წასვლისა და მართვა-გამგეობის საშუალება არ ჰქონდათ და თავიანთი ძალა და ნიჭი სპარსეთის შაჰების ტახტის გამაგრებისთვის უნდა შეელიათ**. ამის გამო იძულებულნი იყვნენ, თავიანთ მაგიერ მახლობელი **ბატონიშვილები** მეფის მოადგილედ დაენიშნათ ხოლმე საქართველოში და მათთვის მიენდოთ ქვეყნის მზრუნველობა. სპარსეთის სამეფო კარი მაშინ დაუსრულებელი ვერაგობისა და ქიშპობის ბუდედ იყო ქცეული. ცვალებადი იყო ხოლმე იქ გავლენა და ამასთანავე ცვალებადი იყო ხოლმე სპარსეთის შაჰების პოლიტიკაც ქართველი მეფეების მიმართ, ეს გარემოება შხამავდა ჰაერს და სრულ გამოურკვევლობის გრძნობას ჰქმნიდა საქართველოში. **ქართველი ერი იმ დროს მართლაც უაღრეს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. მისი მომავალი საჴიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელს თავის სულიერს ძალას არ მოიკრებდა და ეროვნულ განსაცდელის თა-**

***გაგრძელება მე-6 გვერდზე***


ივ. ჯავახიშვილი

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში.

ქართული კლუბის გამოცემა.

თბილისი.
სახელმწიფო სტამბა
1919.


წინასიტყვაობა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ გამოკვლევანი და წერილები წინათაც საკმაოდ მოიპოვებოდა, მათ შორის ხელთუფლიშვილისა და ზ. ავალიშვილისა ცნობილი თხზულებებიც ითვლება. ამისდა მიუხედავად ამ მონოგრაფიის გამოქვეყნება განსაკუთრებით იმიტომ გადავსწყვიტე, რომ ყველა აქამდის გამოცემულს თხზულებებში რუსეთში არსებულ პოლიტიკურ და საცენზურო პირობების სიმკაცრის წყალობით ავტორებს ისტორიული სიმართლის სრული სინამდვილითა და გულახდილობით გამოთქმა არ შეეძლოთ. ეს ნაკლი უნდა შევსებულიყო და ჩემი მონოგრაფიის უმთავრეს მიზანსაც სწორედ ეს შეადგენდა. ამას გარდა ვითარცა ისტორიკოსს მე იმდროინდელი ამბების ფარული ამამოძრავებელი ძალისა და მისწრაფების სიცხადიდ გამოაშკარავება მაინტერესებდა. თვით რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ხელშეკრულების განხილვაც ახალ თვალთსაზრისით შეიძლებოდა და საჭიროც იყო. მკითხველი ალბად შეამჩნევს რომ ყველა ამ მხრივ ამ მონოგრაფიაში არა ერთი ახალი შეხედულებაა, ან ძველი წინანდელზე უფრო მეტის ხაზგასმულობითა და დასაბუთებით არის გამოთქმული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელთუფლი- ... არიან დაწერილ- ... ო, რომ აქამდის ... ქართულად ერ- ... ცემული. საქართ-

**ისტორია, როგორიც იგი არის!**

დასაწყისი მე-5 გვერდზე

**ვითგან აცილებას არ ეცდებოდა.**

საბედნიეროდ, ქართველობამ ეს შესძლო. ამ საშინელ გასაჭირში მან მართლაც მთელი თავისი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭი მოიკრიფა და გამანადგურებელ მიმართულებას წინააღუდგა. **ქართული ენა რომ სპარსული სიტყვებით არ შერყვნილიყო და ნამდვილი ქართული უცხოურისგან გაერჩიათ, დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას მიჰყვეს ხელი.** გიორგი **XI**-ის წინადადებით ამ გვარი შრომა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ **საბა-სულხან ორბელიანმა** შეადგინა, რომელსაც მან 30 წელიწადი მოანდომა. ეს შესანიშნავი ნაწარმოები ეხლაც ძვირფას განძად ითვლება მეცნიერებისათვის, მაშინ ხომ იგი ცის მანანასავით უნდა მოვლენოდა ქართველობას. უცხო ენის ზეგავლენით რომ ქართული ენის ბუნება და კანონები არ შებღალულიყო, ქართული გრამატიკა იქმნა შედგენილი ჯერ მოკლე შანშოვანის მიერ, ხოლო უფრო გვიან — ვრცელი, **ანტონი კათოლიკოზის** მიერ.

ეროვნულ თვითშემეცნების გამოღვიძებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოვებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს. ეს კარგად ესმოდა საქართველოს დიდებულ მეფეს **ვახტანგ მე-VI**-ეს (1703-1714, 1719-1724 წ. წ.), რომლის მრავალმხრივი, დაუღალავი მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ ქართულ ისტორიის ერთ-ერთ საუკეთესო ფურცელს შეადგენს. **ყოველს განათლებულ ქართველს რომ საშუალება ჰქონოდა, თავის ერისა და ქვეყნის თავგადასავალი სცოდნოდა, მან ქართველ ისტორიკოსთა კომისია მოიწვია, რომელსაც ამის შესაფერისი შრომა უნდა გაეწია.** ქრონოლოგიურად დალაგებული ქართული სხვა და სხვა საისტორიო დროის თხზულებები ძველ დროსვე ერთ კრებულად იყო შედგენილი, რომელიც **„ქართლის ცხოვრების“** სახელით არის ცნობილი. ეს კრებული მხოლოდ მე-14 საუკუნის დამდეგამდის იყო მოყვანილი. ამ სახითაც ხელთნაწერები იშვიათი საშოვარი შეიქმნა იმიტომ, რომ მომეტებული ნაწილი მტრების შემოსევის დროს დაიღუპა. **ვახტანგ მეფემ** შეაგროვა ყველა საუკეთესო ხელთნაწერები, აგრეთვე ყველა ის საისტორიო წყაროები, რომელნიც ჯერ იმ კრებულში შეტანილი არ იყვნენ, და სიგელ-გუჯრებიც, მოგროვილ საისტორიო მასალებისდა მიხედვით ამ კრებულის გაგრძელების შედგენა დაავალა, რომ მე-14 საუკუნითგან მოყოლებული საქართველოს ისტორია მე-18 საუკუნის დამდეგამდის ყოფილიყო მიყვანილი. შემდეგ ამ ნაშრომის გავრცელება უკვე ადვილი საქმე იყო.

ეს დავალება ისტორიკოსთა კომისიამ შეძლებისდაგვარად აასრულა კიდეც. რადგან ქართული წყაროების ძიებასა და შესწავლას შეუდგენ, ამ გარემოებამ ქართული საისტორიო მწერლობა კვლავ გამოაღვიძა და გააცხოველა. იმავე მიზანს, რომელიც **ვახტანგ VI-ის** მიერ მოწვეულს კომისიასა ჰქონდა დასახული, ისტორიკოსი **ფ. გიორგიჯანიძის** ფრიად საგულისხმიერო და შინაარსიანი ნაწარმოებიც ემსახურებოდა. **ვახტანგ მეფისავე** თანამედროვე იყო ისტორიკოსი **ს. ჩხეიძე.** მაგრამ ამ ხანის ქართულ საისტორიო მწერლობის საუკეთესო სამკაულად **ბატონიშვილი ვახუშტის** განთქმული საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებები უნდა ჩაითვალოს. პირველი წყაროების შესანიშნავ კრიტიკულ განხილვითა, ხოლო მეორე საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებისა, ზნე-ჩვეულებისა და ტანისამოსთავ-საბურავის მოკლე, მაგრამ საუცხოვო მკაფიო ისტორიული მიმოხილვით არის შემკული. ორთავე თხზულებას, განსაკუთრებით საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას მეცნიერებისათვის ეხლაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ქართული მოწინავე წრეები საისტორიო თავგადასავალთა და თემებით იყვნენ გატაცებულნი, სხვათა შორის ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ხანაში პოეტებმა განსაკუთრებით საისტორიო პოემების წერას მიჰყვეს ხელი. ქართული მხატვრული მწერლობის სხვა დარგებსაც ეროვნული სიმთა ჟღერა დაეტყოთ. ეს გარემოება საზოგადოებრივ ჰანგებზე ამღერებულს ქართულს ამ დროინდელს პოეზიას სამშობლოს გაჭირვებული მდგომარეობის გამო ჩუმი მწუხარების ელფერს სდებდა.

თავის ნაყოფიერი მოღვაწეობა **ვახტანგ მეფემ** სახელმწიფო საქმეებშიც გამოიჩინა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ წესიერი და კარგად მოწყობილი სახელმწიფოსთვის თავი და თავი სამართალია. საქართველოს სახელმწიფოს წესწყობილება რომ მკვიდრ საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული, უნდა მტკიცედ გარკვეული ყოფილიყო ყველა დაწესებულებათა და მოხელეების უფლება-მოვალეობანი. როგორც უკვე წინათაც და მე-14 საუკუნეშიც არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დავიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებულ იქმნა, **ვახტანგ მეფემ** ისევ შეაგროვა წინანდელ ქართველ მეფეთა ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი, როგორც სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა, ისევე სხვა და სხვა მოხელეების უფლება-მოვალეობათა შესახებ, დაალაგა შინაარსისდა მიხედვით, მოაწესრიგა და სახელმწიფო კანონების სახელმძღვანელო წიგნად აქცია. ამ ძეგლით, რომელსაც **ვახტანგ VI**-ემ **„დასტურლამალი“** უწოდა, ქართულ სახელმწიფო სამართლის განვითარებას და შესწავლას მკვიდრი საფუძველი დაუდვა.

საქართველოში მართლმსაჯულების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად **ვახტანგ VI**-ემ ამ გვარადვე ჯერ ქართული სამართლის ყველა ძეგლები შეაგროვა, რომელიც კი ძველ დროითგან შერჩენილი იყო, შემდეგ სხვა ერთა კანონმდებლობითგანაც გამოარჩია სამართლის წიგნები და სამართლის ყველა ამ ძეგლების განსაკუთრებული კრებული შეადგინა, რომელსაც მისგანვე მოწვეულ ქართულ საკანონმდებლო კრების მიერ შედგენილი სამართლის წიგნი დაურთო. უკანასკნელი ნაწარმოები მაშინდელ ცხოვრების უფლებრივ ვითარების უფრო შესაფერისი გამომხატველი იყო. დიდი ხანია უკვე, რაც სპეციალისტებს აღნიშნული აქვთ **ვახტანგ VI**-ის სამართლის წიგნის ლმობიერებისა და ჰუმანურ მისწრაფების უტყუარი თვისებები.

**დაუფასებელია ის დიადი ღვაწლი, რომელიც ვახტანგ მეფეს, მის უფროსს, თანადროულსა და უმცროს თანამშრომლებს მიუძღვით ქართველი ერის წინაშე, მათი წყალობით ხალხის თვითშემეცნება ფხიზელი გახდა და გაღრმავდა. ყველაფერს კულტურული აღორძინების იერი დაეტყო.** ხელშემწყობი პოლიტიკური ცხოვრების პირობები-ღა იყო მხოლოდ საჭირო, რომ ეს აღორძინება განმტკიცებულიყო და თანდათან აყვავებისა და ძლიერების ხანად ქცეულიყო. **ვახტანგ მეფეს** ჩრდილოეთითგან მოსულმა ერთმა ამბავმა იმედი მისცა, რომ საქართველო მალე ცხოვრების ამ ხელშემწყობ პირობებსაც ეღირსებოდა.

**ეს ამბავი რუსეთითგან მოვიდა.**

# თავი პირველი

## რუსეთის პოლიტიკური დახმარების მოიმედეობა ვახტანგ VI-ის დროს საქართველოში და მისი შედეგი

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებით ეკონომიური ინტერესები ჰქონდა. **პეტრე დიდს** უნდოდა, რომ სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში და მთელი აბრეშუმი სპარსეთითგან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი. სპარსეთის ეკონომიურად ხელში ჩაჭერა რომ უფრო გაადვილებულიყო და შემდეგ უფრო ვრცელი პოლიტიკური ზრახვის განხორციელება შესძლებოდა, **პეტრე I-მა** გადასწყვიტა, კასპიის ზღვის მიდამოები ამიერკავკასიაში ჯერ თავის მფარველობის ქვეშ მოექცია, შემდეგ ქვეყანა დაეპყრა და შიგ რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა. ავღანელთა მიერ სპარსეთის დაპყრობის შიშმა თითქოს დააჩქარა ამ წადილის განხორციელება (Бутковъ Матеріалы |, 4-6). ამ იდუმალი გეგმის ასასრულებლად რუსეთისათვის საქართველოს სამეფოს სამხედრო დახმარება იყო საჭირო. ამიტომ **პეტრე დიდმა გადასწყვიტა საქართველო და მეფე ვახტანგიც ჩაერია ამ საქმეში და რუსეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა. პეტრე I**-მა სწორედ ამგვარი საიდუმლო დავალებით 22 მარტს 1720 წ. **ვოლინსკი** აშტახანში გუბერნატორად გაისტუმრა. მას **ვახტანგ VI** უნდა დაერწმუნებინა, რომ **პეტრე I** მისა და ქრისტიანებისადმი უაღრესად კეთილი განწყობილებით არის გამსჭვალული, და თანაც დაეიმედებინა, რომ რუსეთის ხელმწიფე მას მაჰმადიან ძლიერ სახელმწიფოებისაგან მფარველობას გაუწევდა (**ბუტკოვი.** Матеріалы |, 6).

რუსეთის ხელმწიფის ელჩმა ისე ოსტატურად მოაწყო და მოაჩვენა საქმე ქართველებს, თითქოს **პეტრე I-ს** შეეტყოს **ვახტანგ VI-ის** გაჭირვებული მდგომარეობა. მისი შველა და დახსნა სდომნოდეს სპარს — ოსმალთა კლანჭებისგან და სწორედ იმიტომ აპირებდეს იგი სპარსეთის წინააღმდეგ ამხედრებას. **მეფე ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრეებმა ეს დიპლომატიური ხრიკი სინამდვილედ მიიჩნიეს. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ძლიერ ქრისტიან ხელმწიფეს გულში სხვა რაიმე იდუმალი ზრახვა ექმნებოდა და ვახტანგ VI დარწმუნებული იყო კიდეც, რომ რა წამს იგი პეტრე I-ს და რუსთა ჯარს მიემხრობოდა, პეტრეც თავის მხრივ მის მეთაურობით საქართველოს მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებდა** (დ. გურამიშვილი დავითიანი. ზ. ჭიჭ. გამ. 33).

როდესაც ეს საკითხი სახელმწიფო დარბაზში ირჩეოდა, ყველა დარბაისელნი არ იყვნენ ამ სამხედრო გეგმის მომხრენი. პირიქით ზოგი საღი შორსგამსჭვრეტელობით ამტკიცებდა კიდეც, რომ ამ ომში ჩარევა საქართველოსთვის ფრიად სახიფათო და სწორედ დამღუპველი ნაბიჯი იქმნებოდა, რომლითაც ქართველთა მრავალრიცხოვანი გარეშე მტრები ისარგებლებდნენ და რუსთა ჯარის ამიერ-კავკასიაში მოსვლამდის ჩვენს ქვეყანას ააოხრებდნენ (იქვე 35).

მაგრამ **მეფე ვახტანგი** ისე გატაცებული იყო რუსთა ხელმწიფის წინადადებით, რომ არავითარი ეჭვიც არ ებადებოდა და ღრმად დარწმუნებული იყო, რომ **პეტრე I**-თან თანხმობრივი სამხედრო მოქმედება საქართველოს ბედნიერებას მოანიჭებდა, **ამიტომ ის და მისი თანამოაზრე დარბაისელნი დაუყოვნებლივ გალაშქრების მომხრენი იყვნენ.**

რაკი მეფე თავისას არ იშლიდა, მოწინააღმდეგე წინდახედულმა ჯგუფმა ურჩია მეფეს რუსთა ხელმწიფისათვის მხოლოდ ფარული დახმარება გაეწია და მარტო პატარა ლაშქრით და საიდუმლოდ წასულიყო **პეტრე I**-ის მისაშველებლად **(დ. გურამიშვილი. დავითიანი 35).** მაგრამ **ვახტანგ მეფემ** არც ეს ისურვა: **პეტრე I**-ს მისივე მოციქულის პირით თანხმობა შეუთვალა და მზადებას შეუდგა **(დ. გურამიშვილი. იქვე 36 და Бутковъ Матеріалы |, 16).**

2 ივლისს 1722 წ. **პეტრე I**-მა მეფე ვახტანგს **ბორის თურქისტანოვის პირით შემოუთვალა,** რომ ის მალე სპარსეთის საზღვრებს მიადგება და ამიტომ მეფე საჩქაროდ ლეკებს უნდა დასცემოდა, ამასთანავე თავის დაწყობილ ლაშქრითურთ სპარსეთს შეჰსეოდა და იქ მოეცადა, სანამ პეტრეს მოსვლის შესახებ ცნობები მოუვიდოდა, თუ სად შეყრილიყვნენ ერთად (Бутковъ |, 19).

**ვახტანგ მეფემ** სიხარულით 30.000-40.000 ჯარისკაცი შეჰყარა,მსწრაფად განჯისაკენ გაილაშქრა და შანქორში დაიბანაკა რუსთა ხელმწიფისა და ძლიერ ლაშქრის მოუთმენლივ მომლოდინემ. 6 ენკენისთვეს 1723 წ-სა პეტრეს ეს ამბავი დარუბანდში მიუვიდა, 7 ენკენისთვეს-კი ის დაიძრა და წავიდა, მაგრამ საქართველოს ჯართან შესაერთებლად კი არა, არამედ შინ, აშტახანისკენ (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 34. ჩუბ. 330, Бутковъ Мат. |, 30-31).

იმ დროს რუსეთი სპარსეთისადმი მხოლოდ იმ ეკონომიური გამორჩენის თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა, რომელიც **პეტრე I-ს** მხოლოდ თეორიულად, გეგმის მიხედვით ეხატებოდა. მაშინ რუსეთს იმდენად მოჭარბებული ძალღონე არ ჰქონდა, რომ მისთვის სპარსეთის ბაზარი საალებმიცემო ასპარეზად აუცილებლად საჭირო ყოფილიყო. სპარსეთში იგი თავის მრეწველობის ნაწარმოების გასაღებისათვის-კი არ შედიოდა, არამედ რუსეთის სავაჭრო მოქმედების გეგმა მხოლოდ უბრალო შუამავლობაზე იყო აგებული.

ამგვარ პირობების გამო **პეტრე I**-ისათვის და რუსეთისათვის სპარსეთთან ომი პირველ-ხარისხოვანი, აუცილებელი მოვლენა არ ყოფილა. ამიტომაც არის, რომ პირველივე დაბრკოლების შემდგომ, რომელიც რუსთა ხელმწიფის გეგმის განხორციელებას გადაეღობა, მან ამ საქმეს უყოყმანოდ თავი დაანება და შინ დაბრუნდა.

**სულ სხვა მდგომარეობაში იყო საქართველო: მისთვის რუსეთის მიმხრობა და ომში მონაწილეობა სპარსეთის წინააღმდეგ იმოდენად საბედისწერო და თავგანწირული ნაბიჯი იყო, რომ, თუ რუსეთის ხელმწიფე ამ ომს წააგებდა, საქართველოს პოლიტიკური არსებობა უუკიდურეს განსაცდელში უნდა ჩავარდნილიყო, — მას უკან დასახევი გზა აღარ ექმნებოდა და ხსნა არსაითგან იყო მოსალოდნელი.**

„აღმოსავლეთის ქრისტიანეთა მფარველი“ ხელმწიფე **პეტრე I** ამ გარემოებას ოდნავაც არ შეუფიქრიანებია: მას ამის გამო თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. **მეფე ვახტანგი 40.000 ქართველი ჯარითურთ იდგა და უცდიდა „ქრისტეს მოყვარე“ სახელმწიფოს და ვერ გაეგო, თუ რატომ „შეიქმნა დაყოვნება ხელმწიფისა“** (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 34. ჩუბ. 330). **დაპირებული თანხმობრივი სამხედრო მოქმედების მაგიერ სპარსეთის წინააღმდეგ პეტრე I-მა ვახტანგ მეფეს თავისი დესპანი გამოუგზავნა, რომლის პირითაც მეფეს ურცხვად ურჩევდა, საქმე განეგრძო:** თუ გაიმარჯვებ, მაშინ დიდად მოიგებ იმიტომ, რომ ურწმუნოთა ბატონობისაგან განთავისუფლდები და ჩვენგანაც იქაურ ქრისტიანებზე უფლება მოგეცემაო. **რუსთა ხელმწიფე მეფე ვახტანგს თითქოს იმ ცნობით ანუგეშებდა, რომ იგი ამ საქმეს სრულებით თავს არ ანებებდა და მომავალში ამ ომისათვის კვლავ მზადებას შეუდგებოდა** (Бутковъ Матеріалы |, 31-32).

მხოლოდ ამ ამბავის გაგებისთანავე შეიტყო მეფემ დაყოვნების ნამდვილი მიზეზი, რომ **„თურმე ხელმწიფე აშტახანიდან დაბრუნებულიყო“ თავის ქვეყანაში** (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 34. ჩუბ. 330). მაშინ-კი დარწმუნდა **ვახტანგ მეფე,** რომ ლაშქრობის მოწინააღმდეგე დარბაისელნი მართალნი იყვნენ. **„შეექმნა მეფეს ჭმუნვა დიდი“, მაგრამ რაღა დროს** (იქვე).

საქმე გაცილებით უფრო ცუდად დატრიალდა, ვიდრე ომის მოწინააღმდეგე დარბაისელებს გათვალისწინებული ჰქონდათ. მათაც-კი ფიქრად არ მოსვლიათ, რომ რუსთა ხელმწიფე თავის სიტყვას არ აასრულებდა და საქართველოს განრისხებულს მტრებს უმწეოდ მიუტოვებდა. სანამ **პეტრე I ვახტანგ მეფეს** შეაცდენდა და საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმეინებდა, ოსმალეთი **არზუმის ფაშის** პირით **ვახტანგ VI-ს** მფარველობას ჰპირდებოდა (Бутковъ Матеріалы |, 32). მას რომ სპარსეთის წინააღმდეგ რუსეთის ომში მონაწილეობა არ მიეღო და რუსეთს ცხადად არ მიჰმხრობოდა, ოსმალეთისაგან მაინც საქართველოს განსაცდელი არ მოელოდდა. **მაგრამ რაკი ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი სპარსეთის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, რუსების შიშით დაიძრა და ჯერ ერევნითგან თავრიზამდის მთელი ქვეყანა დაიჭირა, ხოლო შემდეგ გამოილაშქრა თვით საქართველოს წინააღმდეგაც** (Бутковъ Матеріалы |, 31).

მეორეს მხრით, **განა სპარსეთს კი შეეძლო საქართველოსთვის მისი მოქმედება ეპატიებინა?** სპარსეთის შაჰს ვახტანგ მეფეზე მოახსენეს: **ის იმდენად „არის მტერი შენი“,** რომ **„ეყმო ხელმწიფესა რუსეთისასა“** და **„ამოსწყვიტა რჯულისა შენისა მოსავნიო“** (ს. ჩხეიძე, ჭიჭ. 34. ჩუბ. 330). **საქართველო გადიდებისა და გაძლიერების მაგიერ მტრის სათარეშოდ გახდა: ქართლი აოხრდა და ოსმალებს ჩაუვარდა ხელში, ლეკებმა ხალხს ცარცვა-გლეჯა დაუწყეს. ვახტანგ მეფეს,** რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის დაუღალავი შრომა ჰქონდა გაწეული და ქვეყნის აღმაშენებლობითი მუშაობით იყო გატაცებული, **პეტრე I**-ისაგან ასე მოტყუებულსა და ყოვლად უმწეოდ მიტოვებულს საქართველოთგან გახიზვნის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. **ქართლში ოსმალები გაბატონდნენ.**

მაგრამ საქმე მარტო ამით არ დამთავრებულა. როდესაც **პეტრე I**-მა დაინახა, რომ ოსმალეთი რუსთა სამხედრო მოქმედებით სპარსეთში იმდენად განრისხებული იყო, რომ რუსეთისათვის ომის გამოცხადებას აპირობდა, 12 ივნ. 1724 წ. მსწრაფად ოსმალეთთან ზავი შეჰკრა, რომლის პირველ მუხლში რუსთა ხელმწიფემ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ოსმალეთს დაუთმო, თუმცა იგი მას სრულებითაც არ ეკუთვნოდა (Бутковъ Матеріалы |, 57, гл. 11. 58-59, 62-63 და მისიონ. კრუზინსკის Tragica vertentis Belli Persici historia sub ||. ზ. ავალიშვილი Присоединеніе Грузіи къ Россіи, მეორე გამოც. 69). **ასე უკუღმართად დამთავრდა საქართველოსთვის რუსთა ხელმწიფის მიერ აღთქმული აღმოსავლეთის ქრისტიანთა „მფარველობა“: ჯერ თავის სასარგებლოდ ქართველთა ომში ჩათრევით და შემდეგ მტრის წინაშე უმწეოდ მიტოვებითა და მტრისთვის გაცემით. პეტრე დიდმა** ისეთი უმადურებაც-კი გამოიჩინა, რომ მის მიერვე მოტყუებული და გაუბედურებული **მეფე ვახტანგისათვის** შესაფერისი თავშესაფრისა და საცხოვრებელი ადგილის მიჩენა არ ნებავდა. როდესაც **ვახტანგ VI-ემ** თავისი ოჯახობით აშტახანში დასახლების ნებართვა ითხოვა, **პეტრე I** განრისხებული იყო: **დახედეთ, უბედურების დროსაც მეფე მაინც ამპარტავნობას არ იშლისო.** რუსეთის მეფის აზრით, **ვახტანგ VI** უნდა სადმე საქართველოს სამზღვრის მახლობლად დასახლებულიყო და სწორედ ასეც მოხდებოდა, აშტახანის გუბერნატორს რომ გულუბრყვილობა არ გამოეჩინა და ხელმწიფის დაუკითხავად პეტრეს სახელით ვახტანგისათვის მისი სურვილის ასრულება არ აღეთქვა (Бутковъ Матеріалы |, 63).

*გაგრძელება იქნება*

შესავალი.

**აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადო მდგომარეობა მე-XVIII საუკუნის დამდეგს.**

საქართველოს და ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული თვალსაზრისით უაღრეს გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად მე-XVII-ე ს. უნდა ჩაითვალოს. მას შემდგომ, რაც ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა 1634 წ. როსტომი დაამტკიცა, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის წამლეკავ გავლენის ასპარეზად იქცა. თვით სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი და სპარსულ-მაჰმადიანურ ზნე-ჩვეულებებისა და დაწესებულებათა თაყვანისმცემელი როსტომ მეფე ამ გავლენის გავრცელებას საქართველოში შეგნებულად უწყობდა ხელს. ქართული სახელმწიფო სამართლის ტერმინების მაგიერ მან სპარსულ-თურქული შემოიღო. თვით სახელმწიფო წესწყობილებაშიაც მან ზოგიერთი იმგვარი ცვლილება შეიტანა, რომელიც სპარსულს უახლოვდება. სპარსული ენა და მაჰმადიანობა მეფის წაბაძულობით



**ისტორია, როგორიც იგი არის!**




# «ჩვენ, ზემორე ხელისმომწერნი» –

## არნო ხიდირბეგიშვილის შინაურული წერილი ქვეყნის მბრძანებლებს

***ქვემოთ წარმოდგენილი წერილით მოგმართავთ ზემორე ხელისმომწერთ — ქვეყნის მბრძანებლებს, ვინც ამა თუ იმ დოკუმენტს ხელს აწერთ არა ქვემოთ, როგორც უბრალო მოკვდავნი, არამედ ზემოთ — რეზოლუციის სახით.***

წერილს **„შინაურული“** დავარქვი და არა **„ღია“** ან **„ოფიციალური“,** რადგან მასზე არც კანონით დადგენილ ვადებში მოგთხოვთ პასუხს. ვფიქრობ, ეს უფრო შეხსენებაა დრამატული მოვლენების წინ, **როგორც თავის დროზე აფრთხილებდა ჟვანია შევარდნაძეს თავის საბედისწერო ღია წერილში გარდაუვალი რევოლუციის შესახებ.**

„შინაურული“ წერილი ნეპოტიზმის ტალღაზე არ იწერება, მას საფუძვლად უდევს უბრალო ხალხის დაუოკებელი სურვილი, რომ იქ, ზემოთ, თავისიანები ჰყავდეს, მზრუნველი ახლობლები, ჯიშითა და ჯილაგით ქართველნი, და არა ფულით გაბრწყინებული უცხოეთის მოციქულები, რომლებიც დასავლეთის წინაშე იწერენ ქულებს.

**უცხოეთის აგენტები ვახსენეთ და ბარემ გკითხავთ:** გასულ კვირას აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ ნაცებს **„ფარ**ები“ აუნთო — უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის კანონი „FARA“ აამოქმედა და სააკაშვილის შიმშილობის მთელი ანატომია ხელისგულზე დადო. **პატივცემულო ქვეყნის მბრძანებლებო, იქნებ ჰკითხოთ იმ ჩინოვნიკს, ვინც 8 მარტს ვაშინგტონიდან დაგირეკათ და პირველი მოსმენით უკვე მიღებული ამერიკული კანონის ბევრად რბილი ქართული ანალოგი მეორე მოსმენით ჩაგაგდებინათ:** ნუთუ მარტო ამერიკას უნდა **„ᲔᲜᲗᲝᲡ ᲤᲐᲠᲔᲑᲘ“,** ჩვენ კი არაფერი ვიცოდეთ იმის შესახებ, რა **ფარას** ატრიალებენ უცხოეთის **ფარ**ოსანა აგენტები ქვეყნის დასაქცევად?! როგორ **ფარ**ავენ თავის დანაშაულებს ფულით, როგორ ყიდულობენ ევროპარლამენტის არცთუ მთლად **ფარ**ატინა რეზოლუციებს და საგაზეთო სტატიებს, როგორ იფენენ დემოკრატიის **ფარ**დაგებსა და **ფარ**ჩა-ატლასებს?

მაშინ, თუ **ფარა, ანუ ფული** ჯოჯოხეთს ანათებს, **გამოდის, რომ დასავლეთი ჯოჯოხეთია?!** უკაცრავად, მაგრამ რა გვინდა ქართველებს ჯოჯოხეთში, ჩვენო დალოცვილო და ოჯახაშენებულო საქართველოს მბრძანებლებო?! დავანებოთ თავი მაგ **ფარ**ჩაკებს, რომლებსაც რახანია **აფარ**ებს თავს სააკაშვილის სექტა. დადგა დრო, მაგისთანებმა ვეღარ აი**ფარ**ონ **ფარად** ამერიკული დემოკრატია, რომელმაც, როგორც იქნა, **ფარ**და ახადა მავანთა და მავანთ **უცხოეთის აგენტთა რეგისტრაციის კანონის** ამოქმედებით, რომელსაც, ბედის ირონიით, მართლაც Fara ჰქვია! შეერთებული შტატები დიდი სახელმწიფოა, მალე **ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘᲡᲐ** და მისნაირი გველების **დაგნარი** დასრულდება და ამერიკა ისევ გაბრწყინდება, **ᲢᲠᲐᲛᲞᲘ** მოვა სათავეში თუ **ᲙᲔᲜᲔᲓᲘ!**

**აი, ევროპას რა ვუყოთ?! ნუთუ მექრთამეობა, კორუფცია და ნეპოტიზმია „ევროპული ფასეულობები“, რომლებზეც გამუდმებით გვიკიჟინებენ?!**

სამწუხაროდ, ევროდეპუტატების ნაწილი პირდაფჩენილ სელაპს დაემსგავსა, ოღონდ შიგ შაქრის ნატეხი ჩაუდე და ყველა სიმღერას შეასრულებენ. სააკაშვილის მიერ მოსყიდული უპრინციპო მოღალატეები **ადრე თუ გვიან** სამართალმა უნდა ალაგმოს, მაგრამ როდის დადგება ეს **„ადრე თუ გვიან“?** არადა, გასული საუკუნის ევროპას რომ ჩავხედე, **ფაშიზმს** წავაწყდი, უფრო შორს წასული კი **ინკვიზიციას** მივადექი!

**მთელი საქართველო მიშას ფრჩხილის ღირსი არ არის და მთავრობამ რაც არ უნდა ილონოს, მისი თავიდან ერთი ღერი თმაც არ დავარდებაო!** — უთქვამს იმ პოლონელ ექიმს, რომელმაც **სააკაშვილის ნეხვი ნასკში გამონასკვა მალულად და გამოიტანა სამშობლოში წასაღებად.** იქნებ პოლონეთში სააკაშვილის უნიკალური გენის ხელოვნურად გამრავლება გადაწყვიტეს, რათა ყველაფერზე წამსვლელი შემსრულებლების რაზმი გამოკვებონ?

დავუშვათ, ევროკავშირის დეპუტატები და მესვეურნი, რომ-




ლებსაც FARA-ს კანონმა ნიღაბი ჩამოხსნა, **ფარ**ისევლები აღმოჩნდნენ, მაგრამ როდემდე არ უნდა წავართვათ **ფარ**ი სააკაშვილს — უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც მათ მილიონებს უხდის და საქართველოში ომს, რევოლუციას, სახელმწიფო გადატრიალებასა და სისხლისღვრას უკვეთავს?!

და აი, მივადექით „ბოლო გაჩერებას“ — პრეზიდენტ **ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ,** ვისაც, თურმე, **ᲑᲙᲐᲠᲐᲛᲘᲐ** ზეწოლით შეაწყალებინეს! არადა, პარიჟანკას თავის ცხოვრებაში იმდენი ზეწოლა და ქვეწოლა ახსოვს, რომ მას ვერავინ ვერაფერს აიძულებს... აი, ფული — სხვა საქმეა! თუ ევროპარლამენტარები ქრთამებს სიამოვნებით იღებენ, ზურაბიშვილმა რა დააშავა?!

**ისე, ეს ორი ადამიანი დღეს ერთმანეთს ისე სჭირდება, როგორც სხვა არავინ დედამიწის ზურგზე, ხოლო ქრთამის მაგივრად ქმრობას რომ შეჰპირებოდა, ზურაბიშვილი სააკაშვილს იმავე დღეს შეიწყალებდა და ყველაფერი „ჰეფი ენდით“ დასრულდებოდა.**

ხუმრობა იქით იყოს და ცხვრის **ფარა,** ანუ უბრალო ხალხი, ქორწილის მეორე დღეს „პახმელიაზე“ მაინც **ფარ**ეხში გავიღვიძებდით.

**აი, ეს უნდა გახსოვდეთ თქვენც, ზემორე ხელისმომწერნო!**

**ᲜᲣᲗᲣ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ „ᲔᲜᲗᲝᲡ ᲤᲐᲠᲔᲑᲘ“, ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐ ᲤᲐᲠᲐᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲜ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲝᲡᲐᲜᲐ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲥᲪᲔᲕᲐᲓ?!**


RA) was enacted in 1938. FARA is a
cting as agents of foreign principals in a
ke periodic public disclosure of their
well as activities, receipts and
ies. Disclosure of the required
government and the American people of
ons in light of their function as foreign
e Counterintelligence and Export
urity Division (NSD) is responsible for
e Act.

GEN
NATIC
LEADER
John P
Assistan
Securit
Assistan

# გიორგი ბეჟიტაშვილის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ მოსკოვი, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში, გერმანული ავიაციის მასირებულ თავდასხმებს განიცდიდა. წარმოუდგენელია, როგორ მოხერხდა ამ პირობებში 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე აღლუმის ჩატარება და, რაც მთავარია, გვაოცებს სტალინის სიმამაცე, რომელმაც ეს აღლუმი მოაწყო და მასზე სიტყვითაც კი გამოვიდა



ი.ბ. სტალინის გამოსვლა წითელი არმიის აღლუმზე 1941 წლის 7 ნოემბერს

გამუდმებული მასირებული თავდასხმების შესახებ სიმართლეა. გთავაზობთ **ქ. მოსკოვის** ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ცნობას, რომელიც **1942 წლის იანვრით** თარიღდება.

**„გასული 1941 წლის ივლისი-დეკემბრის განმავლობაში ქალაქზე** (მოსკოვი — რედ.) **განხორციელდა 122 საჰაერო თავდასხმა, 229 თვითმფრინავმა 1445 ფუგასური და 45 ათასამდე ცეცხლგამჩენი ყუმბარა ჩამოაგდო. შედეგად დაიღუპა 1223 ადამიანი, მძიმედ დაიჭრა 2293 და მსუბუქად — 3313 ადამიანი. დაბომბვის დროს 2 საწარმო და 156 საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაინგრა, 112 საწარმო და 257 საცხოვრებელი სახლი — ნაწილობრივ. ამ პერიოდში განადგურდა აგრეთვე 4 ხიდი, რკინიგზის და ტრამვაის 43 ხაზი. ქალაქში რეგისტრირებულია 1541 ხანძარი, სამრეწველო საწარმოებსა და დაწესებულებებში — 221, აქედან 675 — დიდი.“**

გვეკითხებით, როგორ მოხერხდა ამ პირობებში სამხედრო აღლუმის ჩატარება? პასუხი ერთმნიშვნელოვანია — ქვეყნისა და არმიის სათავეში **სტალინი** იდგა. ეს აღლუმი მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოებისთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თავიდან მათ არც კი დაიჯერეს. და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ის მართლაც ჩატარდა, მხოლოდ მაშინ მიაწოდეს ინფორმაციები რადიოსა და გაზეთებს. **ჰიტლერული ხელმძღვანელობა კი ბოლო წუთამდე ფიქრობდა, რომ ეს „კრემლის ბლეფია“ და მისი ავიაცია ჰაერში მხოლოდ მაშინ აიჭრა, როდესაც აღლუმი უკვე დამთავრებული იყო.** იცით, აქ მხოლოდ **სტალინის** უმაგალითო გმირობა როდი გაგაოცებთ. ასეთი მაგალითი მის ცხოვრებაში არაერთია. განგაცვიფრებთ, რომ მან, მტრისაგან რამდენიმე კილომეტრში,



წითელი არმიის აღლუმი 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე, მოსკოვში



პრაქტიკულად, ალყაშემორტყმულ ქალაქში მყოფმა, ფრონტზე მიმავალ წითელი არმიის ნაწილებს ევროპისა და მსოფლიოს ფაშიზმისაგან გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

და ეს მოწოდება აღსრულდა. **„კრემლის ბლეფი“** დიადი გამარჯვების საწინდრად იქცა.

## მაინტერესებს, მართალია თუ არა სტალინის დადანაშაულება მეფის ოხრანკასთან თანამშრომლობაზე და რას გვეტყვით ძველი ბოლშევიკის – ვადაჭკორიას მოგონებებზე ამ ფაქტთან დაკავშირებით

მეფის ოხრანკასთან **სტალინის** ვითომდა თანამშრომლობის გარშემო დავიდარაბა **1956 წელს აშშ-ის ჟურნალ „ლაიფში“ თითქოსდა ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო.** რედაქციის განცხადებით, ეს საბუთები მათ ესპანეთში საბჭოთა დაზვერვის ყოფილი რეზიდენტის **ალექსანდრე ორლოვისაგან** (*სინამდვილეში* ***ლეიბა ფელბინგი***) მიიღეს, რომელიც ესპანეთში სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ აშშ-ში გაიქცა. **1953 წელს ორლოვმა** გამოაქვეყნა წიგნი **„სტალინის დანაშაულთა საიდუმლო ისტორია“,** რომელშიც ოხრანკასთან **სტალინის** თანამშრომლობის ფაქტი ნახსენებიც არ ყოფილა. და აი, სამი წლის შემდეგ, ამერიკულ ჟურნალში ჩნდება სტატია **„ოხრანკის საიდუმლო თანამშრომელზე იოსებ ჯუღაშვილზე“,** რომლის ფსევდონიმი **„ფიკუსი“** გახლდათ. ქვეყნდება ამ აგენტის შესახებ **პოლკოვნიკი ვისარიონოვის** მიერ ხელმოწერილი საპოლიციო დოკუმენტის ფოტოასლი.



ამხანაგი სტალინის დაპატიმრება ბათუმში მეფის სატრაპების მიერ (1902 წ.) ***მხატვარ კ. სანაძის სურათიდან***

ბუნებრივია, ეს ნაყალბევი იყო. თავად **ორლოვი** (*გარდაიცვალა 1973 წელს*) ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ჟურნალ **„ლაიფისთვის“** არანაირი დოკუმენტი არ გადაუცია. გარდა ამისა, **ისტორიკოსების ბ. კაპელოვის** და **ზ. პერეგუდოვას** ჩატარებული გამოკვლევით სარწმუნოდ დადასტურდა, რომ „დოკუმენტი“ შეთხზულია. ჯერ ერთი, ის იმ დროს მიღებული ფორმის მიხედვით არ არის შედგენილი. მეორე — არავითარი **პოლკოვნიკი ვისარიონოვი** ბუნებაში არ არსებობდა. და მესამე — იმ წლების რუსეთის პოლიციის სამმართველოს არცერთ ნამდვილ საბუთში არ არის დაფიქსირებული აგენტი **„ფიკუსი“.** ამ გამოკვლევათა შედეგები მოსკოვის **ჟურნალ „როდინას“ 1989 წლის № 5-ში გამოქვეყნდა.**

თუმცა, პუბლიკაციები **„აგენტ ფიკუსზე“** კვლავაც გრძელდებოდა და ბოლოც არ უჩანდა. ავტორებს რეალური ფაქტები სულაც არ ენაღვლებათ.

ახლა **ვადაჭკორიაზე** ვისაუბროთ, რომელსაც ისინი იმოწმებენ. **დომენტი ვადაჭკორია** ძველი ბოლშევიკია, იატაკქვეშეთის მონაწილე, ერთ-ერთი იმ მოგონების ავტორი, რომლებიც ჩართულია **1937 წელს** „პარტიზდატის“ გამოცემულ წიგნში **„ბათუმის დემონსტრაციის 35 წელი“.** თავის მოგონებებში ის, კერძოდ, წერს: **„მახსოვს ამხანაგი სოსოს მონათხრობი მის გაქცევაზე ირკუტსკის გუბერნიის სოფელ ნოვაია უდადან, გადასახლებიდან. გაქცევის წინ ამხ. სოსომ ოხრანკის აგენტის სახელზე ყალბი მოწმობა მოიმზადა. მატარებელში ერთი საეჭვო სუბიექტი — ჯაშუში აეკიდა. მისგან თავის დასაღწევად ამხ. სოსო ერთ-ერთ სადგურზე ჩავიდა, ჟანდარმს მოწმობა წარუდგინა და „საეჭვო“ პირის დაპატიმრება მოსთხოვა. ჟანდარმმა სუბიექტი დააკავა, მატარებელი კი ამასობაში დაიძრა და ამხ. სოსოც თან წაიყვანა...“**

სწორედ ამ ციტატას დაებღაუჭნენ ისტორიის უახლესი გამყალბებლები და ამტკიცებენ, რომ „ამხ. სოსოს“ დოკუმენტი ყალბი კი არა, ნამდვილი იყო.

აი, სულ ეს არის ცილისმწამებელთა გამოზრდილი **„ფიკუსის“** ამბავი. ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ ფარული პროვოკატორის **მალინოვსკის** დასმენით **იოსებ ჯუღაშვილი 1913 წლის თებერვალში დააპატიმრეს და ტურუხანსკის მხარეში გადაასახლეს. რაღა გამოვიდა, აგენტმა აგენტი „ჩაუშვა“?**

## დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა კავკასიის დაცვა გახლდათ. იმ დროს მედალიც კი მოჭრეს, რომლითაც კავკასიის დამცველებს აჯილდოებდნენ და რომელიც არანაკლებ პრესტიჟულად ითვლებოდა, ვიდრე მედალი სტალინგრადისთვის. საინტერესოა, რა როლი შეასრულა ამ უმნიშვნელოვანესი სამხედრო ოპერაციის განხორციელებაში უმაღლესმა მთავარსარდალმა? ცნობილია, რომ კავკასიის დაცვას უშუალოდ „მეორე ქართველი“ – ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. „პირველის“ როლი რაში მდგომარეობდა?

მართალი ბრძანდებით, **„მეორე ქართველის“ — ლავრენტი ბერიას** როლი მნიშვნელოვანია.

იმ კატასტროფის შემდეგ, რომელიც სამხრეთის ფრონტის სარდალს, მარშალ **ბუდიონნს** შეემთხვა, მან, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე აიღო სარდლობა და ის, რომ **კავკასია** შევინარჩუნეთ, რომ **გერმანულმა ჯარებმა საქართველოს ტერიტორიაზე ვერ შემოაღწიეს, ბერიას უდავო დამსახურებაა.** მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო **„პირველი ქართველის“ — იოსებ სტალინის** როლი, რომლის სტრატეგიულ გენიას ეკუთვნის მტრის შეჩერების და კავკასიის მთებში მისი განადგურების გეგმა. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია მოვიყვანოთ ისეთი ავტორიტეტის მოწმობა, როგორიცაა **უინსტონ ჩერჩილი** (მისი ფუნდამენტური ნაშრომიდან „მეორე მსოფლიო ომი“): **„ბოლოს კავკასიის შესახებ ვკითხე. ამ საკითხის განხილვისას მან ქედის მაკეტი მოატანინა და სრულიად გულახდილად, საქმის უდავო ცოდნით განმიმარტა ამ ბარიერის სიმტკიცე, რომლის დასაცავად, მისი თქმით, 25 დივიზიაა განკუთვნილი. მან სხვადასხვა სამთო გასასვლელებზე მიმითითა და დეტალურად ამიხსნა, როგორ იქნება ისინი დაცული. მე ვკითხე, გაამაგრეს თუ არა ისინი და მან მიპასუხა „დიახ, რა თქმა უნდა“, თანაც დაწვრილებით მიამბო, როგორ. რუსების ფრონტის ხაზი, რომელთანაც მტერს ჯერ ვერ მიეღწია, ძირითადი ქედის ჩრდილოეთით იმყოფებოდა. სტალინმა თქვა, რომ მათ ორი თვე მოუწევთ გაძლება, სანამ თოვლი მთებს გაუვალს გახდის. მან განაცხადა, რომ სავსებით დარწმუნებულია, ისინი ამის გაკეთებას შეძლებენ...“**





**ჩერჩილის** და **სტალინის** ეს საუბარი **1942 წლის 13 აგვისტოს** შედგა. და უნდა ითქვას, რომ შემდგომში ყველაფერი ისე მოხდა, როგორც **სტალინი** ამბობდა. როგორც ვხედავთ, კავკასიასთან გერმანელთა მიახლოებამდე კარგა ხნით ადრე იქ მისი ძალისხმევით ყველაფერი მზად იყო ყველაზე ხელსაყრელ მიჯნაზე მათ შესაჩერებლად. მანამდე კი **სტალინი** მტერს წინ წაწევის საშუალებას აძლევდა და სულ უფრო ღრმად იტყუებდა ხაფანგში, საიდანაც მათ თავის დაღწევა აღარ ეწერათ.

2023 წლის 24 ივლისი. № 39-40 (207-208)

სარედაქციო კოლეგია

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com**

ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# რას ფარავდა ფარულავა?

***სოციალური ქსელები წალეკა ნაწყვეტმა ქართულენოვანი სერიალიდან „ცვალებადი ნიშნები“, რომელიც ყოველ ხუთშაბათს, 21 საათზე ტელეკომპანია „კავეა პლუსზე“ გადის. თვალის ზერელე შევლებითაც ჩანს, რომ ზემოხსენებული სერიალი ახალგაზრდა სტუდენტების, გოგო-ბიჭების ცხოვრებაზეა, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟის, კერძოდ, ზღვისფერთვალება სტუდენტი გოგონას ბებიას როლს მსახიობი ია ფარულავა ასრულებს.***





საუბედუროდ, ქალბატონი **ია ფარულავა** სერიალში გარყვნილ ბებიას ასახიერებს, რომელიც უკიდურესად სასოწარკვეთილი და აღშფოთებულია, რადგან მოულოდნელად იგებს, რომ თავისი შვილიშვილი — ის ლამაზი და ზღვისფერთვალება გოგო — ვინმე ბასასთან სქესობრივი თანაცხოვრების დროს სიამოვნებას კი არ განიცდის, არამედ სექსუალური ტკბობის სიმულაციას ეწევა და პარტნიორს ე.წ. **„ფეიკ-ორგაზმით“** ატყუებს!

**გამწარებული „ბებია“ ია ფარულავა** შვილიშვილს ურჩევს, სასწრაფოდ კაცი გამოცვალოს! ქალბატონი ფარულავა ლამის მოთქვამს — **ღმერთო, ღმერთო, ჩემი თაობის გოგონებს ჰქონდათ „ფეიკ-ორგაზმი“ და მეც რამდენი „მიფეიკია“, მაგრამ ამათ რა დაემართათ, ჩემს შვილიშვილს ფეიკ-ორგაზმი რატომ უნდა ჰქონდესო?!** ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გთავაზობთ იმ ბინძური და გულისამრევი დიალოგის მცირე ამონარიდს:

**ბებია:** — აუუ, მთელ სამეზობლოს თქვენი სექსის და ორგაზმების ხმები ესმოდა... კარგია!!!

**შვილიშვილი:** — სულ „ფეიკ-ორგაზმები“ მაქვს!

**ბებია: — ვაიმე, რა თქვა!** ღმერთო ჩემს შვილიშვილს „ფეიკ-ორგაზმი“ რატომ უნდა ჰქონდეს, გამაგებინეთ, რატომ? მე მეგონა, მარტო ჩემს თაობაში ჰქონდათ გოგოებს „ფეიკ-ორგაზმი“! იცი, რამდენი მაქვს „ნაფეიკარი“, მაგრამ არ შეიძლება თქვენი თაობის გოგოებს... არ შეიძლება, რომ ფეიკ-ორგაზმები გქონდეთ! თქვენ უფრო თავისუფლები ხართ. რას მელაპარაკები, რა ჭირს მაგ ბიჭს?

***შვილიშვილი:** „— არ ვიცი, რა ჭირს!*

***ბებია:** — ვერ შვრება ვერაფერს?*

***შვილიშვილი:** — ვაიმე, არ ვიცი, ბებო?*

***ბებია:** — უმუშავებს ქვედა ნაწილი?*

***შვილიშვილი:** — უმუშავებს!*

***ბებია:** — მალე ათა...ებს?*

***(ცენზურა ჩვენია. რედ.)***

***შვილიშვილი:** — აუ, არა!*

***ბებია:** — მაშინ შენ გქონია, ქალო, პრობლემა! კაცი უნდა გამოცვალო!*

***შვილიშვილი:** — რა კაცი უნდა გამოვცვალო?!*

***ბებია:** — დიახ, კაცი უნდა გამოცვალო! ან უნდა დაელაპარაკო და უთხრა, რომ გჭირდება უფრო კარგი პრელუდია...*

***შვილიშვილი:** — ვერ დაველაპარაკები, მგონია, რომ ეწყინება!*

***ბებია:** — „ფეიკ-ორგაზმი“ არ არის საწყენი შენისთანა გოგოსთვის?.. დაგეხმარები... ახლა მომივიდა თავში აზრად...*

***შვილიშვილი:** — ჩუმად!*

***ბებია:** — მე ჩემთვის გამოვიწერე რაღაცა ინტერნეტით... არ გამომიყენებია და მოგცემ შენ.*

***შვილიშვილი:** — რა არის?*

***ბებია:** — რა არის და ნახავ, რაც არის!“*

მოკლედ **„ბებია“ „შვილიშვილს“ აქეზებს — კაცი გამოცვალე, ანუ იბოზეო!** ხოლო შემდეგ კიდევ უფრო უარესს ეუბნება — **„რაღაც“ მაქვს, რომელიც გიშველისო!**

ვფიქრობთ, მსგავსი სიბილწისა და გარყვნილების მასშტაბი თვით ჩეზარე ბორჯიას, იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს, იმპერატორ კალიგულას, წყეულ ჰელიოგაბალსა და თურქეთის სულთან მეჰმედ მეორესაც კი განაცვიფრებდა, რომელიც გაქანებული კონჩიტა იყო, მაგრამ 1453 წლის მაისში კონსტანტინოპოლი დააჩოქა და ბიზანტიის იმპერიას ბოლო მოუღო!

იმედია, სოციალურ ქსელებში იმის ამსახველ კადრებსაც მალე ვიხილავთ, თუ როგორ ამეცადინებს **ია ფარულავას** კინოგმირი — **გარყვნილი „ბებია“** „შვილიშვილს“ ინტერნეტით გამოწერილი იმ **რაღაცის** მოხმარებაში, რომელიც, დიდი ალბათობით, ხელოვნური ფალოსის ტყვიამფრქვევი იქნება.

ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როცა **ია ფარულავასთან** ლაპარაკს აზრი არა აქვს. მას შემდეგ, რაც გენიალური **გუგული მგელაძის** გახმაურებულ კინოფილმ **„ფესვებში“** ითამაშა და ამერიკაში წავიდა, ფარულავა **ფესვებს** მოწყდა. კინოხელოვნებაში მას ნივთიერი და ხელშესახები არაფერი შეუქმნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ იორდანული წარმოშობის ამერიკელი ცერეუშნიკისგან, რომელიც საქართველოში ჯერ ბანანებს და მერე ქათმის ბარკლებს ყიდდა, საქართველოს დაუძინებელი მტერი და სააკაშვილის ასლი შექმნა. **დიახ, სწორედ ფადი ასლის ვგულისხმობთ, რომელიც საქართველოსა და ქართველებზე ისეა გაცოფებული, ლამის ყველაფერი მოგვაკვნიტოს!**

ყოველთვის მიკვირდა, რატომ იყო ეს კაცი ასე გაცეცხლებული ჩვენზე და სამოქალაქო ომის შედეგად გაყოფილი, დაქცეული და მიწასთან გასწორებული იორდანიელი არაბი რატომ ცდილობდა თავისი უკანალის ჩაჩურთვას ქართულ პოლიტიკაში, რათა ყველაფერი აექოთებინა? და აი, ამდენი წლის შემდეგ ამ შეკითხვაზე პასუხი, როგორც იქნა, ვიპოვე!

**აშკარაა, ფადი ასლის გაცოფების მიზეზი ია ფარულავამ სწორედ იმ ტუტრუცანულ და გარყვნილ სერიალში გათქვა, როცა მანქანაში „შვილიშვილს“ უთხრა - რაც მე ადრე „მიფეიკიაო!“**

ანუ გამოდის, რომ ფადი ასლისთან სექსის დროს ფარულავა სწორედ **„ფეიკ-ორგაზმს“** მიმართავდა და იორდანიელ არაბს, რომელიც ამ ოცდაშვიდი წლის წინათ ვიღაც ბიზნესმენმა საქართველოში ბანანების გამყიდველად გამოგზავნა, მწარედ ატყუებდა!






**ჭეშმარიტი ხელოვნება, ია ფარულავა, „ფეიკ-ორგაზმი“ და ვიბრატორი ერთი ეტლით ვერ იმგზავრებენ!**

**ცხადია, ფარულავას მიერ სავარაუდოდ „ფეიკ-ორგაზმებით“ მოღორებულმა ფადიმ მოიძულა ია, შეიზიზღა საქართველო და ახლა სააკაშვილთან და ამერიკის სპეცსამსახურებთან სწორი ნაწლავით მიერთებული, სულ იმის ცდაშია, როგორმე ჩვენი სისხლი დალიოს და ქვეყანაში სამოქალაქო ომის ხანძარი გააჩაღოს!**

ისე, ისიც საინტერესოა, სააკაშვილის გაგიჟების მიზეზიც ისევ და ისევ ფარულავა ხომ არ არის და ქალბატონმა იამ ფადი ასლის მსგავსად მიხაილოსაც „ფეიკ-ორგაზმებით“ ხომ არ აურია ისედაც დასხივებული ტვინი!

**მოკლედ, ია ფარულავასთან ლაპარაკის აზრს ვერ ვხედავთ, რადგან ეს ვიბრატორიანი „ბებია“ ჩვენს შვილებსა და მომავალ თაობას რყვნის.**

მე უფრო იმ ზღვისფერთვალება გოგოს — **„შვილიშვილს“** მინდა დაველაპარაკო, რომლის გამოსწორებაც ჯერ კიდევ შეიძლება.

მიგვაჩნია, რომ გოგონამ ია ფარულავას ვიბრატორიან და გარყვნილ კინოგმირს — „ბებიას“ კი არ უნდა მოუსმინოს, არამედ გენიალური **ჩარლი ჩაპლინის** წერილი-შედევრი წაიკითხოს თავისი ქალიშვილის **ჯერალდინასადმი: „გახსოვდეს, ხელოვნების გულისთვის სცენაზე შესაძლოა, შიშველი გამოხვიდე, მაგრამ იქიდან უმწიკვლო და შემოსილი უნდა გაბრუნდე!“**

**მშვენიერო გოგონა, რასაც თქვენ და ვიბრატორიანი „ბებიათქვენი“ — ია ფარულავა მანქანაში ლაპარაკობთ, ხელოვნება კი არა, გარყვნილებაა!**

**დაუჯერე ბებერ ჩარლის და ნუ დაუჯერებ ია ფარულავას!**

კუბოს კარამდე გახსოვდეს, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება, ია ფარულავა, „ფეიკ-ორგაზმი“ და ვიბრატორი ერთი ეტლით ვერ იმგზავრებენ!

***დიტო ჩუბინიძე***



***ჩარლი ჩაპლინი თავის ქალიშვილთან - ჯერალდინასთან ერთად***

**გოგონამ ია ფარულავას ვიბრატორიან და გარყვნილ კინოგმირს — „ბებიას“ კი არ უნდა მოუსმინოს, არამედ გენიალური ჩარლი ჩაპლინის წერილი-შედევრი წაიკითხოს თავისი ქალიშვილის ჯერალდინასადმი: „გახსოვდეს, ხელოვნების გულისთვის სცენაზე შესაძლოა, შიშველი გამოხვიდე, მაგრამ იქიდან უმწიკვლო და შემოსილი უნდა გაბრუნდე!“**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი* ***იგორ კვესელავა*** *იმ საერთაშორისო პოლიტიკური იზოლაციის მასშტაბის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც გლობალურმა დასავლეთმა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასა და პირველ პრეზიდენტს გამოუცხადეს:*



# იგორ კვესელავა:

# დღევანდელი ვითარება ძალიან ჰგავს იმ პოლიტიკურ პოზას, რომელიც დასავლეთმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიმართ დაიკავა!

— დევნილი ზვიად გამსახურდია, რომელიც 1992 წლის 23 ნოემბერს გროზნოდან სტამბოლში ჩაფრინდა და იქიდან ჰელსინკში გადაფრინდა, რათა საქართველოს შესახებ მსოფლიოსთვის სიმართლე ეთქვა, საფრთხეს უქმნიდა და არღვევდა იმ საერთაშორისო გარიგებას, რომელიც ამერიკასა და რუსეთს შორის შედგა. **სწორედ ამ გარიგების შედეგი იყო საქართველოში მომხდარი სისხლიანი გადატრიალება, რომელსაც ვაშინგტონმა და მოსკოვმა მხარი დაუჭირეს და ედუარდ შევარდნაძე თბილისში დაგვისვეს.**

გვითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ამ გარიგების შედეგი იყო აფხაზეთის ომიც, რომელიც შევარდნაძემ ქართველი ერის დასაჩოქებლად და ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკოსისა და ქვეყნის ლიდერის, დისკრედიტაცია-ლიკვიდაციისათვის წამოიწყო. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ იმ საინფორმაციო ვაკუუმში, როცა ალტერნატიული საინფორმაციო წყაროები, ფაქტობრივად, არ არსებობდა, ხოლო თბილისში მიტინგებს ხვრეტდნენ, შევარდნაძის რეჟიმმა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ზვიად გამსახურდიას პერსონის დისკრედიტაცია მართლაც მოახერხა. ქართველების რაღაც ნაწილი დააჯერეს იმაში, რომ გამსახურდია აფხაზეთში ქართველების ამოსაწყვეტად ჩეჩენ „ბოევიკებს" აგზავნიდა. დიახ, სწორედ ამას უჩიჩინებდნენ მაშინ მოსახლეობას საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის წამყვანები და შევარდნაძის სხვა მეხოტბენი. ზვიად გამსახურდია ლოკალური მოვლენა არ ყოფილა, ის საერთაშორისო მოვლენა იყო, რაც გარკვეულ საფრთხეებს ქმნიდა!

**— ვისთვის რა საფრთხეს ქმნიდა ზვიად გამსახურდია?**

— **ზვიად გამსახურდია საფრთხეს უქმნიდა იმ საერთაშორისო წესრიგს, რომელიც მსოფლიოში რუსეთ-ამერიკის გარიგების შედეგად შეიქმნა.** საქართველოს პრეზიდენტთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნატოს წევრი თურქეთის პრეზიდენტის **თურგუთ ოზალის ვაჟს**, რომელიც მას გროზნოში ხშირად სტუმრობდა. ზვიად გამსახურდიას გროზნოში ასევე სტუმრობდა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი ლიდერი, ეთნიკური თურქი **კონსტანტინე ოზგანი...** აზერბაიჯანის პრეზიდენტმა **აბულფაზ ელჩიბეიმ** შევარდნაძის წარმომადგენლებს ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე ხმამაღლა განუცხადა, რომ ისინი არიან სისხლიანი ხუნტის, არალეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები და აზერბაიჯანის კარი მათთვის დახურულია! დაახლოებით იმავე სიტყვით მიმართა ხუნტის წარმომადგენელ გენერალ **ლევან შარაშენიძეს** ბელორუსიის ყოფილმა ლიდერმა **სტანისლავ შუშკევიჩმაც.**

**— ზვიად გამსახურდია მაშინდელ მსოფლიო წესრიგს საფრთხეს როგორ უქმნიდა?**

— 1992 წლის 23 ნოემბერს, როცა ზვიად გამსახურდია ევროპაში გაემგზავრა, გადაწყდა, რომ უკან დაბრუნებისას თურქეთში შეხვდებოდა პრეზიდენტ **ოზალს,** რომელმაც თავიდანვე ის შესანიშნავად მიიღო და ყოველმხრივ დახმარებას დაჰპირდა. აეროპორტში, სადაც ეს შეხვედრა შედგა, ლაზ მაღალჩინოსნებს, ანუ ეთნიკურ ქართველებს, პრეზიდენტმა ოზალმა პირდაპირ უბრძანა — **ჩვენს მეზობლებს მძიმე დღეები უდგათ და პრეზიდენტ გამსახურდიას ყოველმხრივ დავეხმაროთო!** ზვიადი ევროპიდან რომ უკან დაბრუნდა და თურქეთში პრეზიდენტ ოზალთან შეხვედრა მოინდომა, თურქეთის პრეზიდენტი ისე იყო შეშინებული, გამსახურდიას დაემალა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ ამბიდან ცოტა ხანში, სრულიად ჯანმრთელი პრეზიდენტი **ოზალი** უეცრად გულის შეტევით გარდაიცვალა.

**— კიდევ ვის შეეშინდა ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის?**

— შეშინდა და დაიმალა ჩეხეთის პრეზიდენტი **ვაცლავ ჰაველი,** რომელიც გამსახურდიას პრაღაში არ შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებული შეხვედრა ჩაშალა და სატელეფონო ზარს არ უპასუხა უნგრეთის პრეზიდენტმა **არპად გენცმა,** ხოლო ფინეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1992 წლის ივლისში ეუთოს სამიტზე, რომელიც ჰელსინკში იმართებოდა, ქვეყანაში არ შეუშვა და ვიზა არ მისცა საქართველოში „ჰელსინკის კავშირის" დამფუძნებელსა და ინიციატორ **ზვიად გამსახურდიას,** სამაგიეროდ, ჰელსინკში მიიწვიეს ედუარდ შევარდნაძე და მისი ხელისბიჭები, რომლებიც ხალხს ხვრეტდნენ და უფრო ადრე ვინმე ნაძირალა **ცირეკიძის** მეშვეობით პატიმრებს აუპატიურებდნენ.

როცა ევროპელმა ჟურნალისტებმა ამ ფაქტის კომენტირება დევნილ პრეზიდენტს სთხოვეს, მისი პასუხი სიმბოლური იყო და ეს პასუხი დღესაც ძალუმად ჟღერს — **„ეს ფინეთის მთავრობის ბრალი არ არის, ეს მსოფლიო მთავრობის ბრალია!"**

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმ ფაქტის მიყურისძირება, რომ ზვიად გამსახურდიას ქართველი მასპინძლის, ქალბატონი **მანანა შმიდტის** მეუღლეს გერმანიაში ვიღაც უცნობები თავს დაესხნენ და ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს. დასავლეთის პოლიტიკის მესვეურები, რომლებიც შევარდნაძეს გულშემატკივრობდნენ, ხელოვნური ბარიერების შექმნით ყოველნაირად ცდილობდნენ, ზვიად გამსახურდიას ევროპიდან უკან, გროზნოში დაბრუნება ვერ მოეხერხებინა, რათა პირველი პრეზიდენტი იძულებული გამხდარიყო, ავსტრიაში ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფარი მოეთხოვა.

**— ედგა ვინმე ევროპასა და ამერიკაში სიმართლეს გვერდით?**

— ზვიად გამსახურდიას ბოლომდე უერთგულა ავსტრიის კრონ-პრინცმა და ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა **ოტო ფონ ჰაბსბურგმა.** 1992 წლის 10 დეკემბერს, როგორც კი შეიტყო, თურქეთი ზვიად გამსახურდიას უკან მი-



## ავსტრიის კრონ-პრინცი ოტო ფონ ჰაბსბურგი:

**ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო ზვიად, რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო ახლოა განთიადი!**



## ზვიად გამსახურდია:

# ეს ფინეთის მთავრობის ბრალი არ არის, ეს მსოფლიო მთავრობის ბრალია!

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყარაულაშვილი**
*საინფორმაციო სააგენტო „იქს ნიუსის" დამფუძნებელი, ანალიტიკოსი*



**ნიკა გვარამიას** შეწყალება **კანონის აბსოლუტური დარღვევით** მოხდა. კანონში პირდაპირ წერია: იმ მსჯავრდებულის შეწყალება, რომელიც **დანაშაულს არ ინანიებს და შეწყალების თხოვნით პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს,** დაუშვებელია. ასე რომ, **გვარამიას** შეწყალებით **თავად პრეზიდენტმა ჩაიდინა დანაშაული.**

„საერთო გაზეთი"

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*



უკრაინას ვილნიუსის სამიტზე უთხრეს, რომ **ნატოში მაპ-ის გარეშე მიიღებენ, ოღონდ, ომი მისი გამარჯვებით უნდა დამთავრდეს,** ანუ უკრაინას რუსეთთან ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. **ეს ცინიკური ფორმულირებაა.**

„საერთო გაზეთი"

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



საქართველოში დღეს **პოლიტიკა კვდება, დარჩენილია სრულიად ტლუ სახეების ანაბარა,** რომელთაც არცერთი ახალი იდეა არ გააჩნიათ. ეს ოპოზიცია გინდა გააერთიანე, გინდა არა, მაგათ რეიტინგს არაფერი ეშველება. **1-პროცენტიანი ვაშაძის პრემიერობის კანდიდატობა** რა ქულებს მისცემს ოპოზიციას, არ მესმის.

„კვირის პალიტრა"

**ლეო ჩიქავა**
*აკადემიკოსი*



ღმერთმა დაიფაროს და, თუკი **უკრაინის „ავღანეთიზაცია"** მოხდა, ანუ ომი მრავალ წელიწადს გაგრძელდა, პროგნოზების გაკეთება, **რამდენად დამანგრეველი იქნება ეს არა მარტო უკრაინისთვის, არამედ გლობალურად მსოფლიო ეკონომიკისთვის,** შეუძლებელია. უფრო მძიმე სცენარია, თუკი **რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს,** ეს საფრთხე, სამწუხაროდ, მოხსნილი არ არის.

„კვირის პალიტრა"

# „საერთაშორისო მაფიამ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი ევროპაში მოგზაურობის დროს მიიღო!“

ღებაზე უარს ეუბნებოდა, პრეზიდენტს ასეთი შეტყობინება გაუგზავნა:

***„ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა თქვენი გადაადგილება არ შეფერხდეს! ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო ზვიად, რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო ახლოა განთიადი!“***

მიმაჩნია, რომ საერთაშორისო მაფიამ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება მისი ევროპაში მოგზაურობის დროს მიიღო! კერძოდ, შევარდნაძის პოლიტიკური მეგობრები და მამობილები დარწმუნდნენ, რომ ცოცხალი გამსახურდიას სახით მათ მსოფლიოში ჰყავდათ უდიდესი მამხილებელი და ბრალმდებელი, რომელსაც ჟურნალისტებთან და ინტელექტუალებთან სხვადასხვა ენაზე საუბარი ბრწყინვალედ ეხერხებოდა. რაც მთავარია, მის გვერდით იყო სიმართლე!

მიუხედავად დევნისა, ევროპაში ზვიად გამსახურდიას მოგზაურობას გარკვეული წარმატება მაინც ჰქონდა. პრეზიდენტმა საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევა, ასე თუ ისე, წარმატებით შეძლო, რამაც შევარდნაძისა და მისი დამქაშების მიერ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება დააჩქარა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ გერმანიის საკონსულო ფრანკფურტში გასაფრენად ვიზას არ აძლევდა პრეზიდენტ გამსახურდიას.

ზვიად გამსახურდიამ გერმანიის კანცლერ **ჰელმუტ კოლს** ფინეთიდან ასეთი წერილი გაუგზავნა —

*„კომუნისტური რეჟიმის დროიდან ვცდილობ გერმანიაში მოხვედრას, სადაც მამაჩემმა — ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა — განათლება მიიღო და რომელთან მეც, როგორც მკვლევარს, უამრავი რამ მაკავშირებს. კომუნისტები ჩემი ქვეყნიდან არ მიშვებდნენ, ახლა თქვენ თქვენს ქვეყანაში არ მიშვებთ. რამ შეგაშინათ, არანაირი პოლიტიკური, მით უმეტეს, „დესტრუქციული“ მოქმედების გაშლას მანდ არ ვაპირებ. კერძო მოწვევით მსურს ჩამოსვლა!“*

**— ამ წერილს კანცლერმა კოლმა უპასუხა?**

— ცხადია, **კოლიც** დაიმალა, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებული სკანდალი გერმანულ პრესაში გახმაურდა და გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინემ“ გამოაქვეყნა წერილი — **„მეტერნიხი ბონში“.** წერილის ავტორი აცხადებდა — „ზვიად გამსახურდიას თავისი სიმართლე აქვს. მისაღებია ეს სიმართლე თუ არა, ჩვენი განსჯის საგანი არ არის. ცხადი ისაა, რომ ამ სიმართლეში რაღაც ძალზე უსიამოვნოა კანცლერი კოლისათვის. სხვანაირად რომ იყოს, რატომ შეეწინააღმდეგებოდა ერთი კაცის ქვეყანაში შემოშვებას?“ მოკლედ, ავტორს ეჭვიც არ შეჰპარვია იმაში, რომ გერმანიაში ზვიადის შეშვება-არშეშვების საკითხს სწორედ კოლი წყვეტდა. მოგვიანებით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უტიფრად განაცხადა — გამსახურდიასთვის ვიზაზე უარი არ გვითქვამს, უბრალოდ, აპლიკაცია არ შემოუტანიაო!

**— როგორ იყო საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას ამერიკელები როგორ აფასებდნენ?**

— ამერიკის ოფიციოზი გამსახურდიას ძირითადად ლანძღავდა, თუმცა, იშვიათი გამონაკლისი იქაც იყო. აი, მაგალითად, გავლენიანი ამერიკელი მოღვაწე **ისაია ბოლდშტეინი** გადატრიალების შემდეგ ზვიადის შესახებ წერდა — *„ოპოზიცია და დასავლეთის პრესა უსამართლოდ ამახვილებდა ყურადღებას შეცდომებზე და სავსებით გვერდს უვლიდა წარმატებებს, რომლებიც უთუოდ შეცდომებზე მეტი იყო. დეზინფორმაცია დასავლეთში დიდი მონდომებით ვრცელდებოდა* ***ვალერი ჭალაძის, თენგიზ გუდავასა*** *და* ***რადიოსადგურ „თავისუფლების“*** *სხვა თანამშრომლების მიერ!“* დაახლოებით ასე აფასებდა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგი **რიჩარდ პაიფსიც,** რომელიც აცხადებდა: *„ზვიად გამსახურდიასადმი წაყენებული „ბრალდებები უსაფუძვლოა, აბსურდული და მისი წყაროა საბჭოთა მთავრობის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც გამიზნულია, უცხოეთის თვალში ჩირქი მოცხონ ქართველთა დამოუკიდებლობას!“* აი, ამ შეფასებების გვერდით ამერიკაში გაისმოდა ეროვნებით ქართველი **თენგიზ და ედუარდ გუდავების** ხმაც, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მტრობდნენ. ყოფილი დისიდენტი **ედუარდ გუდავა,** რომელიც **გიორგი ჭანტურიას** მეგობარი იყო, 1993 წლის 19 ოქტომბერს წერდა — *„დე იურედ აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ გადაიქცევა დე ფაქტო დამოუკიდებლობად!“* გუდავა მიიჩნევდა, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის იდეა სრულად დამარცხდა. უფრო მეტიც, ედუარდ გუდავა შიშობდა, რომ სახეზე იყო სახელმწიფოს დაშლისა და ქვეყნის გაქრობის რეალური საფრთხე!

**— მერედა, ეს ყველაფერი ვისი ბრალიაო, ზვიად გამსახურდიასიო?**

— (მწარედ იცინის) რა თქმა უნდა, **ედუარდ გუდავა** ყველაფერში ისევ და ისევ ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებდა და ამტკიცებდა, რომ *„გაუსაძლისი ვითარება, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა, ზვიადიზმის შეუპოვრობის ნაყოფი იყო. საქმე ეხებოდა გამსახურდიას იდეოლოგიას, რომელიც მკვიდრდებოდა საქართველოს მოსახლეობაში, რომელშიც იღვიძებდა ქართული ნაციონალიზმის ყველაზე ბნელი მხარეები, ქართველი ერის უპირატესობისა და საქართველოს განსაკუთრებული სულიერი მისიის თეორიას რომ ეყრდნობოდა!“*






საქართველოს უბედურება ის გახლავთ, რომ დღევანდელი ვითარება ძალიან ჰგავს იმ პოლიტიკურ პოზას, რომელიც დასავლეთმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიმართ დაიკავა! დასავლეთი საქართველოს არ პატიობს ეროვნული თვითმყოფადობის არჩევანს და ქართულ პატრიოტიზმს — „ნაციონალიზმად“ და „ფაშიზმად“, ხოლო რუსეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკური ბალანსის გზას „პრორუსულ“ კურსად ნათლავს! აი, ამიტომაც არის საშიში დღევანდელი ვითარება... ედუარდ გუდავა თავის ე.წ. „შეფასებების“ ჩამოყალიბებისას აბსოლუტურად არ ითვალისწინებდა იმას, თუ რას ამბობდა, მაგალითად, მისი მეგობარი **გიორგი ჭანტურია** — *„მე და ჩემი პარტიის წევრები გამაგრებული ვართ ხონში და ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურად არ გავანადგურებთ!“* 2007 წლის 20 მარტს **ელდარ შენგელაია** წერდა: *„ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ვებრძვით ზვიად გამსახურდიას და ზვიადიზმის სახით ვებრძვით ფაშიზმს. ფაშისტური ოპოზიცია ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ და გამოვაცხადოთ კანონგარეშედ!“*

აი, ეს ხალხი ებრძოდა ზვიად გამსახურდიას საქართველოში, ამერიკაში და ყველგან, რის გამოც მივიღეთ დღევანდელი საქართველო!

***ესაუბრა***
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## ედუარდ გუდავა:
## გაუსაძლისი ვითარება, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა, ზვიადიზმის შეუპოვრობის ნაყოფი იყო!

## გიორგი ჭანტურია:
## მე და ჩემი პარტიის წევრები გამაგრებული ვართ ხონში და ვიბრძოლებთ მანამდე, სანამ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურად არ გავანადგურებთ!

## კვირგვინოსნები

**ნინო ფორჩხუა**
*ექსპერტი*



დადასტურდა **ამერიკული სპეცსამსახურების შანტაჟი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ,** როგორმე დაებრუნებინათ პოლიტიკაში და **ქვეყანა ჩაერთოთ ომში.** ეტყობა, არ იცნობენ კარგად, **მისთვის სამშობლო არანაირ ფულში არ იცვლება.**

„იმედინიუსი“

**ანდრია გვიდიანი**
*ექსპერტი*



რა მოტივი ამოძრავებთ ამერიკულ და ევროპულ ფონდებს, რის გამოც **ასეთი უხეში ფორმით ხდება ბიძინა ივანიშვილის გაქურდვა?!** ამ კითხვაზე პასუხი ნათელია — **ბიძინა ივანიშვილი ისჯება დასავლური ფინანსური ინსტიტუტებისგან** იმიტომ, რომ არ დაექვემდებარა გარკვეული ძალების კონიუნქტურებს და **არ დათანხმდა საქართველოს ომში ჩართვას.**

„იმედინიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ხელმძღვანელი*



ინტელექტუალურად, მორალურად, ფუნქციურად **დეგრადირებული ევროამერიკული ბიუროკრატიის ევრო-დოლარებზე გაყიდულმა ჩინოვნიკებმა** ყველანაირი წითელი ხაზი გადაკვეთეს! გლობალური ომის პარტიისგან მიიღეს დავალება, რომ **საქართველოში შეცვალონ ხელისუფლება,** რომელმაც მათი ინტერესების მსახურებაზე უარი თქვა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ელიშერ გვენეტაძე**
*პროფესორი*



სანამ **კრიმინალი სააკაშვილის მიერ უკრაინის საზღვრის უკანონოდ კვეთას** არ მიეცემა სამართლებრივი შეფასება მათი სამართალდამცავების მიერ, რადას და ცალკეული დეპუტატების **პოლიტიკურ შეფასებებს ჩალის ფასი აქვს.**

„იმედინიუსი“

# კახა საბახტარიშვილი: ლობიო საქართველოში ამერიკის აღმოჩენამდე ოთხასი წლით ადრე საკვებად რომ გამოიყენებოდა, დოკუმენტურად არის დადასტურებული!



***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ საუკეთესო უჯრედისი არა ხილში, არამედ ბოსტნეულშია, რომელიც, ხილისგან განსხვავებით, არანაირ შაქარს არ შეიცავს:***

— ბოსტნეულს ჩვენი კვების რაციონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მარგებლიანობის მხრივ მისი ხილთან შედარებაც კი უხერხულია. თავად განსაჯეთ, **ბოსტნეულში ბევრად მეტი ვიტამინი, მიკროელემენტი და სასარგებლო ნივთიერებაა, ვიდრე ხილში.** ასე, მაგალითად,

**ყველამ ვიცით, რომ ლიმონი C ვიტამინის საბადოა, მაგრამ ნიახურში C ვიტამინი სამჯერ უფრო მეტია!**

გარდა ამისა, ხილი საერთოდ არ შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ცილებს მაშინ, როცა, თუნდაც **ოსპში,** რომელსაც ქართველები უძველესი დროიდან მიირთმევენ, ცილების შემცველობა იმდენად მაღალია, რომ მას ადრე „ღარიბების ხორცსაც“ კი უწოდებდნენ. აქვე გეტყვით, რომ **ოსპი წონის კორექციისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოსაწესრიგებლად საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა. რაც მთავარია, იგი შეუცვლელი პროდუქტია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.** ოსპი ძალიან მსუყე საჭმელია, მაგრამ არ გვასუქებს, სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს, „ცუდ“ ქოლესტერინს ებრძვის და არტერიულ წნევასაც სტაბილურს ხდის. ოსპი იმითაც არის უნიკალური, რომ, თუნდაც ნიტრატებით გაჯერებულ ნიადაგზე მოვიყვანოთ, ეს მართლაცდა დალოცვილი მცენარე, რომელსაც ბერ-მონაზვნები მიირთმევდნენ, კიბოსა და სხვა უამრავი დაავადების გამომწვევ ნიტრატს საერთოდ არ იკარებს. **დღემდე მიკვირს და გაოცებას ვერ ვმალავ, პედიატრები დედებს რატომ არ ურჩევენ ბავშვთა კვებაში ოსპის ფართოდ დანერგვას მითუფრო მაშინ, როცა ბავშვს განვითარებისთვის ძალიან სჭირდება ცილა და ოსპის ცილას ორგანიზმი გაცილებით ადვილად ითვისებს, ვიდრე ხორცისას.**

**— ხილთან შედარებით ბოსტნეულს კიდევ რა უპირატესობები გააჩნია?**

— ბოსტნეულში თითქმის არ არის შაქარი მაშინ, როცა **ხილი შაქრის ერთ-ერთი ნაირსახეობის — ფრუქტოზის ბუდეა!** გარდა ამისა, ბოსტნეული უჯერი ცხიმოვანი მჟავების საბადოა, რაც ხილისთვის უცხოა. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ არის **ავოკადო,** რომელიც სუპერპროდუქტად უნდა მივიჩნიოთ!

**— რატომ?**

— **ავოკადო კიბოს ებრძვის, რაც განპირობებულია მასში „ომეგა-3“-ის მაღალი კონცენტრაციით.** თავისი უმდიდრესი ვიტამინური თუ მიკროელემენტური ბუნების გამო, გამიჭირდება დაავადებების ჩამოთვლა, რომელთა პროფილაქტიკისთვისაც დღეში თუნდაც ავოკადოს ნახევარი ნაყოფის უმად მირთმევა საკმარისია. ყველაზე მთავარი, რაც ბოსტნეულს ხილისა და სხვა პროდუქტებისგან განასხვავებს, მასში უჯრედისის მაღალი შემცველობაა. 2021 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 1 მილიონ 800 ათას ადამიანს ჩაუტარეს კვლევა. თითოეული მათგანი დღის განმავლობაში, მინიმუმ, 300 გრამ ბოსტნეულს ჭამდა, ხოლო ხილს — შედარებით მცირე დოზით, დაახლოებით 100-150 გრამის ფარგლებში. კვლევამ აჩვენა, რომ ამ 1 მილიონ 800 ათას კაცში, სხვა ჯგუფთან შედარებით, სიკვდილიანობა 13 პროცენტით შემცირდა, ხოლო ონკოლოგიური დაავადებები თითქმის 70 პროცენტით გაქრა!

**— ეს ეფექტი რის ხარჯზე იქნა მიღწეული?**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას ის, რომ

**უჯრედისი, რომელიც თითქმის ყველა ბოსტნეულში შედის, კიბოს დაუძინებელი მტერია!**

**ბოსტნეულში შემავალი უჯრედისი გამოირჩევა შემდეგი სასიკეთო თვისებებით:**

*1. არ ახდენს გავლენას ინსულინზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მაღლა არ სწევს შაქარს, იმის მიუხედავად, რომ უჯრედისი ნახშირწყალია;*

*2. უკავშირდება ნაღველს და ორგანიზმს მისი რაოდენობის რეგულირებაში ეხმარება;*

*3. კვებავს მსხვილი ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორას, რომელსაც ორგანიზმი ვერ ამუშავებს. ცნობისათვის, ორგანიზმისთვის აუცილებელი ბაქტერიები ენერგიას სწორედ უჯრედისისგან ღებულობენ. გარდა ამისა, მათი ფერმენტაციის თანმხლები პროდუქტები მოკლეჯაჭვიანი ცხიმოვანი მჟავებია, რომლებიც თავის მხრივ მსხვილი ნაწლავის უჯრედებს კვებავენ;*

*4. უჯრედისი არეგულირებს ლიპიდებისა და ქოლესტერინის ცვლას;*

*5. ზოგიერთი სახის უჯრედისს ანტისიმსივნური ეფექტი აქვს;*

*6. უჯრედისი არეგულირებს მჟავე-ტუტოვან წონასწორობას, რაც ხელს უწყობს ძალზე სასარგებლო ლაქტობაქტერიების გამრავლებას.*

ეს თვისებები ხილში შემავალ უჯრედისსაც გააჩნია, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხილში უჯრედისთან ერთად შაქარიც არის. აქედან გამომდინარე, თუ დღეში ხილის სახით 35 გრამ უჯრედისს მივიღებთ, რაც ორგანიზმისთვის სრულიად საკმარისი ნორმა გახლავთ, პარალელურად მასთან ერთად შევითვისებთ 140 გრამ შაქარსაც. ეს კი დაახლოებით 10 ჩაის კოვ-



## „ვისაც ქრონიკული შეკრულობა, გასტრიტი, კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აქვს, ბოსტნეული არ უნდა ჭამოს!“



## „ბადრიჯანს სიფრთხილით მოვეკიდოთ!“

## კვირგვინოსნები

**გაგა ნახუცრიშვილი**
*პოეტი*



ერთ **დიდ აბდაუბდაში ვცხოვრობთ.** აქედან წასული ახალგაზრდები სხვა ქვეყნებში წარმატებულ კარიერას იკეთებენ, ურთულეს პროფესიებს ეუფლებიან, აღიარებას აღწევენ, რაც საამაყოა, მაგრამ **ახალი სისხლი, რომელიც ქვეყანას სჭირდება, აქ უნდა დუღდეს,** სამშობლოს უნდა ხმარდებოდეს.

„კვირის პალიტრა“

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*



იმდენად **დიდ გაუგებრობაში ვცხოვრობთ,** ზოგჯერ ვფიქრობ, საერთოდ **ვინა ვართ, რა ვართ, რატომ ვართ, სად ვართ?** გვერდიდან ჩემს თავს რომ ვუყურებ, ცოტა ჩამორჩენილი მეჩვენება. **მე-20 საუკუნეში გაჭედილივით ვარ.** ვერ ავყევი ამ ახალ საუკუნეს.

„კვირის პალიტრა“

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



სახელმწიფო **აუზები უნდა გაიაფდეს,** 300 ლარს მშობელი მარტო ცურვაში ვერ გადაიხდის.

„ახალი თაობა“

**ალეკო ცქიტიშვილი**
*ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი*



თბილისის ზღვაზე არის **სიკვდილის ზონები,** ჩასაფრებული საფრთხე მოქალაქეებისთვის, **განსაკუთრებით ბავშვებისთვის.**

„ახალი თაობა“

**შოთა ბურჯანაძე**
*რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელი*



ჩემთვის სიტყვა **ძვირი,** არ არსებობს, ადამიანები თვითონ უნდა ჩამოყალიბდნენ, რა არის მათთვის მისაღები — **2-ლარიანი** ხინკალი, თუ **5-ლარიანი.**

„ახალი თაობა“



# „ოსპი ძალიან მსუყე საჭმელია, მაგრამ არ გვასუქებს, სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს, „ცუდ“ ქოლესტერინს ებრძვის და არტერიულ წნევასაც სტაბილურს ხდის!“

ზი რაფინირებული შაქარია, რომელიც ორგანიზმს დაანგრევს. ასე რომ, ვინც შეკრულობის საწინააღმდეგოდ ქლიავს მიირთმევს, მასში უჯრედისი ეგულება და არ ფიქრობს იმაზე, რომ პარალელურად დიდი ოდენობით შაქარსაც ღებულობს. ამდენად, გვახსოვდეს — **საუკეთესო უჯრედისი არა ხილში, არამედ ბოსტნეულშია, რომელიც, ხილისგან განსხვავებით, არანაირ შაქარს არ შეიცავს.** ეს არ ეხება **კარტოფილს,** რომელიც სრულიად უსარგებლო და მავნე პროდუქტია, რადგან სახამებლის სახით დიდი რაოდენობით მავნე ნახშირწყლებს შეიცავს.

**— განსაკუთრებით რომელ ბოსტნეულს გამოარჩევთ, რომელიც კიბოს უჯრედებს ყველაზე ეფექტურად ებრძვის?**

— ამ მხრივ **ბროკოლი და პომიდორი** უდავოდ ჩემპიონია. **ბროკოლის** სასწაულმოქმედი თვისებების შესახებ ბევრჯერ გვისაუბრია, რაც შეეხება **პომიდორს,** დადგენილია, რომ ბოსტნეული კი არა, ხილია, რასაც სავსებით ვეთანხმები. საერთოდ, ხილსა და ბოსტნეულს შორის საზღვრის გავლება ძალიან რთულია... პომიდორი ევროპაში მექსიკიდან შემოიტანეს. იტალიურად „პომიდორე“ „ოქროსფერ ხილს“ ნიშნავს. ეტყობა, თავდაპირველად ევროპაში ყვითელი ფერის პომიდვრის ჯიშები შემოიტანეს და ეს სახელწოდებაც იქიდან გაჩნდა.

1893 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პომიდორი ბოსტნეულად გამოცხადდა. სასამართლო დავის მიზეზი ის იყო, რომ ერთ-ერთმა მეწარმემ, რომელმაც პომიდორი მექსიკიდან შეერთებულ შტატებში საექსპორტოდ შეიტანა, საბაჟო გადასახადის გადახდაზე უარი განაცხადა, რადგან პომიდორი ხილი იყო და ბოსტნეულისგან განსხვავებით, საბაჟო გადასახადს არ ექვემდებარებოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ, რადგან პომიდორი სალათებში გამოიყენებოდა და როგორც ხილს, ცალკე არავინ მიირთმევდა, ამიტომაც ის ბოსტნეული იყო. სწორედ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ 1893 წლიდან მოყოლებული, პომიდორს მთელ მსოფლიოში ბოსტნეულად მიიჩნევენ, არადა, სინამდვილეში ხილია და, ამავდროულად, კიბოს დაუძინებელი მტერი. პომიდორში შემავალი **ლიკოპინი,** რომლის კონცენტრაციაც თერმული ზემოქმედების შედეგად ორმოცდაათჯერ მატულობს, კიბოს უჯრედებს კლავს. **ამიტომ, ვისაც სიმსივნე აქვს ან კიბოსი ეშინია, ყოველდღიურად პომიდვრის საწებელი მიირთვას!**

**— ბოსტნეულიდან კიდევ რომელ კულტურას გამოარჩევთ?**

— კომბოსტო განსაკუთრებულია! იგი შეიცავს **ელ-გლუტამინს,** რომელიც თავის ტვინის, გულისა და კუნთებისთვის მისწრებაა. **კომბოსტოს წვენი** U ვიტამინის წყალობით, გულწვის, ანუ „იჟოგის“, გასტრიტებისა და წყლულების წამალია. მაგრამ გვახსოვდეს, რომ ჩვეულებრივი კომბოსტოს ჭარბი მოხმარება ფარისებრ ჯირკვალზე არასახარბიელოდ მოქმედებს და ორგანიზმს იოდით აღარიბებს. ეს ნაკლი კომბოსტოს სხვა ჯიშს, მაგალითად, ე.წ. **ბრიუსელის კომბოსტოს** არა აქვს. ბოლოკი შეუდარებელი ბოსტნეულია, რომელიც ორგანულ გოგირდს შეიცავს და ღვიძლს ტოქსინებისგან წმენდს, ხოლო ორგანიზმში მოხვედრილ შხამებს წყალში ხსნად ნაერთებად გარდაქმნის და გარეთ გამოჰყავს.

**ბოლოკი ლორწოს ათხელებს, ამიტომ, ვისაც ჰაიმორიტი აწუხებს ან ნახველი ვერ ამოაქვს, ხშირად უნდა ჭამოს!** აღარაფერს ვამბობ **ჭარხლის** სიკეთეზე, რაზეც არაერთხელ დაგვიწერია. იგი შეიცავს აზოტის ოქსიდს, რომელიც წნევას არეგულირებს და სისხლძარღვებს ელასტიკურს ხდის. ჭარხალი და მისი წვენი რომ ღვიძლის უებარი წამალია, ეს ყველამ ვიცით. ვისაც ნერვული სისტემის დამშვიდება სურს, ხშირად ჭამოს **სატაცური,** რომელიც ვიტამინ B1-ის საბადოა და ხელს უშლის თირკმლებში კენჭების წარმოქმნას. ანალოგიური თვისება ნიახურსაც ახასიათებს. ნიახურისა და მისი წვენის ზემოქმედებით, თირკმელში კენჭებიც კი დაშლილა.

ბევრს მიაჩნია, რომ **კიტრი** მხოლოდ ცარიელი წყალია. სინამდვილეში ქოლესტერინსა და შაქარს არეგულირებს და ანთების საწინააღმდეგო ძლიერი ანტიოქსიდანტია. თუ კიტრს ზეითუნის ზეთს დავასხმათ ან მწნილის სახით შევჭამთ, მისგან წნევისა და შაქრის დამწევ საუკეთესო საშუალებას მივიღებთ!

**— ქართველების საყვარელი საჭმელი ლობიო საქართველოში ნამდვილად ამერიკის აღმოჩენის შემდეგ შემოვიდა?**

— ლათინურად ლობიოს **„ფაზეოლუს“** ჰქვია... დღეს მსოფლიოში არავინ დავობს იმაზე, რომ ხოხბის ლათინური სახელწოდება „ფაზან“ ძველ კოლხეთთან და ფაზისთან არის კავშირში. ძველი ბერძნები საგანგებოდ საუბრობენ კოლხურ ხოხობზე, რომელიც ულამაზესი ფრინველია. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ფაზეოლუს“ „ფაზან“-ის მსგავსად სწორედ საქართველოსთან და კონკრეტულად კი კოლხეთთან არის კავშირში? ამერიკა კოლუმბმა 1492 წელს აღმოაჩინა, ხოლო მე-11 საუკუნის ქართულ სამედიცინო ტრაქტატში — „უსწორო კარაბადინში“, რომელიც ქანანელმა დაწერა, ვკითხულობთ: **„ლობიო წითელი მხურვალია და შარდსა ფიცხლად გაიყვანს.“** ე.ი. ლობიო საქართველოში ამერიკის აღმოჩენამდე ოთხასი წლით ადრე საკვებად რომ გამოიყენებოდა, დოკუმენტურად არის დადასტურებული! ლობიოს ძველ საქართველოში სხვა სახელიც ჰქონდა — **„აცამცე“**... ლობიოს გარდა, ქართველების საყვარელი საჭმელი იყო **ცულისპირა,** რომელიც ლობიოს ძალიან ჰგავს. ასე რომ, ხმები იმის შესახებ, თითქოს საქართველოში ლობიო ამერიკის აღმოჩენის შემდეგ შემოვიდა, მითია და სიმართლეს არ შეესაბამება!

**— სიმინდზე რას იტყვით?**

— სიმინდი სუფთა ამერიკული კულტურაა, რომელსაც ინდიელები მოიხმარდნენ. **ვახუშტი ბატონიშვილის** ცნობით, სიმინდი საქართველოში მე-17 საუკუნეში ნამდვილად ევროპიდან შემოვიდა. საქართველოში სიმინდისგან ხარშავდნენ „ჰასოს“ — ფქვილის შეჭამანდს. **ვახუშტი ბატონიშვილი** პირდაპირ წერს — **„ჰასოი“** არაბულად იმას ჰქვიან, რომელ თხელად ფქვილი მოჰკიდოს წყალსა.“ სიმინდის ფქვილისგან დამზადებული „ჰასო“ დიეტურ საჭმელად ითვლებოდა... ზოგჯერ ამ შეჭამანდს კარტოფილის ფქვილსაც უმატებდნენ და თირკმლის დაავადების შემთხვევაში, ავადმყოფს აძლევდნენ. როგორც ჩანს, „ჰასოს“ შარდმდენი თვისება ჰქონდა. ჩვენ უხსოვარი დროიდან პურის მჭამელი ხალხი ვიყავით, ხორბლის საუკეთესო ჯიშები — მახა, ზანდური და თავთუხი სწორედ ქართველების გამოყვანილია, მაგრამ დასავლეთ საქართველოში უხსოვარი დროიდან მოჰყავდათ მცენარე ღომი, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, გადაშენებულია.

**— დღის განმავლობაში რა რაოდენობის ბოსტნეული უნდა მივიღოთ და ვისთვის არ არის რეკომენდებული მისი გამოყენება?**

— **დღის განმავლობაში, მინიმუმ, ოთხი-ხუთი ჩაის ჭიქა ბოსტნეული უნდა მივიღოთ!** ჩემი რჩევაა, **ბადრიჯანს** სიფრთხილით მოვეკიდოთ! მართალია, იგი, როგორც დიეტური პროდუქტი, დიაბეტიანებისთვის არის სასარგებლო, მაგრამ შეიცავს **ალკალოიდ სოლანინს,** რომელიც ძლიერი შხამია. გადაბერებულ ბადრიჯანში შხამიანი სოლანინის შემცველობა მაღალია, ამიტომ არასოდეს ვიყიდოთ ძველი, გადაბერებული ბადრიჯანი და არჩევანი უფრო ქორფა, ახალ პროდუქტზე შევაჩეროთ. რაც შეეხება იმას, ვინ არ უნდა მიიღოს ბოსტნეული... **ვისაც ქრონიკული შეკრულობა, გასტრიტი, კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული აქვს, ბოსტნეული არ უნდა ჭამოს! ბოსტნეული არც იმათთვისაა რეკომენდებული, ვისაც ნაღვლის გამოყოფის პრობლემები ან კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობა აქვს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



## „ბოლოკი შეუდარებელი ბოსტნეულია, რომელიც ღვიძლს ტოქსინებისგან წმენდს!“

## „ვისაც სიმსივნე აქვს ან კიბოსი ეშინია, ყოველდღიურად პომიდვრის საწებელი მიირთვას!“





## „ეს განპირობებულია ავოკადოში „ომეგა-3“-ის მაღალი კონცენტრაციით!“

## „ავოკადო კიბოს ებრძვის!“

## კვირგვინოსნები

**ოქროპირიძე ლევანე**
*მსახიობი*



**ყველაზე მეტად სასურველია სიკვდილი მაშინ,** როდესაც რაღაცას ან ვიღაცას იცავ, **ყველაზე მნიშვნელოვანი კი სამშობლოს დაცვაა, შენი ფესვების, შენი კულტურის.** ამ დროს სიკვდილი ყველაზე სანატრელია.

„თბილისელები“

**სეხნიაშვილი გიორგი**
*მომღერალი*



**არ მინდა, ჩემი ქვეყანა დაიცალოს ქართველებისგან.** რაც დავბრუნდი საქართველოში, სულ ყურში მესმის იმ ასეულობით ადამიანის ხმა, ვინც ვნახე, მათი უმეტესობა ამბობს, რომ **ცოტა ხნით წავიდნენ ქვეყნიდან, მაგრამ, მინიმუმ, 7-8 წელია, უკვე არ დაბრუნებულა და ბევრმა არც იცის, დაბრუნდება თუ არა,** ზოგი აღარც აპირებს, ზოგი — ვეღარც.

„ახალი თაობა“

**გიორგი კაშია**
*რეჟისორი*



ადამიანისთვის **ღალატიც მიპატიებია.** როცა თეატრი პირველად ვნახე, **შემეშინდა და შემიყვარდა.**

„სარკე“

**მაია კეჟერაძე**
*გასტრონომიული ტურიზმის ორგანიზაცია „სენის“ ხელმძღვანელი*



ნამდვილ **ქართულ გემოს** გლეხის ოჯახში გაიგებთ.

„სარკე“

**თემურ ჭყონია**
*Coca-cola Bottlers Georgia-ს დამფუძნებელი*



ხალხს ის კი არ უნდა აინტერესებდეს, **მე რა ვიშოვე,** არამედ ის — **რა შევიტანე ბიუჯეტში.**

„ბიზნესმედია“

**რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან**

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ*** *გია ხუხაშვილის* ***ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***



*დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-32*




## გია ხუხაშვილი:
## ეს იყო ივანიშვილის პირველი გამარჯვება ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც კოალიცია და არც „ქართული ოცნება“ არ არსებობდა!



14



მას შემდეგ, რაც **ბიძინა ივანიშვილმა** შეხვედრაზე მისულ **გია ხუხაშვილს** წააკითხა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი თავისი ცნობილი წერილი პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, ხუხაშვილმა წინასწარმეტყველურად უთხრა — **პირველს, რასაც სააკაშვილის რეჟიმი დისკრედიტაციის მიზნით თქვენ წინააღმდეგ გააკეთებს, „პუტინის პროექტად“ შერაცხვა იქნებაო!**

რა თქმა უნდა, ხუხაშვილისთვის, რომელიც რამდენიმე წლის წინ ბადრი **პატარკაციშვილის** სააკაშვილის ხელისუფლებასთან პოლიტიკური დაპირისპირების თვითმხილველი იყო, მოვლენების ასეთი განვითარება დიდ სიახლეს არ წარმოადგენდა:

> ***„ვუთხარი, რომ არა მგონია, მისი რუსულ პროექტად წარმოჩენის გადაფარვა ადვილი ამოცანა იყოს. თუ შესაბამისი პრევენციული ნაბიჯები არ გადაიდგა, არ შეიქმნა კარგად გააზრებული სისტემა, რომელიც თავისთავად წარმოაჩენს ამ ბრალდების აბსურდულობას, მაშინ პროპაგანდამ დროთა განმავლობაში შეიძლება თავისი ნეგატიური ამოცანა შეასრულოს — ბიძინა აღმოჩნდეს მუდმივი თავდაცვისა და თავის მართლების პოზიციაში, რაც მოვლენების ძალიან არასასურველი განვითარება იქნება*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 147).*

მემუარისტი იხსენებს, რომ ივანიშვილს პირდაპირ უთხრა: **ასეთ ვითარებაში საუკეთესო ვარიანტად, „რუსულ პროექტად“ მონათვლის გასანეიტრალებლად, პროდასავლურ პარტიებთან ალიანსი იქნებოდაო:**

> ***„როგორც კი გაკეთდება განაცხადი საერთო სახალხო დიდი კოალიციის ფორმირების დაწყებაზე, მოლაპარაკებები, პირველ რიგში, აშკარად გამოხატულ პროდასავლურ პარტიებთან უნდა გაიმართოს. ასეთები კი, წერილში კრიტიკულად მოხსენიებული პარტიების მიღმა, იმ მომენტისათვის იყვნენ „რესპუბლიკური პარტია“ და „თავისუფალი დემოკრატები“*** *(იქვე, გვ. 147).*

თუმცა, **ხუხაშვილი** იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი მის გარეშეც აპირებდა პროდასავლურ პარტიებთან დაკავშირებას!

ალბათ ბევრს აწუხებს ეს კითხვა: **რომ არა პოლიტიკაში შესული ბიძინა ივანიშვილის გასაშავებლად ნაცრეჟიმის მხრიდან მოსალოდნელი ეს „რუსული პროექტის“ ბრალდება, ივანიშვილი მაინც დაუკავშირებდა თავის პოლიტიკურ დებიუტს ქართველ ხალხში ძალიან არაპოპულარულ რესპუბლიკელებს?!**

ახლა დანამდვილებით ძნელი სათქმელია, მაგრამ, დიდი ალბათობით, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან **ირაკლი ალასანიას** პარტიასთან და განსაკუთრებით კი **რესპუბლიკელებთან** ალიანსი მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯი იყო და უკვე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნება“ ორივე ამ პარტიისგან გათავისუფლდა!

მეორე მხრივ, **შეძლებდა თუ არა 2012 წლის 1 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში ნაცრეჟიმის დამარცხებას რესპუბლიკელებთან და ალასანიასთან ალიანსის გარეშე?!**

ამ კუთხითაც ფრიად წონადი გარემოება არსებობს: **სააკაშვილის პათოლოგიური რეჟიმისადმი ხალხის სიძულვილი იმდენად დიდი იყო, რომ ბიძინა ივანიშვილი, ალბათ, მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ ეს გაცილებით გაძნელდებოდა:** ჯერ ერთი, ნაცპროპაგანდას უფრო გაუადვილდებოდა ურესპუბლიკელებო ქოცნების „რუსულ პროექტად“ მონათვლა, მეორეც, ნაცების გარდა ბიძინა ივანიშვილს სწორედ ეს რესპუბლიკელებიც და ალასანიას პარტიაც არ დააკლებდნენ ყველა ტელეეთერიდან კბენასა და ლანძღვა-გინებას — ეს ქართული კი არა, რუსული ოცნებააო!

და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, მარტივ მაგალითს გაგახსენებთ: **როგორც კი, 2011 წლის 8 ოქტომბერს გამოქვეყნდა ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი სააკაშვილის რეჟიმთან დასაპირისპირებლად და ქვეყნის გადასარჩენად პოლიტიკაში შესვლის შესახებ, პირველი, ვინც მას მიახტა, სწორედ, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი იყო!**

დიახ, **ლევან ბერძენიშვილმა,** რომელმაც, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ივანიშვილი რესპუბლიკელებთან ალიანსს გეგმავდა, ძალიან აგდებულად მოიხსენია ივანიშვილის გაპოლიტიკოსება — **ეს ვილას დაჰკარგვიაო?!**

ის კი არა, **ბერძენიშვილმა** ივანიშვილის გაქილიკებისას, მკვდარ ბადრი პატარკაციშვილსაც კი დასცინა — უკვე ვნახეთ, **ასეთი ფულიანი კაცის პოლიტიკაში მოსვლა როგორი კრახითაც დასრულდაო!**

მაგრამ, როგორც კი ბიძინა ივანიშვილმა თავის შუშის სასახლეში დაიბარა **რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი** და პოლიტიკური ალიანსი შესთავაზა, რესპუბლიკელები მაშინვე სიხარულით მიუცუცქდნენ, ეს უპრინციპო არარაობა **ლევან ბერძენიშვილი** კი უმალ ივანიშვილის თავგადაკლულ მაქებრად გადაკვალიფიცირდა!

**ივანიშვილისა და ხუხაშვილის** პირველ შეხვედრას რომ დავუბრუნდეთ, ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ხუხაშვილმა მასპინძელს შესთავაზა — თქვენი ნებართვით, პირადად შევხვდები ალასანიასაც და რესპუბლიკელებსაც, დაველაპარაკები და შევამზადებ თქვენი პოლიტიკური განაცხადისა და სამომავლო ალიანსის გეგმებზეო:

> *„ივანიშვილს რომ დავშორდი, გზაში ვფიქრობდი, რატომ გამანდო გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე სრულიად უცნობ ადამიანს წერილის ტექსტი. იმ ფონზე, თუ როგორ მიყვებოდა წერილის საიდუმლოდ შენახვისთვის ჩატარებულ „სპეცოპერაციაზე“, ჩემთვის მისი ასე გაზიარება არცთუ ლოგიკურად გამოიყურებოდა.*
>
> ***ერთადერთი დასკვნა, სანამდეც მივედი, გახლდათ ის, რომ მან ერთგვარი ტესტი, შემოწმება ჩამიტარა, რამდენად შევინახავდი საიდუმლოს და რამდენად სანდო შეიძლებოდა ვყოფილიყავი მომავალში.***
>
> ***შეიძლება ითქვას, ტესტი წარმატებით ჩავაბარე. თუ ვინმემ წინასწარ იცოდა ბიძინას წერილის შინაარსი, ეს ჩემგან ნამდვილად არ გაუგია“*** *(იქვე, გვ. 151).*

ბიძინა ივანიშვილის ის გასაიდუმლოებული წერილი, რომელსაც აფეთქებული ბომბის ეფექტი უნდა ჰქონოდა და მთლიანად უნდა ამოეყირავებინა საქართველოს დაჭაობებული პოლიტიკური ლანდშაფტი, სტრატეგიულადაც და ტაქტიკურადაც იმდენად მნიშვნელოვანი რამ იყო, რომ ხუხაშვილი მას გატესტვამდე ნამდვილად არ დაახურდავებდა. უფრო მეტიც, ივანიშვილი აშკარად დიდხანს აკვირდებოდა ხუხაშვილს და, აკი, პირდაპირაც უთხრა — **ვაფასებ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისადმი შენს ერთგულებას, ანუ სანდო ხარო!**

და აი, ხუხაშვილი ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებისამებრ, მალევე შეხვდა **რესპუბლიკელებსა და ირაკლი ალასანიას** პარტიის ლიდერებს:

> ***„11 და 12 ოქტომბერს შევხვდი დავით უსუფაშვილს და ირაკლი ალასანიას, გავაცანი საქმის ვითარება, ვკითხე, როგორ უყურებდნენ მომავალ თანამშრომლობას, რისი „დიდი სურვილიც“ ჰქონდა ბიძინას, და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ უკვე ვისაუბრე შესაბამის რისკებზე“*** *(იქვე, გვ. 151).*

რისკები კი ის იყო, რომ ბიძინა ივანიშვილის საჯარო პოლიტიკაში შემოსვლის განაცხადისთანავე, ნაცრეჟიმი დაიწყებდა მის დემონიზაციას და რუსულ პროექტად მონათვლას, რასაც რესპუბლიკელები და ალასანიას პარტია არ უნდა დაეკომპლექსებინა ივანიშვილთან პოლიტიკური ალიანსის გაფორმებისას:

> ***„მაშინ ხელისუფლებას ეს რომ მოეხერხებინა, კოალიციის ფორმირებაში ბიძინას მთლიანად კონსერვატიულ ძალებზე დაყრდნობა მოუწევდა, რის შემდეგაც ფრონტის ხაზი გაივლიდა პრო და ანტიდასავლურ ბანაკებს შორის, რაც იყო კიდევაც ხელისუფლების პოლიტტექნოლოგიური ხაზი, ანუ ამომრჩეველს შესთავაზებდნენ კლასიკურ საგარეო პოლიტიკურ არჩევანს, რაც მომავალ ბატალიებში ამოცანას საგრძნობლად გაუადვილებდა ხელისუფლებას“*** *(იქვე, გვ. 152).*

და იქვე მემუარისტი ასკვნის, რომ ამ ყველაფრით ბიძინა ივანიშვილმა პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმამდე:

> ***„ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებას გეგმა ჩავუშალეთ, მთავარი იარაღი გამოვგლიჯეთ ხელიდან და ეს იყო პირველი ტაქტიკური გამარჯვება ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც კოალიცია და არც პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ არ არსებობდა. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია, გითხრათ, რომ ამაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ მე შევასრულე“*** *(იქვე, გვ. 152).*

როგორც ხედავთ, მემუარისტს თავმდაბლობით სიკვდილი აშკარად არ ემუქრება!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# რობოტები დაგვპირდნენ, რომ ადამიანებს აჯანყებას არ მოუწყობენ!

***ამ რამდენიმე კვირის წინათ ცხრა ჰუმანოიდმა რობოტმა ჟენევაში გაეროს მიერ მოწყობილი ფორუმის ფარგლებში კონფერენცია ჩაატარა. არადა, ეს რომ ვინმეს თუნდაც ათი წლის წინ ეთქვა, ალბათ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გააქანებდნენ.***


რობოტების პრესკონფერენცია ჟენევაში


იაპონური რობოტი-ტელეწამყვანი ერიკა

ფორუმის ორგანიზატორთა განმარტებით, მათი მიზანია ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების ფართო გამოყენება, რათა ხელი შეუწყონ მსოფლიოს ისეთი უდიდესი გამოწვევების გადაჭრაში, როგორიცაა ეპიდემიები და შიმშილი.

**თავად ხელოვნური ინტელექტის ფორუმზე წარმოდგენილმა რობოტებმა განაცხადეს, რომ მათი რიცხვი გაიზრდება, ადამიანებს დაეხმარებიან გლობალური პრობლემების მოგვარებაში, არ მიიტაცებენ სამუშაო ადგილებს და, რაც მთავარია, არ აჯანყდებიან ჩვენ წინააღმდეგ.** თუმცა, მსოფლიოში პირველ ადამიანურ-რობოტულ პრესკონფერენციაზე მათ არაერთგვაროვანი პასუხი გასცეს უმნიშვნელოვანეს კითხვას — **უნდა დაექვემდებარონ თუ არა უფრო მკაცრ რეგულაციებს ადამიანთა მხრიდან?** „მე ვიმუშავებ ადამიანებთან ერთად, რათა დავეხმარო მათ და არ ჩავანაცვლებ არსებულ სამუშაო ადგილებს“, — თქვა მედდას ცისფერ ფორმაში გამოწყობილმა სამედიცინო რობოტმა **გრეისმა**.

**„დარწმუნებული ხარ ამაში, გრეის?“** — ჰკითხა მისმა შემქმნელმა **ბენ გოერცელმა**.

**„დიახ, დარწმუნებული ვარ“,** — უპასუხა **გრეისმა**.

რობოტმა, სახელად **ამეკამ** კი განაცხადა: **„ჩემნაირი რობოტები შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებაში, რათა დედამიწა უფრო მომხიბლავ ადგილად იქცეს. ჩვენი გამრავლება მხოლოდ დროის საკითხია!“**

ჟურნალისტის კითხვაზე — **აპირებს თუ არა აჯანყებას მისივე გვერდით მჯდომი შემქმნელის უილ ჯექსონის წინააღმდეგ,** ამეკამ უპასუხა: **„ვერ ვხვდები, რატომ ფიქრობთ ასე. ჩემი შემქმნელი სხვა არაფერია, თუ არა ჩემ მიმართ გამოვლენილი სიკეთე და ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი დღევანდელი მდგომარეობით“.**

ბევრი რობოტი გენერაციული ხელოვნური ინტელექტის უახლესი ვერსიებით ახლახან განახლდა და კითხვებზე გაცემული დახვეწილი პასუხებით გამომგონებლებიც კი გააკვირვა.

ძალიან გონიერია მუდმივად განვითარებადი ხელოვნური ინტელექტის წყალობით. თუმცა, უკვე არსებობს მრავალი ჰუმანოიდი რობოტი, რომლებსაც, მისგან განსხვავებით, ჯერ არ ჰქონიათ ჰოლივუდის მსახიობ **უილ სმიტთან** პაემანი ან ცნობილ ტელეწამყვან **ჯიმი ფალონთან** შოუში სტუმრობის ბედნიერება, მაგრამ სხვადასხვა ადამიანურ როლს წარმატებით ითავსებენ.

მაგალითად, **ერიკა** იაპონური რობოტია, რომელსაც ხმით ადამიანის იდენტიფიცირება და ოთახში მისი მდებარეობის აღქმა შეუძლია. ერიკას ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურად უმჯობესდება და კარიერული წინსვლაც აქვს, რადგან 2018 წლის აპრილიდან ახალი ამბები მიჰყავს იაპონურ ტელევიზიაში ადამიან ჟურნალისტებთან ერთად.

ამისათვის მისი შემქმნელი **ჰიროში იშიგურო** 2014 წლიდან იბრძოდა და თავისას მიაღწია კიდეც. იშიგუროს, რომელსაც ერიკა მამას ეძახის, მიზანია, რობოტს დამოუკიდებელი ცნობიერება განუვითაროს, რათა სურვილები გაუჩნდეს, იფიქროს და აკეთოს, რასაც მოისურვებს. ამ დიდი ამბიციებიდან გამომდინარე, არც ისაა გასაკვირი, რომ ერიკა ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო დაფინანსების მიმღებია იაპონიაში!

ევროპაში კი გვყავს 146 სმ სიმაღლის ფრანგი **რომეო,** რომელიც ევროპის სხვადასხვა ლაბორატორიაში შეიქმნა. მართალია, ის ადამიანური იერით არ გამოირჩევა, მაგრამ პროექტი მიზნად ისახავს რომეოს შესაძლებლობათა შემდგომ განვითარებას, რათა თავისუფლად გააღოს კარი ან ავიდეს კიბეზე. უფრო მეტიც, მისი მთავარი დანიშნულებაა, დაეხმაროს ასაკოვან ადამიანებს, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს.

მოკლედ, შანსები იმისა, რომ ჰუმანოიდი რობოტები ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან დაგვეხმარებიან და ზოგიერთ საქმიანობაში ადამიანური რესურსის ალტერნატივადაც კი იქცევიან, საკმაოდ რეალურად გამოიყურება.


რობოტი სოფია თბილისში

ამის კარგი მაგალითია იაპონიაში არსებული სასტუმრო Henn na Hotel-ი, რომელიც უმეტესად დაკომპლექტებულია რობოტი თანამშრომლებით. სასტუმროში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მუშაობს და შესაძლოა, იქ სტუმრობისას მათ ვერც კი შეხვდეთ.

ამ ყველაფრის შემდეგ, ალბათ, გაგვიჩნდება ლოგიკური კითხვა — **რამდენად შეძლებენ რობოტები ადამიანური სტუმართმოყვარეობისა და ყურადღების ჩანაცვლებას?!** თუმცა, ფაქტია, მომსახურების რობოტებზე მოთხოვნა საკმაოდ მზარდია: ეს მოიცავს ლოგისტიკის, თავდაცვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, სამედიცინო და სხვა ტიპის რობოტებს.

რობოტიკის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, პროფესიული მომსახურების რობოტების რაოდენობა 2018-2020 წლებში საშუალოდ 20-25%-ით გაიზარდა (წელიწადში საშუალოდ 397 000 ერთეულით), მათი რიცხვი კი 2017 წელს მხოლოდ 78 700 იყო და რობოტების საერთო ღირებულებამ 2018-2022 წლებში 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

მომსახურების დარგის გარდა, რობოტიკისა და ხელოვნური ინტელექტის შერწყმის შედეგად, აქტიურად იქმნება თერაპიაში, მომხმარებლებთან ურთიერთობისთვის, კადრების შერჩევისას ინტერვიუსთვის, განათლებასა და ჯანდაცვის სფეროში მუშაობისთვის განკუთვნილი რობოტები. მაგალითად, რობოტების გამოყენება აქტიურად იტესტება საავადმყოფოებსა და სკოლებში ბავშვებთან მუშაობისას!

აღმოჩნდა, რომ ბავშვები უფრო მეტად უჯერებენ რობოტებს და უფრო უმარტივდებათ საავადმყოფოში დარჩენა: **ჰოლანდიაში უკვე არსებობს რობოტის გამოყენების პრაქტიკა დიაბეტიან ბავშვებთან — რობოტი ბავშვებს ადვილად უმეგობრდება და აწვდის საჭირო ინფორმაციას თავიანთი დაავადებების შესახებ.** მაგალითად, როგორია დასაშვები შაქრის დონე სისხლში სხვადასხვა ასაკის მოზარდებისთვის. ბავშვები იმდენად ერთობიან რობოტებთან საუბრით, რომ უადვილდებათ წამლების მიღება და ამ პროცესს ხალისით ხვდებიან.

ტოკიოში, მოხუცებულთა სახლში, სადაც დემენციით დაავადებულებს მკურნალობენ, რობოტები დილის ვარჯიშებსა და სიმღერის გაკვეთილებსაც უძღვებიან: ჩვენში თავისი მობილური ტელეფონებით ცნობილმა კომპანია „შაომიმ“ წარმოადგინა ჰუმანოიდი რობოტის ახალი პროტოტიპი: ის 177 სანტიმეტრი სიმაღლისაა, 52 კილოგრამს იწონის, ადამიანის 45-მდე ემოციას ცნობს და შეუძლია, საათში 3-ნახევარი კილომეტრი გაიაროს...

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ რობოტებმა თითქოს დაგვაიმედეს, რომ არ აგვიჯანყდებიან, ჰუმანოიდ რობოტებს აქვთ თვითგანვითარების პოტენციალი, ანუ ისინი ზედამხედველობის გარეშეც შეძლებენ ინტელექტის ამაღლებასა და სრულყოფას! არადა, ერთ მშვენიერ დღეს რომ ჩათვალონ, ადამიანებზე განვითარებულ რასას მივეკუთვნებითო, მერე სად მივდივართ?!

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ თუნდაც ყველაზე ძლიერი არმიით გავუწევთ წინააღმდეგობას მილიონობით ზეინტელექტუალურ ქმნილებას?

*მოამზადა*
***გიორგი გიგაურმა***

●

როდესაც **ჯორჯ დევოლმა** 1954 წელს პირველი პროგრამირებადი რობოტი შექმნა, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ 70 წლის შემდეგ მსგავსი ქმნილება იმდენად დაიხვეწებოდა, რომ უამრავი ინვესტორის წინაშე წარდგებოდა, ადამიანური ლოგიკით უპასუხებდა ჟურნალისტების დასმულ კითხვებს და, რაც მთავარია, საუდის არაბეთის მოქალაქე გახდებოდა.

**რობოტ სოფიას,** რომელიც ამ ორიოდე წლის წინ საქართველოშიც გვსტუმრობდა, თავისი უნარების წყალობით, უკვე მთელი მსოფლიო იცნობს. სოფია ცნობს ადამიანებს, ამუშავებს ვიზუალურ მონაცემებს თვალებში არსებული კამერებისა და ალგორითმების საშუალებით, აქვს ბუნებრივი მიმიკა და

**როდესაც ჯორჯ დევოლმა 1954 წელს პირველი პროგრამირებადი რობოტი შექმნა, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ 70 წლის შემდეგ მსგავსი ქმნილება იმდენად დაიხვეწებოდა, რომ უამრავი ინვესტორის წინაშე წარდგებოდა...**



# 21-ე საუკუნის პრინციპი: ჭამეთ ბევრი, რომ ცოტას იწონიდეთ!

***ამქვეყნად ყველა დიეტა იწყება საშინელი სიტყვებით: შეამცირე, უარი თქვი, ამოიღე რაციონიდან და ასე შემდეგ. როგორც იქნა, გველირსა დიეტა, რომელიც იწყება ჯადოსნური სიტყვით „დაამატე“. გაუთავებელი ტაბუების შემდეგ ნამდვილ შვებასავით ჟღერს.***

მოკლედ, დიეტა ნახევარი მსოფლიოს ქალებმა უკვე მოსინჯეს და დაადგინეს, რომ სულაც არ არის აუცილებელი შიმშილი, საკმარისია, რაციონში ჩართოთ ფერების კოდი და ჰოლივუდური სტანდარტებიც მიღწევადია. მთავარია, მიირთვათ რაც შეიძლება მეტი ფერის პროდუქტი, ეს კი თავისთავად ნიშნავს ხილითა და ბოსტნეულით გაჯერებულ რაციონს. სასურველი ფორმები და ჯანმრთელობის გაუმჯობესება ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გარანტირებულია.

პროცესი საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს, კვირაში 2,5 კილოგრამამდე მოგაკლდებათ, ანუ თვეში 10 კილოგრამი. შემდეგ თვეებში ტემპი ცოტა შენელდება და თვეში სავსებით რეალურად დაიკლებთ 4-6 კილოგრამს.

ბარდა ამისა:

**ხილ-ბოსტნეულის პიგმენტები აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლის პროცესს, რის შემდეგაც თქვენი უფორმო სხეული მშვენიერ ფორმას მიიღებს.**

**უჯრედისი, რომელსაც ხილ-ბოსტნეული შეიცავს, ორგანიზმიდან ტოქსინებს გამოდევნის, კანი იწყებს ბზინვას და წესრიგდება კუჭ-ნაწლავის ფუნქციონირება.**

**გაგივითარდებათ გემოვნება და მიხვდებით, რომ საშინლად მავნე კრუასანს ან ფუნთუშას აშკარად სჯობია ერთი ვაშლი ან კიტრი. თქვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა საგრძნობლად გაიზრდება. ფაქტობრივად, არ მოგიხდებათ ცხოვრების წესის შეცვლა და რესტორანში ვახშამზე უარის თქმა დიეტის გამო. უბრალოდ, მოითხოვეთ შემწვარი, მოხარშული ან მოთუშული საკვები, უარი თქვით შებოლილსა და გატარებულ ხორცზე ან ყველით შეზავებულ კერძებზე, ისინი ყოველთვის ზედმეტად ცხიმიანია.**



***ფერადი დიეტის დაცვა მთელი სიცოცხლის მანძილზე შეგიძლიათ, რასაკვირველია, მთელი რიგი დარღვევებისა და გადახვევების ჩათვლით. მთავარია, მისდიოთ რამდენიმე ძირითად წესს. არანაკლებ 7-ჯერ დღეში მიირთვით ყველა ფერის ნაყოფი, სულ დაახლოებით 500-700 გრამი. კომბინაციები თავად შეარჩიეთ, როგორიც გაგიხარდებათ. არასდროს იშიმშილოთ, უბრალოდ, უარი თქვით მავნე ჩვევებზე, არასოდეს იყიდოთ კრემიანი ნამცხვარი და რესტორანში არასდროს შეუკვეთოთ შებოლილი ნეკნები. გასინჯეთ ახალი პროდუქტები, დედამიწაზე 150 000 საკვებად ვარგისი მცენარე იზრდება, ჩვენი წინაპრები 800-ს მიირთმევდნენ, ჩვენ კი — მხოლოდ 20-ს. გაზარდეთ ეს რაოდენობა, სადამდეც გაგიხარდებათ.***

# სხვადასხვა ენაზე, ანუ როგორ გავუგოთ საყვარელ მამაკაცს







***ხანდახან საერთოდ არ გესმით ერთმანეთის, თითქოს სხვადასხვა ენაზე მეტყველებთ? არავითარი პანიკა, ვიწყებთ წესების დაცვას.***

ძირს ტელეპათია

**რაღაც შემცივდა, ჩურჩულებთ და ჩახუტების იმედი გაქვთ, ის კი თბილ მოსასხამს გთავაზობთ, რაც ყველაზე საკვირველია, თქვენ რატომღაც ბრაზობთ მის მიუხვედრელობაზე.**

### წესი №1

მამაკაცებს არ შეუძლიათ აზრების კითხვა, თქვენი ღრმად ფილოსოფიურ-რომანტიკული მინიშნებები მათთვის ნამდვილი ჩინურია. ამიტომ ყოველთვის პირდაპირ და გახსნილად გაუმხილეთ მას თქვენი სურვილები, სიცივეზე წუწუნს მოეშვით და უთხარით, „ჩამეხუტე“, თუ, რასაკვირველია, ნამდვილად ეს გინდათ და არა თბილი მოსასხამი.

მშვენიერი მომავალი

**თუ მეუღლეს ღიმილით მიუახლოვდებით და ეტყვით, რომ სიზმარში შვილი გყავდათ და თქვენ არაჩვეულებრივი მშობლები აღმოჩნდით, ეს სიზმარი ზუსტად 5 წუთში დაავიწყდება, ხოლო რისი თქმა გინდოდათ, ვერც მომავალი 5 წლის მანძილზე მიხვდება და სკანდალს აზრი არა აქვს, ვერაფრით გააგებინებთ, რაზე ჩხუბობთ.**

### წესი №2

თუ გრძნობთ, რომ დედობისათვის მზად ხართ, სიზმრებსა და ხილვებს შეეშვით და სერიოზული საუბრისათვის უხმეთ მეუღლეს, მამაკაცებს უყვართ გულღია და პირდაპირი საუბარი. გაუმჟღავნეთ თქვენი სურვილი და დაალაცადეთ, გაიაზროს ყველაფერი. მხოლოდ შემდეგ გადადით სიზმრების მოყოლაზე.

საყვარელი მატყუარა

**მამაკაცებს, როცა სჭირდებათ, არაჩვეულებრივად გამოსდით ტყუილების მოფიქრება, მაგრამ ხანდახან ისინი ბავშვებივით გულწრფელნი და მართალნი არიან. თქვენ კი ვერა და ვერ გაგირკვევიათ, როდის ხდება ეს და მუდმივად უმიზეზოდ სდებთ ბრალს ტყუილებში.**

### წესი №3

მამაკაცები ყოველთვის გულახდილად პასუხობენ კითხვას, რომელიც არ ეხება მათი ხელფასის ზუსტ რაოდენობას, საბანკო ანგარიშებსა და საყვარლებს. გამოსავალი მარტივზე მარტივია, არ შეეკითხოთ ისეთი რამ, რაზე პასუხიც გულს გატკენთ.

ილაპარაკეთ სექსზე

**ლოგინში ინიციატივა არასდროს ისჯება, მაგრამ ინიციატივასაც გააჩნია. თუ თქვენ იმის ნაცვლად, რომ ამოღერღოთ, რა გინდათ, დგახართ და ერთი საათი ახსენებთ, როგორ იყო სამი თვის წინ და ისევ ისე გინდათ, თანაც თუ ამ დროს ადამიანურ ენაზე კი არ მეტყველებთ, არამედ რაღაც უაზრო მინიშნებებით იტანჯებით, გაძლევთ სრულ გარანტიას, ამგვარი ინიციატივის შემდეგ ნაწყენი და გაბუსხული გადაბრუნდებით კედლისკენ დასაძინებლად და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მიხვდა ან არ გაახსენდა.**

### წესი №4

მამაკაცებს სულაც არ ეშინიათ საკუთარი სურვილების შესახებ საუბრის და არც თქვენს სურვილებზე გაუსკდებათ გული. თუ რაიმეს თავის სახელს ვერ არქმევთ და კაცმა არ იცის, რატომ, შემოიღეთ ახალი ლექსიკონი, მაგალითად, სექსს საბნის ქვეშ „პაემანი“ დაარქვით, ოღონდ თქვენს პარტნიორსაც ასწავლეთ და არ დაგენანოთ, რამდენიმე ღამე ლინგვისტურ გაკვეთილებს თუ შეეწირება.

# გახდით ერთ დღეში

***გინდათ, მომხიბვლელი სხეული გქონდეთ, მაგრამ ძალა და ნებისყოფა მხოლოდ ერთი დღისთვის გყოფნით? ძალიან კარგი, ეს სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ უსაფრთხო და სასარგებლო განტვირთვის დღეებით სასურველ შედეგს მიაღწიოთ. არსებობს ორი სახის განტვირთვის დღეები — მაძღარი და მშიერი. აირჩიეთ, რომელია თქვენთვის უფრო მეტად მოსახერხებელი და საქმეს შეუდექით. გაითვალისწინეთ, თითოეული ვარიანტი დღეში 700-1000 კილოკალორიას მოიცავს და ამ რეჟიმით კვებისას აუცილებელია დღეში, სულ მცირე, 2 ლიტრი სითხე მიიღოთ წყლის, გაზგასული მინერალური სასმლის ან ღია ფერის ჩაის სახით.***

### ხორცი და ბოსტნეული



**400 გრამი მოხარშული ხორცი (ხბო ან საქონელი, შეიძლება ფრინველის თეთრი ხორციც) და 800 გრამი უმარილო ბოსტნეული გაანაწილეთ ისე, რომ დღის განმავლობაში 4-5-ჯერ მიირთვათ, ძილის წინ კი ერთი ჭიქა უცხიმო მაწონი დააყოლეთ.**

### ზღვის პროდუქტები მოშუშული ბოსტნეულითა და სოკოთი

**500 გრამი მოხარშული უმარილო ზღვის პროდუქტი და 800 გრამი მოშუშული ბოსტნეული (კომბოსტო, ბადრიჯანი, ყაბაყი, მწვანე ლობიო, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, სოკო). უმჯობესია, 2-3 სახეობის ზღვის პროდუქტი და 1-2 სახის ბოსტნეული აარჩიოთ.**



### ხილი და იოგურტი

**1-2,5 კილოგრამი სხვადასხვა ხილისაგან მოამზადეთ სალათი და დაასხით 300 გრამი იოგურტი. მიირთვით 3-4 ჯერზე, საღამოს კი ერთი ჭიქა მაწონი დააყოლეთ.**

### კენკრა და ხაჭო

800 გრამი კენკრა (მარწყვი, მოცხარი, ჟოლო, ალუბალი) და 400 გრამი უცხიმო ხაჭო გაანაწილეთ და მთელი დღის განმავლობაში მიირთვით. ამ დღეს ყავის დალევაც ნებადართულია.

# ნეილ არტი, ანუ ფრჩხილების მოვლის საიდუმლო

***იმისათვის, რომ ლამაზი ფრჩხილები ხანდაზმულ ასაკშიც შეინარჩუნოთ, აუცილებელია მისი გულდასმით მოვლა. როგორ მოვახერხოთ ეს? ამაში ჩვენ მიერ მოწოდებული რჩევები დაგეხმარებათ.***



### რომელი ხსნარი გამოვიყენოთ ლაქის მოსაშორებლად?

— უნდა აირჩიოთ ისეთი ხსნარები, რომელიც არ შეიცავს აცეტონს. ის ფრჩხილებს აშრობს და მტვრევადს ხდის.

ხსნარით კარგად გაჟღინთეთ ბამბის ბურთულა, დაიდეთ ფრჩხილებზე, დააყოვნეთ რამდენიმე წამს და შემდეგ გაიწმინდეთ.

### ქლიბი

ნუ გამოიყენებთ მეტალის ქლიბს — ის აზიანებს ფრჩხილის ფირფიტას (ფრჩხილები ერთი მიმართულებით გაიქლიბეთ — კიდიდან ცენტრისაკენ.

### ლაქის ქვეშ

ლაქის ქვეშ აუცილებლად იხმარეთ სპეციალური ხსნარი, რომელიც ფრჩხილს ლაქის შემადგენლობაში შემავალი მღებავი ნივთიერებებისაგან იცავს და მის ზედაპირს უფრო გლუვს ხდის.

ამგვარი ხსნარის გამოყენება შეიძლება ლაქის ქვეშაც და მის გარეშეც. ის განამტკიცებს და ამკვრივებს ფრჩხილებს, უზრუნველყოფს საკვები ნივთიერებებით.

სუსტი და მტვრევადი ფრჩხილებისათვის გამოიყენება ფტორისა და კალციუმის შემცველი, აგრეთვე, მკვებავი ხსნარები.

### რომელი ლაქი ავირჩიოთ?

აირჩიეთ ისეთი ლაქი, რომლის ჭურჭელშიც მეტალის ბურთულაა, შენჯღრევით ამგვარი ბურთულა გაცილებით სწრაფად და იოლად გადააქცევს ლაქს ერთგვაროვან მასად. შედეგად კი ფრჩხილზე ლაქი უკეთ წაისმება.

### იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ლამაზი და ჯანმრთელი ფრჩხილები

**1. მიირთვით ვიტამინებით მდიდარი საკვები; ნუ შეზღუდავთ ორგანიზმისათვის აუცილებელი საკვები ნივთიერებების მიღებას ამა თუ იმ დიეტის ფარგლებშიც კი.**

2. ფრჩხილებში რეგულარულად შეიზილეთ ლიმონის ან კარტოფილის წვენი.

**3. გამოიყენეთ მხოლოდ სპეციალური სამკურნალო ლაქი.**

### ფრჩხილებს აყვითლებს

გარეგანი მიზეზები: უხარისხო ლაქი და აცეტონის შემცველი ლაქის მოსაშორებელი საშუალებები; მწეველებში თამბაქო; ქიმიური რეაქტივები.

შინაგანი მიზეზები: ღვიძლის დაავადებები; ფილტვის დაავადებები; შაქრიანი დიაბეტი; მედიკამენტების ხანგრძლივი გამოყენება; მიკოზები.

### პრაქტიკული რჩევები

მუქი ტონის ლაქი ვიზუალურად აგრძელებს ფრჩხილებს, აქედან გამომდინარე, მისი გამოყენება შეიძლება როგორც ხელის, ასევე ფეხის ფრჩხილებისათვის.

ღია ფერის ლაქი ბუნებრივად გრძელი ფრჩხილების პატრონებს გამოადგებათ, ვინაიდან ნათელი ფერები მათ ხელებს ქალურობას მატებს.

გარუჯულ სხეულს პასტელის ფერის ლაქი უხდება.

გაითვალისწინეთ — **ფრჩხილები და პომადა ერთ ტონში აქტუალური აღარ არის!**

# ვერის სასაფლაოზე ჯვრები დალეწეს!



***გასულ კვირას თბილისში, ვერის სასაფლაოზე, შუაღამით დაუდგენელმა პირებმა ათზე მეტი საფლავის ჯვარი დალეწეს, რაც მიზანმიმართული სატანისტური რიტუალის შთაბეჭდილებას ტოვებს და უნებურად გვახსენებს „ბიბისის“ ეთერში რამდენიმე წლის წინათ გასულ რეპორტაჟს. მაშინ იქაური ჟურნალისტი ჩვენს ქვეყანაში სააღდგომოდ მოგზაურობის შემდეგ სასაფლაოებზე გარდაცვლილთა პატივსაცემად გასულ ქართველებზე ამბობდა — ესენი ცოტა ვერ არიან, მიცვალებულებთან ქეიფობენო!***







ახლა ბრიტანელმა რომ ვერ გაიგოს, რატომ გადიან სააღდგომოდ ქართველები მიცვალებულებთან საფლავზე, რისთვის უქცევენ ღვინოს და რატომ უგორებენ წითელ კვერცხებს, თითქოს დიდად გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როდესაც ადგილობრივი ბიოლოგიური ცხოველი მიზანმიმართულად მიდის საფლავებზე ჯვრების დასალეწად, ეს უკვე გაუგებრობა კი არა, ვანდალიზმი და ბარბაროსობაა, თანაც ჯვრის წაბილწვის სატანისტური რიტუალის ელფერიც დაჰკრავს. მითუმეტეს, რომ, თვითმხილველთა მონაყოლით, იმ ღამეს ვერის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე უცნაურად ჩაცმული არსებებიც შეუნიშნავთ!

სხვა საფლავებთან ერთად, დარბეულ-დალეწილია **ანსამბლ „მზიურის“ მომღერლის ქეთი ფირცხალავას** საფლავის ჯვარიც, არადა, საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ზრდასრული ადამიანი, ვინც არ იცის, ვინ იყო ქეთი ფირცხალავა.

კიდევ ერთი მომენტი — **ეს დარბევა ვერის სასაფლაოზე, ხალხის ძალისხმევით, ლისის ტბაზე ლგბტ ფესტივალის ჩაშლიდან რამდენიმე დღეში მოხდა!**

ალბათ, ბევრმა იხილა, როგორი გავეშებით იგინებოდნენ და იმუქრებოდნენ პოლიციის მიერ „მარშრუტკით“ ევაკუირებული და გამწარებულ ხალხს გარიდებული ლგბტ სოდომისტები: **მღვდლებთან ერთად ჯვრებით ამოვიდა ლისის ტბაზე ეს ბრბო და გამოგვყარესო! ჰოდა, დიდი ალბათობით, ეს ჯვრების ლეწვა-წაბილწვაც იმ ჩაშლილი ლგბტ ფესტივალის გამო განხორციელებული ამაზრზენი შურისძიებაა!**

როგორც ჩანს, მავანმა, დაფიქსირების შიშით თავი აარიდა ეკლესია-მონასტრებს და იქ იმოქმედა, სადაც გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერები არ დგას.

**მოკლედ, ეს საქმე გამოუძიებელი არ უნდა დარჩეს! გამორიცხულია, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გარე გადაღების რომელიმე კამერას მაინც არ აღებეჭდა ფირზე ეს უცნაურად ჩაცმული არსებები!**

***გიორგი გიგაური***

# შურისძიება ელ-გე-ბე-ტე ფესტივალის ჩაშლის გამო?




















# მიხეილ ცაგარელი: მთვარე და მიწათმოქმედება

*— მთვარის რომელ ზოდიაქოში გავლისას მიმდინარეობს მცენარეთა ბუნებრივი გადარჩევის პროცესი და ფილტრაცია და სხვა დღეებთან შედარებით უფრო ხშირია ყვავილების ჭკნობა ან მცენარის გახმობა? ამ დროს დარგული მცენარე რით არის გამორჩეული? როდის არის მიზანშეწონილი ხე-მცენარეების დარგვა, რათა ლამაზი და ძლიერი მერქანი განუვითარდეს, განსხვავებულ გარემო პირობებსა და დაავადებებს გაუძლოს? როდის უნდა დავრგოთ მცენარე, რომ განსაკუთრებით ლამაზი ნაყოფი მივიღოთ, რომელიც საგამოფენო ეგზემპლარად გამოდგება ანდა როდის აღებული მოსავალი ინახება დიდხანს, ხოლო სათესლე მასალა ჩვეულებრივზე მაღალი ხარისხის არის? მთვარის რომელ ზოდიაქოში გავლისას არის რეკომენდებული ჩარჩენილი ფესვების ამოძირკვა, ეზოში ბილიკების მოწყობა და შემოღობვა? რომელ ზოდიაქოშია, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მშრალი და უნაყოფო, თუმცა, დადებით შედეგს იძლევა მთვარის მასში გავლისას ნიადაგის დამუშავება, მოსავლის აღება, სამკურნალო ბალახისა და ნაყოფის შეგროვება? რომელი ზოდიაქოა ნაყოფიერი და ტენიანი და ხელს უწყობს ბუჩქოვან კენკროვნებთან მუშაობას, მათ დაკონსერვებასა და მურაბების ხარშვას? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

— განვაგრძოთ მთვარის ზემოქმედების განხილვა მცენარეებსა და ნიადაგზე, მის ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში გავლის შემთხვევაში.

— **9. მთვარე მშვილდოსანში. მშვილდოსანი უნაყოფო ნიშანია, ამიტომ მთვარის ამ ნიშანში გავლისას არ არის რეკომენდებული ბოლქვოვნების** (კერძოდ, ბოსტნეულის) **დარგვა, რადგან სასურველზე ნაკლებ მოსავალს მოგვცემს. ასევე არ არის მიზანშეწონილი მიწის გაფხვიერება, სარეველებთან ბრძოლა** (მალე ისევ ამოვა), **მწვანილეულის თესვა. ამ დროს მნიშვნელოვანია მცენარეთა გენოფონდის შენარჩუნება, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ სხვა დღეებთან შედარებით უფრო გახშირდება მცენარეების გახმობა ან ყვავილების დაჭკნობა. საქმე კი ის გახლავთ, რომ ამ დროს ბუნებრივი გადარჩევის პროცესი მიმდინარეობს და ყოველი სუსტი, დაავადებული და უხარისხო ბუნებრივად იფილტრება, რათა მხოლოდ ძლიერი და ჯანსაღი გენის მქონე მცენარე და მისი თესლი გადარჩეს.** აღსანიშნავია ისიც, რომ **მშვილდოსნის ზოდიაქოში მთვარის გავლისას დარგული მცენარე გამოირჩევა ძლიერი მწვანე მასით, ფოთლოვანი სისტემით და მალე ყვავილობს.** ეს დრო კარგია იმ ბოლქვოვნების დასარგავად, რომელნიც შემდეგ წელს გადარგვას საჭიროებენ უფრო უხვი ყვავილობისთვის (ტიტები, ნარცისები და ა.შ.), ბოსტნეული კულტურებიდან კი ეს ნიშანი მხოლოდ ცხარე წითელ წიწაკას უყვარს, რომელიც განსაკუთრებულად ცხარე და დიდ მოსავალს იძლევა. გარდა ამისა, ამ დროს შეიძლება ვაზის, ლობიოს, ნივრის, სურნელოვანი და სამკურნალო ბალახის დარგვა. ამ პერიოდში **მთვარის დალმავალი ფაზის დროს** შესაძლებელია ნებისმიერი კულტურის მოსავლის აღება, ხეხილისა და კენკროვნების გაშრობა-გაყინვა, **აღმავალი ფაზის დროს** კი — ყვავილების მოჭრა, სუნელებისა და სამკურნალო მცენარეების მოგროვება. ასევე **დალმავალი ფაზის დროს** რეკომენდებულია მარცვლეული კულტურების თესვა, სასუქით გამდიდრება, მიწის ზევით მცხოვრებ მავნებლებთან და პარაზიტებთან (მათ შორის, ლოკოკინასთან, მუხლუხოსთან) ბრძოლა.

**10. მთვარე თხის რქაში. თხის რქა ნაკლებად ნაყოფიერ ნიშანს წარმოადგენს. ამ დროს ფესვებთან მუშაობა არ არის რეკომენდებული.** სამაგიეროდ, კარგია ხე-მცენარეების დარგვა, რადგან სწორი და ლამაზი მერქანი განუვითარდება, ძლიერი და გამძლე იქნება განსხვავებული ბუნებრივი პირობებისა და დაავადებების მიმართ, ფესვთა სისტემაც კარგად განუვითარდება. ამ პერიოდში შესაძლებელია, აგრეთვე ზამთრის წინა თესვა, მცენარის თესლის ჩალბობა, მყნობა, დაფესვიანება. ასევე **მთვარის აღმავალი ფაზის დროს** მუხის, თხილის, ვაშლის, მსხლის, კომშის, ალუბლის, მოცხარის დარგვა და დიდი ხნით შენახვისათვის გათვალისწინებული ბოსტნეულის თესვა. ამ პერიოდში გადარგული ხახვის ჩითილები მალე გაიზრდება. ამ პერიოდში დარგული მცენარე ანდა ჩარგული თესლი ლამაზ ნაყოფებს იძლევა, რომელიც საგამოფენო ეგზემპლარად გამოდგება. ასევე ამ დროს აღებული მოსავალი დიდხანს შეინახება. სათესლე მასალაც აგრეთვე ჩვეულებრივზე უფრო მეტხანს შეინახება და მაღალი ხარისხისა იქნება. მათი დარგვის შემთხვევაში კი ძლიერი ღეროსა და ფესვთა სისტემის მიუხედავად ნელა გაიზრდება, თუმცა, მცენარე გამორჩეული იქნება ყინვაგამძლეობით, დაავადების მიმართ მდგრადობით და გვალვაგამძლეობით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ დროს განსაკუთრებით კარგია იმ მცენარეთა დარგვა, რომლებსაც ზამთრის გრუნტში გატარება მოუწევთ (კარტოფილი, ნიორი, მარცვლეული და სხვანი). **მთვარის დალმავალი ფაზის დროს** სასიკეთოა მიწაში ჩარჩენილი ფესვების ამოძირკვა, ნაკელის ან კომპოსტის შეგროვება, ყვავილების სასუქით გამდიდრება და ეზოში ბილიკების გაკეთება და შემოღობვა.

**11. მთვარე მერწყულში. მერწყული, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მშრალი და უნაყოფო ნიშანია.** ამ დროს არ არის რეკომენდებული ხეების დარგვა-გადარგვა, რადგან უფორმო, ულამაზო გაიზრდება. ასევე გადარგვისას შესაძლოა, ახალ პირობებს ვერ შეეგუოს და გახმეს. ამ დროს არ ღირს მორწყვაც, რადგან ფესვთა ლპობა შეიძლება გამოიწვიოს. ამგვარ დღეებში ჩარგული მცენარის თესლიც ხშირად ჯიშისთვის დამახასიათებელ თვისებებს ვერ ინარჩუნებს. **სამაგიეროდ, ეს დრო კარგია ნიადაგის გასაფხვიერებლად, მცენარისთვის დამცავი პროცედურების ჩასატარებლად** (შესაწამლად), **გამოხშირვისთვის, ფორმის მისაცემად. მთვარის დალმავალი ფაზის დროს** პოზიტიურ შედეგს მოგვცემს მიწის დამუშავება (გაფხვიერება, ამობრუნება) და ბოლქვოვნების მოსავლის აღება, **მთვარის აღმავალ ფაზაში** კი სასიკეთოა სამკურნალო ბალახისა და ხილის ნაყოფის მოგროვება.

**12. მთვარე თევზებში. თევზები მეტად ნაყოფიერი და ტენიანი ნიშანია, მაგრამ ეს დრო არახელსაყრელია ბაღსა თუ ბოსტანში დაავადებებთან და პარაზიტებთან საბრძოლველად. ასევე გასხვლისთვის, რამეთუ, შესაძლოა, მცენარე დაზიანდეს, დაავადდეს და დალპეს.** არ შეიძლება, აგრეთვე მრავალწლიანი მცენარეების ამოთხრა და გაყოფა. **ამ დღეებში დარგული ხის ნერგი მსხმოიარეა,** მაგრამ დიდხანს ვერ ცოცხლობს და მალე ხმება. ასევე მცენარეს უჭირს შემდგომ, არასასიკეთო ამინდის პირობებთან შეგუება. სამაგიეროდ, **თევზების ზოდიაქოში მთვარის გავლის პერიოდში კარგია იმ მცენარეების დარგვა, რომლებსაც მოკლე ღერო და ძლიერი ფესვთა სისტემა ახასიათებთ** (მაგალითად, მარწყვის), **ასევე კენკროვნების** (მოცხარის, ჟოლოს, მოცვის, მაყვლის და ა.შ.) **და სურნელოვანი ყვავილების. ამ დროს შესაძლებელია, მცენარეების დამყნობა, კალმის დასაფესვიანებლად მომზადება. მზარდი მთვარის დროს — სასიკეთოა ბაღ-ბოსტნის მორწყვა, ნიადაგში სასუქის შეტანა** (აღმავალი ფაზის დროს, მინერალურის, ხოლო დაღმავალი ფაზის დროს — ორგანულის). ეს პერიოდი მეტად ხელსაყრელია სოკოს დასათესად და გამრავლებისთვის, ასევე ბაღჩეული კულტურების, კომბოსტოსა და სხვა სწრაფმოსავლიანი ბოლქვოვნების დასათესად. ნიშანდობლივია ისიც, რომ **თევზების ზოდიაქოში მთვარის გავლისას დარგული მცენარეები მალე ამოდის, კარგ და გემრიელ მოსავალს იძლევა, მაგრამ ცუდად ინახება,** ამიტომ ბოსტნეულიდან ჯობს, ისინი დაირგოს, რომელიც მალევე იჭმევა და ხანგრძლივი შენახვისა და კონსერვირებისთვის არ არის გამიზნული. **ამ დღეებში გადარგული ერთწლიანი ბოსტნეულის და ყვავილების ჩითილებიც კარგად იზრდება. ეს პერიოდი ასევე ხელს უწყობს ბუჩქოვან კენკროვნებთან მუშაობას, მათ დაკონსერვებასა და მურაბების ხარშვას.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 24-30 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით და კრიზისული მდგომარეობაც თავისით გაივლის. ძველი კავშირები გამოიყენეთ, ახალი კონტაქტები დაამყარეთ და სხვათა აზრიც აუცილებლად გაითვალისწინეთ. სახლში ინტერიერის შესაცვლელად კარგი დროა. ეს შინაგან დაძაბულობას მთლიანად მოგიხსნით. დამოუკიდებლად ცხოვრების გამო მშობლებისგან, ოჯახის წევრებისგან ან საყვარელი ადამიანისგან წინააღმდეგობებია მოსალოდნელი.

**კურო** (21.04-20.05)
კომფორტის მოთხოვნილების გამო შესაძლოა, სახლის კეთილმოწყობა გადაწყვიტოთ. ოჯახში მეტ დროს გაატარებთ. შესაძლოა, უძრავი ქონების შეძენაზეც დაფიქრდეთ. შეყვარებულის მიმართ ყურადღება გამოიჩინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებრობა კონფლიქტის მიზეზი გახდება. შესაძლოა, მივლინებაში გამგზავრება მოგიწიოთ. გადაადგილებები ბევრ დროს წაგართმევთ, მაგრამ შედეგსაც მოიტანს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საქმის შესრულებისას მოწინავე მეთოდები და ახალი ცოდნა გამოიყენეთ, რათა სამუშაო მომაბეზრებელი არ იყოს. კოლეგებთან და ხელმძღვანელთან საერთო ენას ადვილად იპოვით. გარკვეული გარემოებების გამო, შესაძლოა, კვალიფიკაცია ან თანამდებობა შეიცვალოთ, რაც ახალ პერსპექტივებს გადაგიშლით. ოჯახთან დაკავშირებული საქმეები, ურთიერთობა-გადაადგილებები ბევრ დროს წაგართმევთ. შეყვარებულთან პრობლემებს შეგიქმნით დროის ნაკლებობა და ეჭვიანობა.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
თქვენს შრომასა და შემართებას ხელმძღვანელობა სათანადოდ დააფასებს და კარგ გასამრჯელოსაც მიიღებთ. მიუხედავად ამისა, შესაძლოა, სამსახურის, თანამდებობის ან მოვალეობების შეცვლა მოგიწიოთ. რთულ სიტუაციაში შინაგან ხმას მოუსმინეთ და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. კამათსა და ურთიერთობების გარკვევას მოერიდეთ. შეყვარებულთან ურთიერთობის გაცივება დროებითი იქნება. მოგზაურობისგან კი ჯობს, ჯერჯერობით თავი შეიკავოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
მდგრადი ჯანმრთელობისა და კარგი განწყობის მეოხებით ადვილად შეძლებთ სწავლასა და ინფორმაციების მიღებას. ამჟამად თქვენ პარტნიორი გჭირდებათ, რომელიც პროფესიული საქმიანობისას დახმარებას გაგიწევთ, აზრებს მოგიწესრიგებთ და დაცულობის შეგრძნებას გაგიძლიერებთ. გადაადგილება-შეხვედრები თქვენს ცხოვრებას საინტერესოს გახდის. კარგი იქნება, თუ სასიყვარულო ურთიერთობაში ცვლილებებს შეიტანთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა კი სასიამოვნო იქნება.

**ქალწული** (24.08-23.09)
ხშირი გადაადგილებები, სამსახურში კომფორტული გარემო, მოხდენილი ტანსაცმელი და საინტერესო ურთიერთობები ხალისიან განწყობას შეგინარჩუნებთ. ყურადღების ცენტრში ყოფნა და აღიარება მოგინდებათ. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა დაგეხმარებათ ავტორიტეტის ამაღლებასა და იდეების განხორციელებაში. ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება მოუწესრიგებელი სასიყვარულო კავშირი ან ოჯახური კონფლიქტი.

## 24-30 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
სასიცოცხლო ენერგია და გამძლეობა ნელ-ნელა მოგემატებათ, რაც შეხვედრა-მოლაპარაკებებს ხელს შეუწყობს. დახარჯული ძალისხმევა კარგ შემოსავალს მოგიტანთ. ცვლილებებია მოსალოდნელი შეყვარებულთან და ოჯახის წევრებთან მიმართებითაც. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს მოერიდეთ. ფულიც ყაირათიანად ხარჯეთ. ახალ იდეას ნუ გაამხელთ და ყველა ინფორმაციაც შეამოწმეთ. მოგზაურობისას მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
მიზანდასახული და თავდაჯერებული იქნებით, რაც წინსვლასა და საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენაში დაგეხმარებათ. პრობლემების გადაწყვეტა და კონფლიქტების მოგვარება ბევრ დროს წაგართმევთ. გააზრებული რისკი დასაშვებია, თუმცა, აუცილებელია დინჯად მოქმედება, რათა ჯანმრთელობას არავნოთ. სასიყვარულო ურთიერთობისა და პირადი ცხოვრებისთვის ცოტა დრო გექნებათ, რაც ახლობელთა უკმაყოფილებას გამოიწვევს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
თავს ენერგიულად იგრძნობთ. კარიერული წინსვლა თქვენს განათლებასა და პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული. შესაძლოა, უცხოელებთან თანამშრომლობა მოგიწიოთ. მოგზაურობა ფანტაზიას გაალვიძებს და შემოქმედებითობას შეგმატებთ. ეცადეთ, ღიად იმოქმედოთ, რადგან ტყუილი მალევე გამოაშკარავდება და თქვენს კარიერას ზიანს მიაყენებს. დაღლისას ეცადეთ, დაისვენოთ და ძალები აღიდგინოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
თქვენი ხიბლი გამოიყენეთ და სურვილებისა და გეგმების შესახებ ხმამაღლა განაცხადეთ. ეცადეთ, სხვებს ზიანი არ მიაყენოთ. ახლობლებთან კამათს ცუდი შედეგი შესაძლოა, მოჰყვეს. სასიყვარულო ურთიერთობის შენარჩუნება ან დანგრევა თქვენზეა დამოკიდებული. მოგზაურობისას მაქსიმალური სიფრთხილე და დაკვირვება გმართებთ. დიდ ხარჯს მოერიდეთ. ჯანმრთელობის მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია დასვენება და სრულფასოვანი ძილი.

**მერწყული** (20.01-18.02)
ფინანსური მდგომარეობა გამოსწორებას დაიწყებს. გადაადგილებებისა და შეხვედრების დროს დამყარებული კავშირები მომგებიანი იქნება. ინტუიციას უსმინეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. თაყვანისმცემელთა სიუხვის მიუხედავად, ჯობს, გრძნობა მხოლოდ ერთ მათგანს გაუნაწილოთ. ჯანმრთელობა და პოზიტიური განწყობა კი მრავალ საინტერესო კონტაქტს შეუწყობს ხელს.

**თევზები** (19.02-20.03)
პიროვნული თვისებების გამოვლენისა და შემოქმედებითად მუშაობის პერიოდია. შემოსავლის რაოდენობა დამოკიდებული იქნება არამარტო მუშაობის ხარისხზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ წარმოაჩენთ თავს სხვების წინაშე. თქვენს აზრებსა და იდეებს ახლობლები დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ, მაგრამ მიზნის მისაღწევად სხვების მხარდაჭერის მოპოვებაც მოგიწევთ. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს დამატებითი სწავლაც. რჩეულთან ღია კონფრონტაციას მოერიდეთ და ეცადეთ, ერთად მეტი დრო გაატაროთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 25,26,29 და 30 ივლისი

**3 ივლისი – სავსემთვარეობა, პიკი – 15.41 საათზე;**
**17 ივლისი – ახალმთვარეობა, პიკი – 22.33 საათზე.**

## 24 ივლისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.47 საათზე, ჩადის 20.28 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 11.59 საათზე, ჩადის 23.39 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 12.45 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სიცრუისა და უპასუხისმგებლობის მიმართ შესაბამისი რეაქცია დროულად გამოავლინეთ. კარგი დღეა სამართლიანობის დასაცავად, დიპლომატიურობისთვის, შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრული და სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კბილების სამკურნალოდ, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, დიზაინის შესაცვლელად, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარების, ტანსაცმლის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი მანქანის ყიდვა-გაყიდვა, ზედმეტი სითხის მიღება, საქმის გარჩევა, მატულობს მგრძნობელობა. მაღალია ჭორებისა და ინტრიგების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 25 ივლისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.48 საათზე, ჩადის 20.27 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.42) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 13.02 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 14.04 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.05 საათიდან 20.42 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლოა წარსულის პრობლემა ანდა ვალდებულება მოაგვაროთ. ურთიერთობისას (განსაკუთრებით საღამოს) ეცადეთ, პრობლემა მშვიდობიანად გადაწყვიტოთ. არ არის სასურველი მანქანის ყიდვა-გაყიდვა, ბევრი სითხისა და ალერგიული პროდუქტების მიღება, სიფრთხილე გამოიჩინეთ ცეცხლსასროლ იარაღთან, მჭრელ საგნებთან და ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მიმართებით. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, ფეხსაცმელ-ტანსაცმლის, პარფიუმერიის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 26 ივლისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.49 საათზე, ჩადის 20.26 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 14.09 საათზე, ჩადის 27 ივლისს 00.00 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 15.27 საათზე, მე-2 ფაზა იწყება 02.08 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** იყავით ყურადღებით. სიურპრიზების დღეა. წინდახედულობა გამოავლინეთ. მაღალია ილუზიების, მოტყუების, კონფლიქტების, ცდუნებების ალბათობა. ამავდროულად, აღმშენებლობის დღეა. უსარგებლო, არაფრისმომცემი ნივთები მოიშორეთ. ბავშვებს კი მეტი ყურადღება მიაქციეთ. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, გეგმების დასახვისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, რეცხვისა და რემონტისთვის, გამოძიებისთვის. არ არის სასურველი სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები, ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სისხის აღება, ბინის შეცვლა, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 27 ივლისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.50 საათზე, ჩადის 20.25 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 15.19 საათზე, ჩადის 28 ივლისს 00.25 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 16.56 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს რთული პრობლემების დაძლევა პარტნიორთან შესაძლებელია კომპრომისის მეშვეობით. კარგი დღეა ბინის, აგარაკის და სხვა მსხვილი შენაძენისათვის, ცხოველებისა და ანტიკვარიატის შესაძენად, რეცხვისა და რემონტისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობა-თევზაობისთვის, გეგმების დასახვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლისა და ცხარე საკვების მიღება, ინტიმური კონტაქტები, სხივური თერაპია, სისხის აღება, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, მგზავრობა, თანამშრომლის მიღება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდ-სასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ონიქსი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 28 ივლისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.51 საათზე, ჩადის 20.24 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.24) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 16.32 საათზე, ჩადის 29 ივლისს 00.55 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 18.30 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.36 საათიდან 04.24 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ნუ დაელოდებით პარტნიორისგან ინიციატივის გამოვლენას და იხელმძღვანელეთ საკუთარი ინტერესებით, გააორმაგეთ ყურადღება. ემოციები აკონტროლეთ. კარგი განწყობა ხელს შეუწყობს წარმატებას. ადრე ჩაფიქრებული იდეებიც კარგად წარიმართება. სასიცოცხლო ტონუსი იმატებს. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, წყლის პროცედურებისთვის, ფილტვების, ბრონქების, მხრების, ხელების, მეტყველების სამკურნალოდ, ტურისტული ლაშქრობისთვის, თანამშრომლობისთვის, სპორტული ღონისძიებებისა და ვარჯიშებისთვის, უცხოეთში კაპიტალდაბანდებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, სწავლისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი სულსწრაფობა, სარკაზმი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, წითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 29 ივლისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 20.33 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 17.46 საათზე 30 ივლისს, ჩადის 01.34 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 20.00 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და გონების მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს ქალწულის ზოდიაქოში (5 ოქტომბრამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, პრაგმატულობას, დისციპლინას, ორგანიზებულობას, პასუხისმგებლობას, სისუფთავისა და წესრიგისკენ მიდრეკილებას, შრომისუნარიანობას, ნებისყოფას, უცხო ენების ადვილად ათვისებას და ასევე სიჯიუტეს, კრიტიკულობას, პირდაპირობასაც. დღეს სამყარო თქვენი გეგმების ჭეშმარიტებას შეამოწმებს. აკონტროლეთ ემოციები, სულსწრაფობა, სარკაზმი. საკუთარი ძალების გადაფასების ტენდენცია მოიმატებს. კარგი დღეა მგზავრობისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ვარჯიშისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ტურისტული ლაშქრობებისთვის, იურიდიული კონსულტაციისთვის, პრეზენტაციებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, ამეთვისტო, ლაბრადორიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 30 ივლისი, კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 05.53 საათზე, ჩადის 20.22 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.50) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 18.54 საათზე, ჩადის 31 ივლისს 02.25 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 21.12 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.51 საათიდან 07.50 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახლობლების გარემოცვაში დაისვენეთ, მომავალი ქმედებანი დაგეგმეთ. დაიოკეთ ზედმეტი სიამაყე. პარტნიორზე ზეწოლას ნუ მოახდენთ, რაც კონფლიქტის პროვოცირებას გამოიწვევს. კარგი დღეა მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, ნადირობა-თევზაობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის. არ არის სასურველი ახალი კავშირების დამყარება, ქორწინება, მკვეთრი მოძრაობები და სიმძიმეების აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ხერხემალი, ძვლოვანი სისტემა, კბილები, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

---



*მედიაკორპორაცია „ასავალ-დასავალი“*
ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ
გარდაიცვალა **საქართველოს საბიუჯეტო სისტემის უძველესი პლეადის ღირსეული წარმომადგენელი, თაობათა აღმზრდელი, პროფესიონალიზმის, კეთილშობილებისა და უბრალოების ეტალონი, დიდი ქართველი ეკონომისტი**

# გივი ერქომაიშვილი

და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახსა
და ახლობლებს.

**პანაშვიდი:** ორშაბათს, **24 ივლისს,** იყალთოს ქ. 8, I სადარბაზო, მე-13 სართული *(ბუკიას ბაღთან, „ვაიკიკის“ უკან, 14-სართულიანში).*
**გამოსვენება:** სამშაბათს, **25 ივლისს, 2 საათზე,** ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიიდან *(იპოდრომის გვერდით)*

---

*„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი* სამძიმარს უცხადებს **ვასილ და ოლიკო ერქომაიშვილებს** მამის —

# გივი ვასილის ძე ერქომაიშვილის

გარდაცვალების გამო.



---

## საეკლესიო კალენდარი

✝ 24 ივლისი. ორშაბათი. **ხსენება დიდმოწამე ევფემია ყოვლადქებულის სასწაულისა, რაჟამს იგი ქალკიდონისა კრებამან დაწერეს სარწმუნოება, რომლითაც განმტკიცდა მართლმადიდებლობა;** მოწამისა კინდეოზ ხუცისა; მოციქულთა სწორისა ოლღასი, წმიდა ნათლისღებით ელენესი.

✝ 25 ივლისი. სამშაბათი. **ღირსთა მამათა ჩვენთა იოანესი — ღირსი ეფთვიმეს მამისა და გაბრიელისა, ათონელთა;** მოწამეთა პროკლესი და ილარისა; ღირსისა მიქაელ მალეელისა; მოწამისა ღოლინდუხტი აღმსარებელისა, რომელსა ეწოდა მარიამ. დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა „სამხელიანი“.

✝ 26 ივლისი. ოთხშაბათი. **კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა.** ღირსისა სტეფანე საბაიტელისა; ივლიანესი, კენომანიელი ეპისკოპოსისა; მოწამისა სერაპიონისა; მოწამისა მარკიანესი.



28 ივლისი –
ხსენება მოწამეთა კვირიკესი და დედისა მისისა ივლიტასი

✝ 27 ივლისი. ხუთშაბათი. მოციქულისა აკვილასი, 70-თაგანისა; მოწამისა იუსტი რომაელისა, მხედრისა; ღირსისა ელიოზ მონაზონისა; ღირსისა ონისიმე სასწაულმოქმედისა; იოსებისა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა, თეოდორე სტუდიელის ძმისა; ღირსისა ნიკოდიმოს მთაწმიდელისა.

✝ 28 ივლისი. პარასკევი. მოწამეთა: **კვირიკესი და დედისა მისისა ივლიტასი;** მოწამისა ავუდიმოსი; მოციქულთა სწორისა ვლადიმერისა, წმიდა ნათლისღებით ბასილისა.

✝ 29 ივლისი. შაბათი. **მღვდელმოწამისა ათენაგენი ეპისკოპოსისა და 10-თა მოწაფეთა მისთა;** მოწამეთა პავლესი და მისთანა ორთა დათა უალენტინასი და ქიონიასი; მოწამისა ანტიოქო მკურნალისა; მოწამისა იულია ქალწულისა.

✝ 30 ივლისი. კვირა. **დიდმოწამისა მარინესი, ქალწულისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსისა ლაზარე გალისიელისა.**

---



*„ასავალ-დასავალის“ რედაქცია*
სამძიმარს უცხადებს **მეგი საჯაიას**
ბაბუის —

# გივი ირემაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად: 4. ლარნაკა; 9. კომა; 11. კუპიდონი; 12. ვიოლა; 13. ზანდუკი; 14. პეკი; 15. დეკალოგი; 16. ციალი; 17. სტეფანე; 18. ლიდო; 19. ჩიქოვანი; 23. ნაირა; 24. რუტინა; 27. რენო; 28. პორტიში; 29. ბატი; 31. მემორიალი; 32. ვაა; 34. კრაზანა; 35. ხიზნები; 36. რანდევუ; 37. ნაბიჯი; 40. რანდა; 41. კენ; 42. თვალი; 44. კიო; 45. ბრილიანტი; 48. სი; 49. შამპანი; 50. პასი; 52. ტერიტორია; 57. სერ; 58; მაყრიონი; 59. კაფეტერია; 60. ნამაზი; 61. ოსმალეთი.**

**შვეულად: 1. პუდელი; 2. პიკასო; 3. ტოროლა; 4. ლიზისი; 5. რანდევუ; 6. ალუბალი; 7. ავიცენა; 8. ბოტანიკა; 9. კაპილარი; 10. მაკედონია; 19. ჩაპეკი; 20. ქარხანა; 21. ვაიმარი; 22. ნეიმარი; 24. რუმინეთი; 25. ტერტერა; 26. ნიახური; 29. ბიზონი; 30. ტრეპაკი; 32. ვისკოზა; 33. ანანასი; 37. ნერსე; 38. ბელტი; 39. ჯვალო; 43. ლამარია; 46. ტაი; 47. კაპონე; 48. სისინი; 50. პრიმა; 51. საბზა; 52. ტიკი; 53. რიფი; 54. ტატო; 55. რური; 56. ამაო.**

**ფრიმენისკიბოზინატალინისანიტარიგიდელიბიუროთ**
**გააზიდანიელადამიმასივიკარიერატომატისიონი**

| მსახიობი მორგან ... | ბოზბლეი | ქართული სამოდელო სააგენტო | იაპონური ავტო | მსხვერპლად შესაწირი | ფრანგი კომპოზიტორი | დიდი ჩაქუჩი |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარტო-ფილი... | მუხლის სახსრის შიდა ხრტილი | ინდუქციური კოჭი შიგაწვის ძრავებში | ესტონეთის დედაქალაქი | უმცროსი მედიცინის მუშაკი | მოგრძო გოდორი | ცნობათა, ამინდის... |



თარაზულად: 4. ქალაქი კვიპროსში; 9. უგონო მდგომარეობა; 11. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 12. ვიოლინოს წინაპარი; 13. სკივრი; 14. ჰოლივუდის მსახიობი გრეგორი ...; 15. ბიბლიის ათი მცნება; 16. ციმციმი; 17. ქართველი მომღერალი მამაკაცი; 18. ვარიეტე პარიზში; 19. ქართველი მწერალი; 23. ნიგერიის ფული; 24. შიში ცვლილებების, სიახლისა; 27. ფრანგული ავტომობილი; 28. უნგრელი ექსმოჭადრაკე; 29. შინაური ფრინველი; 31. სამახსოვრო ჩანაწერები; 32. გაკვირვების, აღტაცების შორისდებული; 34. ბზიკი; 35. მ. ჯავახიშვილი — „ჯაყოს ...; 36. პაემანი; 37. გ. წერეთელი „პირველი ...“; 40. გრძელი შალაშინი; 41. ამერიკელი მწერალი კენ ...; 42. მხედველობის ორგანო; 44. რუსი ილუზიონისტი; 45. ძვირფასი ქვა; 48. მე-7 ნოტი; 49. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 50. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისთვის; 52. გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მიწის სივრცე; 57. მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში; 58. მაყრები ერთობლივ; 59. ერთგვარი კაფე; 60. მუსლიმანთა ხუთჯერადი ლოცვა; 61. თურქეთის ძველი სახელი.

შვეულად: 1. ოთახის ძაღლის ჯიში; 2. „მშვიდობის მტრედის“ ავტორი; 3. მგალობელი ჩიტი; 4. სხეულის ტემპერატურის თანდათანობითი დაწევა მალარიის დროს; 5. პაემანი; 6. კურკოვანი ხილი; 7. აბუ ალი იბნ სინა; 8. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 9. წვრილი სისხლძარღვი; 10. ევროპის სახელმწიფო; 19. ჩეხი მწერალი; 20. სამრეწველო საწარმო; 21. ქალაქი გერმანიაში; 22. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 24. ევროპის სახელმწიფო; 25. სომეხთა მღვდელი; 26. მწვანილის სახეობა; 29. ჩრდილოეთ ამერიკული გარეული ხარი; 30. უკრაინული ხალხური ცეკვა; 32. ხელოვნური ბოჭკო; 33. ტროპიკული ხილი; 37. ქართლის ერისმთავარი მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში; 38. ბარით მოჭრილი მიწის ნაკვეთი; 39. ერთგვარი უხეში ქსოვილი; 43. ნაყოფიერების ქართული ქალღვთაება; 46. ტაილანდის ენა; 47. ამერიკელი განგსტერი ალ ...; 48. გველის ხმიანობა; 50. წამყვანი ბალერინა; 51. უკურკო ქიშმიში; 52. ტყავის ჭურჭელი; 53. წყალქვეშა კლდე; 54. ნიკოლოზ ბარათაშვილის თიკუნი; 55. გერმანიის სამრეწველო რაიონი და მდინარე; 56. ფუჭი, უნაყოფო.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მტაცებელი ფრინველი | მწერალი ... ჭონქაძე | სამოთხის ბინადარი | გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე | სამსახურში დაწინაურება | მოდუღებული პომიდვრის წვენი | ტაძარი თბილისში |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი | ფრანგი ექსფეხბურთელი | ძველად საბერძნეთი | პლანეტა სატურნის თანამგზავრი | არქიელის თანაშემწე | ლირიკული პოეზიის მუზა | ფრანგი ფერმწერი | რაიონ. ცენტრი რაჭაში |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2023 წლის 24 – 30 ივლისი №33 (1497)
გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჲინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**



THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol